„ეს არ არის მათი სახე - აი, მათი სახე” A3

სატირა B6

კვირის TV პროგრამა B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 31 ოქტომბერი, 2003 წელი. №285 (497)

ფასი 50 თეთრი

## ყურადღება!

2 ნოემბერს, საარჩევნო უბნების გახსნის შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში გაზეთ "24 საათში" იმუშავებს "ცხელი" სატელეფონო ხაზი, რომელზეც მოქალაქეებს შეეძლებათ, შეგვატყობინონ საარჩევნო უბნებზე შემჩნეული დარღვევების შესახებ. ჩვენი კორესპონდენტები გაემგზავრებიან მითითებულ უბანზე და ასახავენ არსებულ ვითარებას.

*გთხოვთ დაგვირეკოთ შემდეგ ნომრებზე: 20 24 24 და 20 00 24.*

## პოლიტიკა

### ათი წელი შეუსრულებელი ბიუჯეტითა და პოლიტიკური ნების გარეშე

მოქალაქეებმა ან მხარი უნდა დაუჭირონ არსებულ უნიჭო და გაკოტრებულ ხელისუფლებას და კიდევ მინიმუმ 3-4 წელი გაატარონ მიუღებელი ხელფასების, პენსიების მუდმივ მოლოდინში, ან ხმა მისცენ ოპოზიციას და იმედი იქონიონ, რომ ახალი ძალები შეძლებენ როგორც საბიუჯეტო პროცესის, ისე მთლიანად ქვეყნის რეფორმირებას.

A8

## ეკონომიკა

### საქართველომ "შაჰ-დენიზის" გაზის მოწოდების გარანტიები მიიღო

"ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" კომპანიისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოთხი პაკეტისგან შემდგარ ხელშეკრულებას საქართველოსათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ.

A4

## უცხოეთი

### აშშ შიდა პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე

შეერთებულ შტატებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ერაყში ომის დაწყებას აღარ ამართლებს და შეცდომად მიიჩნევს.

A5

## საზოგადოება

### მძღოლების წინადადება და მერიის არგუმენტები

მეტრო "სამგორიდან" მოსკოვის გამზირამდე დანგრეულ ქუჩაზე მოსიარულეებს იმედი ჰქონდათ, რომ მთავრობა აღნიშნულ მონაკვეთს არჩევნების წინა პერიოდში მაინც გააკეთებდა, მაგრამ არ გაუმართლათ.

A6

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 18 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 16 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 12 | |
| ახმეტა | 15 | |
| ქიათურა | 16 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1019 |
| ევრო | 2.4605 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5772 |
| რუბლი | 0.0705 |

# "ოპოზიციური უმრავლესობა" - ახალი ხედვა პოლიტიკაში

*"2 ნოემბრის არჩევნებში ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" გამარჯვებამდე დარჩა სამი დღე," - გოკა გაბაშვილის ასეთი მიმართვით დაიწყო გუშინ სპორტის სასახლეში გამართული ფორუმი, რომელსაც პარლამენტის სპიკერის გუნდის რვა ათასამდე მხარდამჭერი დაესწრო. ამ შეკრებით ნინო ბურჯანაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დაასრულეს ორთვიანი წინასაარჩევნო მარათონი, რომელიც ერთობ შთამბეჭდავად მიმდინარეობდა და რომელმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. სპორტის სასახლეში გამართულმა თავყრილობამ დაადასტურა, რომ "სამი სპიკერის (ასათიანი, ჟვანია, ბურჯანაძე) ალიანსი" საკმაოდ მყარია და შიდა დაპირისპირების გამო, რყევები არ ემუქრება. ეს ფორუმზეც დადასტურდა: ბლოკის თბილისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა დავით სალარიძემ (საარჩევნო პარტიულ სიაში იგი მეთორმეტეა) მეგობრების ავტორიტეტი ყველაფერზე მაღლა დააყენა. პარტიული ბლოკიდან გასვლის მიუხედავად, იგი აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ბანაკის რიგით გულშემატკივრად, მხარდამჭერად და ამომრჩევლად რჩება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სამი სპიკერის ბლოკი გამარჯვებისთვის ემზადება.*

# სინამდვილეში ეს არის ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის

თუ ამ მთავრობამ, ყველაფერთან ერთად, გაყალბება მოახერხა, საშიში, გალიაში ჩასასმელი იქნება.

არ დავუშვებ განუკითხაობას, რადგან ჩემი შვილის მომავლისთვის ვიბრძვი და რადაც არ უნდა დამიჯდეს, მამალაძეებს და რჩეულიშვილებს არ გავამარჯვებინებ.

ჩვენს წინააღმდეგ ხელისუფლებამ თავისი მთავარი იარაღი, ტყუილი მომართა.

B1



*დღეს მიხეილ სააკაშვილის და "ნაციონალური მოძრაობის" ფორუმია.*

# "თუ არაფერი შეიცვალა, ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს"

სოფო ბუკია

*გია გეწაძე – კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი. დაიბადა 1968 წელს, დაამთავრა თბილისის მეოთხე საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. იურისტად, მრჩევლად მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, საკონსტიტუციო სასამართლოში, ეროვნული უშიშროების საბჭოში. იყო იუსტიციის საბჭოსა და ანტიკორუფციული საბჭოს წევრი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაფუძნებიდან მისი წევრია.*

*"1994 წლიდან უშუალოდ მონაწილეობას ვიღებ კანონშემოქმედებაში. არსებობს უამრავი კანონი, რომელიც ჩემი ხელით დაწერილა. მე ვიცი კანონების წერა. მივდივარ პარლამენტში, რათა ჩემი მოსახლეობის ინტერესები დავიცვა. აღარ მინდა, გარედან ვუყურო პარლამენტს და ვინერვიულო, ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო კანონს მავანნი ხელს აუწევენ თუ არა," – აცხადებს გია გეწაძე და ასი პროცენტით დარწმუნებულია, რომ კრწანისი სწორედ მას აირჩევს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*"არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგივე გაგრძელდეს".*

# რუსთავის საოლქო კომისია ოპოზიციამ კანონდარღვევაში ამხილა

*გუშინ 22 საათზე რუსთავში 75 120 ამომრჩევლისათვის განკუთვნილი ბიულეტენები ჩაიტანეს. 23 საათზე კი საოლქო კომისიის სხდომა დაიწყო. მისი ჩატარება ოპოზიციური პარტიების და მათი რამდენიმე ასეული მხარდამჭერის მოთხოვნის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საღამოს ხუთი საათიდან ეს ხალხი საოლქო კომისიის წინ იყო შეკრებილი, სადაც უკვე ამ დროისათვის კომისიის არც ერთი პასუხისმგებელი პირი აღარ იმყოფებოდა.*

მაია მოსიაშვილი

**"დღეს იყო ბოლო ვადა ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანისა. დღესვე საოლქო კომისიას ეს საკითხი უნდა განეხილა და დაედგინა ამომრჩეველთა ზუსტი სია, რაც არ მომხდარა. სხდომა ექვსის ნახევრისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო გადაიდო. არ არის გამორიცხული, მათ უკვე გამზადებული ჰქონდეთ ოქმი, თითქოსდა სხდომა ჩატარდა,"** - აცხადებდა "ნაციონალი" სოსო მაზმიშვილი, რომელიც საოლქო კომისიის წევრიცაა.

საოლქოს წინ შეკრებილ "ნაციონალებსა" და "ბურჯანაძე-დემოკრატებს", "ახლების", "აღორძინებისა" და "მრეწველების" წარმომადგენლებიც შეუერთდნენ,

გაგრძელება A2 გვერდზე

# არჩევნები და ენერგეტიკა

*გუშინ "რაოელმა" მენეჯერებმა თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკი აამოქმედეს. მთავრობამ ძველი ტრადიცია გაიხსენა და ენერგეტიკოსთა ზამთრისათვის მზადების პროცესი სანახაობად აქცია. ამჯერად - წინასაარჩევნო კონტექსტში.*

მაია ურუშაძე

დღეს მთავრობა ამაყობს, რომ "რაო ეეს როსიიმ" მეცხრე ბლოკის გაშვება მოახერხა. ამის თაობაზე გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომელიც ახლადამუშავებული ენერგოაგრეგატის სანახავად გარდაბანში თავად ჩაბრძანდა. მან "ეი-ი-ეს მტკვრის" მე-9 და მე-10 ბლოკების მართვის ფარიც მოინახულა და ამის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის ნათელ მომავალზე კიდევ ერთხელ, დიდხანს და მონოტონურად ილაპარაკა. **"წელს უკეთესი ზამთარი იქნება, ვიდრე შარშან იყო,** - აცნობა დამსწრე საზოგადოებას ჯორბენაძემ, - **ძალიან კმაყოფილები ვართ "რაო ეეს როსიის". მეცხრე ბლოკისთვის გაზის პრობლემაც მოგვარებულია. სხვათა შორის, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია ახალი ელექტროენერგეტიკული პროექტების განხორციელებას უკავშირდება და ვფიქრობ, რომ თურქეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დაუკავშირდებიან ერთმანეთს, რაც ენერგეტიკული მდგრადობის გარანტიასაც მოგვცემს და სერიოზულ სატრანზიტო შემოსავლებსაც მოგვიტანს."**

გაგრძელება A4 გვერდზე

# იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა...

*გასულ წელთან შედარებით ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა საქართველოში კიდევ რამდენიმე პროცენტით მოიმატა და წლევანდელი ცხრა თვის შედეგებით ოცდათორმეტ პროცენტს გადააჭარბა. დღითი დღე იზრდება უმუშევართა რიცხვიც, შარშანდელთან შედარებით წელს "უმუშევართა" რაოდენობამ თითქმის 40 პროცენტით მოიმატა. კიდევ უფრო გაიზარდა იმპორტი და შემცირდა ექსპორტი; შესაბამისად, ქვეყნის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 400 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. მთელი წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 5.2 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სურსათზე - 7.1 პროცენტით.*
*ასეთი არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე გუშინ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მაინც ოპტიმისტური განწყობით საუბრობდა.*

ეთერ მამულაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის თემურ ბერიძის ოპტიმიზმის ერთ-ერთი მიზეზია 2003 წლის იანვარ-სექტემბერში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება, რომელმაც 6127.5 მილიონი ლარი შეადგინა. გასულ წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 8.3 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, ტემპის ასეთი ზრდის მთავარი მიზეზი რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაა, ეს სტატისტიკის დეპარტამენტშიც კარგად უწყიან.

სხვათა შორის, იმავე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა ქართულ ეკონომიკაში წელს უკვე 50 პროცენტს გადააჭარბა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ივან რიბკინი: „არჩევნების წინ განსხვავებული აზრის ჩახშობა დამღუპველია”

*30 ოქტომბერს ლონდონში მყოფმა ბორის ბერეზოვსკიმ რუსულ მასმედიაში გაავრცელა წერილი-მიმართვა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, სადაც ოლიგარქი მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს არჩევნებში მონაწილეობისაგან თავის შეკავებას ურჩევს.*
*ბერეზოვსკის წერილისა და რუსეთში არჩევნების წინ შექმნილი სიტუაციის კომენტარისათვის "24 საათმა" მიმართა "ლიბერალური რუსეთის" ლიდერს, რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანსა და პარლამენტის ექს-სპიკერს ივან რიბკინს.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- ბერეზოვსკის წერილი მოსკოვში უკვე მონათლეს, როგორც კრემლთან შეთანხმებული. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ რუსეთში ყველაფერი ერთპარტიული სისტემისაკენ მიდის და რომ ბერეზოვსკი, კომუნისტებთან მემარჯვენეთა გაერთიანების შირმით, ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის მოსპობას ლამობს. ეს მართალია?**

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 სატირა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# რუსთავის საოლქო კომისია ოპოზიციამ კანონდარღვევაში ამხილა

პირველი გვერდიდან

რომლებიც ადასტურებდნენ, რომ კომისიას კანონით გათვალისწინებული პროცედურა არ დაუცავს და სხდომა არ ჩაუტარებია. იგივეს ამტკიცებდნენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ფრიდონ კენკებაშვილი და მისი მხარდამჭერები.

რუსთავში სპეციალურად ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩამოვიდა ეუთო-ს გრძელვადიანი დამკვირვებელი მატს მელინი. ის სამი საათის განმავლობაში ისმენდა და ინიშნავდა საოლქოში მისულ ადამიანთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს იმ დარღვევებზე, რომელიც ოლქში არსებობს.

21 საათზე მოულოდნელად საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალეკო ედიშერაშვილი გამოჩნდა, რომელსაც აღშფოთებული ხალხისათვის პასუხის გაცემა მარტოს მოუწია.

ედიშერაშვილმა ვერ დაასახელა კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ ჩატარდა საოლქო კომისიის სხდომა. შემდეგ მან თქვა, რომ სხდომა წინა დღეს ჩატარდა, თუმცა ვერც დამსწრე წევრთა ვინაობა დაასახელა და ვერც სხდომის ოქმი წარმოადგინა. ის ითხოვდა, რომ ხალხი დაშლილიყო და სხდომა 31 ოქტომბერს დილის 10 საათზე ჩატარდებოდა, თუმცა მისი წინადადება ყველამ კატეგორიულად უარყო და მან კომისიის წევრების შეკრება დაიწყო. ეს ყველაფერი ათეულობით ადამიანის და ეუთო-ს დამკვირვებლის თანდასწრებით, დებატების თანხლებით ხდებოდა.

ხალხმა საოლქო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი მოიკითხეს, რაზეც ედიშერაშვილმა უპასუხა, რომ ისინი რუსთავისათვის განკუთვნილი ბიულეტენების ჩამოსატანად არიან წასულნი.

- როგორ ჩამოგაქვთ ბიულეტენები, როცა ამომრჩეველთა რაოდენობა არ დაგიდგენიათ? - კითხვები დააყარეს ედიშერაშვილს.

- ცესკო-დან დაგვირეკეს და სავარაუდო ციფრი მოგვთხოვეს. ჩვენ 75 ათასი ვუთხარით, - განაცხადა ედიშერაშვილმა.

-საიდან მოიტანეთ ეს ციფრი? დღეს შუადღისას 63 ათასს ამბობდით. რატომ 75 ათასი? - აყვირდა ყველა ერთხმად.

- მაშ, რამდენი უნდა გვეთქვა? - იკითხა ედიშერაშვილმა და ხალხი უფრო ააყვირა.

ათ საათზე ჩამოტანილი ბიულეტენები ყველას თანდასწრებით გადმოტვირთეს. მთელი საღამოს განმავლობაში კომისიასთან პოლიცია იყო მობილიზებული, თუმცა ოპოზიციამ მათ ზედმეტი სამუშაო არ გაუჩინა და ყველაფერმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

**"ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ოპოზიციას არჩევნების ჩაშლა და არეულობა არ სურს. უბრალოდ, ჩვენ არ მივცემთ ხელისუფლებას იმის საშუალებას, რომ კანონისა და ხალხის ნების იგნორირებით ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები,"** - ასეთი კომენტარი გააკეთეს "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენლებმა.

როგორც რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა მუმლაძემ "24 საათს" უთხრა, ციფრი - 75 120 - სავარაუდო მაჩვენებელი იყო. **"ვინაიდან გვიანდებოდა პროცესები, ამომრჩეველთა სიები ვერ დგინდებოდა და ამ წუთშიც არ არის საბოლოო ვარიანტი, ამის გამო იყო გადაცემული ეს ციფრი. მე ვფიქრობ, რეალური სია 60 ათასზე ზემოთ არ უნდა იყოს, ვნახოთ, დღეს გვექნება სხდომა და გადავწყვეტთ,"** - განაცხადა მუმლაძემ გუშინ, 30 ოქტომბერს, ღამის 11 საათზე.

# ჭიდაობა თოფაძის და ხატიძის პატივსაცემად

ლელა მჭედლიძე

"მრეწველები" პარლამენტში, თურმე, სოფელ დიღმის ამომრჩევლების წყალობით მოხვედრილან. ყოველ შემთხვევაში, ამ სოფლის მცხოვრებლებთან შეხვედრისას, ასე ამტკიცებდა მთავარი "მრეწველი" გოგი თოფაძე. **"ჩვენ გადავთვალეთ, გადმოვიანგარიშეთ და დავადგინეთ, რომ ყველაზე მეტი ხმა თქვენგან მივიღეთ. პარლამენტში თქვენი წყალობით მოვხვდით,"** - ასე იხდიდა მადლობას შეკრების დასაწყისისათვის ჩაბნელებულ, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ინსტიტუტის შენობაში გოგი თოფაძე.

მადლობის უფრო დიდი დასტურის ნიშნად, თავის იქაურ გულშემატკივრებს იგი დიღომში სამომავლოდ გაზის გაყვანას ჰპირდება და ამტკიცებს, რომ **"სხვებისგან განსხვავებით, იგი დანაპირების შესრულების გარანტიასაც იძლევა."** დიღმელებსაც მისი თითქოს სჯერათ.

მანამდე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერს დიღომში ობელისკისთვის საკმაო



"ამ ხელისუფლებას გახვრეტილი შაურიც არ უჭყავის".

ფული გადაურიცხავს, 2000 დოლარი ყრუ-მუნჯი ბავშვის ოპერაციისთვის გადაუდია, ჭიდაობის მოყვარული ბავშვებისთვის კი 9000-დოლარიანი საჭიდაო ხალიჩა შეუძენია. სწორედ აქ ჭიდაობდნენ ერთდროულად გოგი თოფაძისა და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელ ბადრი ხატიძისათვის პატარა დიღმელები გუშინ. სპორტ-დარბაზშიც "მრეწველების" პლაკატის გვერდით ხატიძის პლაკატი იყო გაკრული. თუმცა, დარბაზში სანახაობის საყურებლად თოფაძე და ხატიძე მონაცვლეობით ისხდნენ. გამარჯვებულებს კი ჯილდოებს ყოფილი დეპუტატი, ლევან თედიაშვილი გადასცემდა, რომელიც გუშინდელი შეჯიბრის არბიტრიც იყო.

გოგი თოფაძე ამტკიცებს, რომ მათი პარტია ხატიძის კანდიდატურას მხარს ოფიციალურად არ უჭერს. თუმცა, ფაქტია, რომ მცხეთის რაიონში თოფაძის პარტიას თავისი კანდიდატი ამჟამად არ ჰყავს და "მაჟორიტარულ ორთაბრძოლაში" სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის ყოფილ უფროსს "მრეწველები", თუ არ დაეხმარებიან, ალბათ, ხელს მაინც არ შეუშლიან. დიღმელების აღიარებით, ხატიძეს, თოფაძის არ იყოს, "მათთვის საკმაო სიკეთე აქვს გაკეთებული". ამას "მრეწველების" ლიდერთან შეხვედრაზე მისული ხალხი თავად თოფაძესაც ეუბნებოდა. თოფაძე კი თავის ამომრჩეველს კიდევ ერთხელ უმტკიცებდა ადრე სხვა რაიონებში ნათქვამს: **"ამ ხელისუფლებას გახვრეტილი შაურიც არ უჭყავის. სანამ სოფელს და მრეწველობას არ ავაღორძინებთ, ქვეყანას არაფერი ეშველება... უცხოელი მრჩევლები და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს კარგს არაფერს ურჩევენ და მოუტანენ... თუ მომავალი ოთხი წელი საქართველოში ცხოვრება ძველებურად გაგრძელდა, ქვეყანა საბოლოოდ დაინგრევა... და ა.შ."**

# ცესკო-ს ოპტიმიზმი

საუბნო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა სიების გამოკვრა პარასკევს 18.00 საათზე დასრულდება და ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობაც ამ დღეს იქნება ცნობილი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, ამომრჩეველთა სიები გადამოწმების შემდგომ გაცილებით უკეთესია, ვიდრე თავდაპირველად იყო. "ამომრჩეველთა სიები რეალურს მიუახლოვდა", - აცხადებს ნანა დევდარიანი. ამასთან, ცესკო-ს თავმჯდომარე ამომრჩეველთა სრული რაოდენობის დასახელებისგან თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ საერთო რიცხვი 2 მილიონ 700 ათასამდეა. დევდარიანის განცხადებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის სულ 9 მილიონი ბიულეტენი იბეჭდება. მისივე თქმით, იბეჭდება ასევე სარეზერვო ბიულეტენები, რომლის გაყალბების შანსებსაც ნანა დევდარიანი გამორიცხავს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის ავთანდილ სულაბერიძის თქმით, ამჟამად კვლავ მიმდინარეობს სამთავრობო უწყებების მიერ ხელნაწერის სახით დამუშავებული ამომრჩეველთა სიების და არასამთავრობო ორგანიზაცია "საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის" – **"IFES"**-ის მიერ დაბეჭდილი სიების შედარება და თუ ვინმეა გამორჩენილი, მათაც შეიყვანენ სიებში. სულაბერიძის ინფორმაციით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკვე გამოაკრეს სიები, თუმცა ცესკო-ს წევრისთვის უცნობია ამომრჩეველთა რაოდენობა.

*პრაიმ-ნიუსი*

# "თუ არაფერი შეიცვალა, ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს"

პირველი გვერდიდან

**- ბატონო გია, თქვენ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე იყავით ისეთ პრესტიჟულ ორგანიზაციაში, როგორიცაა IRIS. შესაბამისად, არც მაღალი ანაზღაურება გაკლდათ, არც გავლენა. რატომ წამოხვედით იქიდან და რას "ეძებთ" პარლამენტში?**

- მართალი ბრძანდებით. IRIS-ში ჩვენ გვქონდა კანონის უზენაესობის პროექტი და მიმაჩნია, რომ ძალიან ბევრს მივაღწიეთ, თუმცა უკეთესი პარლამენტი რომ გვყოლოდა, გაცილებით მეტს შევძლებდით. არ მინდა, გარედან ვუყურო მოვლენებს, ვწერო კარგი კანონპროექტები, რომლებსაც მერე პარლამენტში დაამახინჯებენ.

**- თქვენ კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილებაც გაქვთ, ანტიკორუფციული საბჭოს წევრი იყავით. პარლამენტში რა გზებით შეეცდებით კორუფციის დამარცხებას?**

- პირველ რიგში, უნდა დაირღვეს ის მავნე ჯაჭვები, რომლებიც არსებობს. იცით, ჩვენი ქვეყანა რითი განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან, ანუ რატომ არის ჩვენს ქვეყანაში კორუფცია ტრაგედია? ელემენტარულია... ნორმალურ ქვეყანაში საშუალო ფენასა და ზედა ფენას შორის კორუფციული კავშირები არ არსებობს. ყველა ქვეყანაშია პარლამენტის წევრი თუ სხვა მაღალჩინოსანი, რომელიც ბოროტად იყენებს თანამდებობას და კორუმპირებულია, მაგრამ იქ საშუალო ფენა საკმაოდ დიდია და, როგორც წესი, არ არის ჩართული კორუფციაში. ზედა ფენას ეშინია საზოგადოებრივი აზრის. ჩვენთან, საქართველოში თითქმის არ არსებობს საშუალო ფენა, არის ძალიან დიდი ქვედა ფენა და მძლავრი ზედა ფენა. მათ შორის კორუფციული კავშირი აწყობილია. საზოგადოებრივი აზრის არავის ეშინია. ამ ჯაჭვის დანგრევა შეიძლება მხოლოდ გრძელვადიანი პერსპექტივით. ამისთვის პოლიტიკური ნებაა საჭირო - გადასადგმელია ელემენტარული ნაბიჯები, მისაღებია ელემენტარული კანონპროექტები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პრობლემას ეშველოს. პარლამენტში უნდა იყოს ისეთი ხალხი, რომელთაც ამის სურვილი გააჩნიათ და არა ოლიგარქები, რომლებიც მხოლოდ ისეთ კანონპროექტებს აძლევენ ხმას, რომლებიც მათ ჯიბეებს ავსებს. დღეს ეს ოლიგარქები წინასაარჩევნო კამპანიას მართავენ და იბრალებენ, რომ რეფორმატორები არიან.

მარტივ მაგალითებს გეტყვით: საგადასახადო კოდექსის თანახმად, ჩვეულებრივმა ბიზნესმენმა საკუთარ თანამშრომლებს ათასი ლარი ხელფასი რომ მისცეს, 680 ლარი გადასახადების სახით უნდა გადაიხადოს. არ არის სასაცილო? ანუ, ჩვენ ამ ბიზნესმენს პირდაპირ ვეუბნებით: მოიპარე, მიეცი ქრთამი საგადასახადო ინსპექციას, პოლიციას და ათას სხვა მაკონტროლებელ წურბელას. ქვეყნის ამ გზით განვითარება შეუძლებელია.

სამი-ოთხი წელი ჩვენ საერთოდ უნდა გავაუქმოთ ცალკეული გადასახადები. დანარჩენი გადასახადები უნდა განახევრდეს, მე მაქვს ამის ფინანსური გათვლებიც. რა მოხდება: შავი ფული, რომელიც ბრუნავს საქართველოში, გათეთრდება, გაივლის საბანკო სისტემას, ბიუჯეტში შევა უფრო მეტი თანხები, დასაქმდება უფრო მეტი ადამიანი და თუ ჩვენ სადაგასახადო კოდექსის სტაბილურობასაც მივაღწევთ, ანუ ყოველ სამ თვეში ერთხელ სხვადასხვა ვიწრო ინტერესების გამო საგადასახადო კოდექსს არ შეცვლიან, საქართველოში უცხოური ინვესტიციებიც მობრუნდება. მოგეხსენებათ, უცხოური ინვესტიციები დღეს ტოვებენ საქართველოს. ცხადია, ასეთ არასერიოზულ გარემოში მათ არაფერი ესაქმებათ. ვერ დამაჯერებს ვერავინ, რომ პარლამენტში არ იყო ძალები, რომლებმაც ეს ელემენტარული - ორს მივუმატოთ ორი არ იცოდნენ. მე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ეს გაკეთდეს.

**- მაჟორიტარ დეპუტატს, სხვა, პარტიული სიით გასული პარლამენტარებისგან განსხვავებით, ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება. როგორ აპირებთ კონკრეტულად თქვენი ამომრჩევლების ინტერესების დაცვას, რას ჰპირდებით კრწანისს?**

- ვფიქრობ, ათმაგი პასუხისმგებლობა მექნება და არა ორმაგი. კრწანისი ძალიან განსხვავებული, მიკროუბნებისგან შემდგარი რაიონია. ძალიან კარგად ვიცნობ კრწანისის პრობლემებს. მაგალითად, ზემო ფონიჭალას სხვა პრობლემები აქვს, ქვემო ფონიჭალას - სხვა. კრწანისის ქუჩა განსხვავდება ხარფუხისაგან, კალაზე კიდევ სხვა რამეა გასაკეთებელი. კალაზე, ძირითადად, ძველი სახლებია, ძველი თბილისი, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ყოველ უბანთან მიმართებაში მაქვს ჩემი მიდგომები, ამოცანები. კარგად ვიცი, რის გამო უნდა ვიბრძოლო. დღეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ნადგურდება, რადგან ჩვენი ბიუჯეტის წურბელები ხუთსართულიან სახლებს იშენებენ. შემდეგ კი გამოდიან ტელევიზიით, პრესით და ყველანი ერთად ებრძვიან კორუფციას. ვფიქრობ, რომ თუ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის თანხების ხარჯვის გამჭვირვალე მექანიზმები შეიქმნება, ძალიან ადვილია საერთაშორისო რესურსების მოზიდვა. საერთაშორისო რესურსები გაურბიან საქართველოს, რადგან მათი გაკონტროლება არ ხდება და თანხების 90 პროცენტი ვილაცის ჯიბეში მიდის. თუ ამ თანხების გამჭვირვალობას მივაღწიეთ, თავად შევხვდები საერთაშორისო ორგანიზაციებს და ისინიც დიდი ინტერესით შეხედავენ ამ საკითხს.

**- ბატონო გია, თქვენ ფიქრობთ, რომ ერთმა დეპუტატმა შეიძლება რაიმე შეცვალოს საპარლამენტო და ქვეყნის ცხოვრებაში?**

- ერთ ადამიანს, თუ მას აქვს კეთილსინდისიერი მიზნები, ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. თანაც, არ მგონია, რომ პარლამენტში მარტო ვიქნები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსახლეობა ღირსეულ, კეთილსინდისიერ და პატიოსან კანდიდატებსა და პოლიტიკურ ძალებს დაუჭერს მხარს. პარლამენტი უნდა გათავისუფლდეს ისეთი ხალხისგან, რომელთაც პარლამენტარობა იმუნიტეტისთვის და საკუთარი კრიმინალური მიზნების განხორციელებისთვის სჭირდება. თუ ეს მოხერხდა, პარლამენტი ძალიან ბევრს შეძლებს.

**- ამბობენ, დამოუკიდებელი კანდიდატი გია გეწაძე სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერით სარგებლობს, მართალია?**

- ჩემმა კონკურენტებმა, მათდა სამწუხაროდ და ჩემდა საბედნიეროდ, სხვა ვერაფერი მომიძებნეს ბიოგრაფიაში. რამე ხომ უნდა თქვან.

**- ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ სახელისუფლებო ბლოკთან გაიგივება დღეს წამგებიანია?**

- თვითონ ფიქრობენ ასე...

**- მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი კანდიდატი ხართ, ცხადია, პოლიტიკური სიმპათიები გექნებათ...**

- კი, რა თქმა უნდა, მაქვს – აბრაამ ლინკოლნი.

**- ქართულ სინამდვილეში?**

- არა, ქართულ სინამდვილეში ფავორიტი არ მყავს.



"არ მინდა, გარედან ვუყურო მოვლენებს, ვწერო კარგი კანონპროექტები, რომლებსაც მერე პარლამენტში დაამახინჯებენ".

**- ანუ, გია გეწაძე სრულიად მარტო მიდის პარლამენტში?**

- არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი გავხდე, მაგრამ ჯერ კარგად უნდა დავრწმუნდე, რომ ეს პოლიტიკური პარტია ორ კვირაში არ შეიცვლის თავის კურსს უკიდურესი მემარჯვენეობიდან უკიდურეს მემარცხენეობამდე. ვფიქრობ, პოლიტიკური პარტიების სისტემა საქართველოში არ ჩამოყალიბებულა. არ მინდა, პარტია-პარტია ვიმოგზაურო, ზოგიერთი ჩემი კონკურენტის მსგავსად.

**- რამდენიმე დღის წინ თხუთმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პრინციპები, რომელსაც "ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ" ეწოდება. ამ პრინციპებს შორის არის დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონის მიღება, პრესის თავისუფლების შესახებ კანონის მიღება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დაფარვა და ა.შ. მაჟორიტარი კანდიდატებიდან პირველი, ვინც ამ პრინციპებს გამოეხმაურა, თქვენ იყავით...**

- ჩემი მოღვაწეობა არასამთავრობო ორგანიზაციიდან დავიწყე. პირადად ვმუშაობდი მრავალ კანონპროექტზე, რომლებიც ამ ათ პრინციპშია ჩამოთვლილი. იგივე კანონპროექტი პრესის თავისუფლების შესახებ - შარშან მთელი წელი ამ კანონპროექტზე ვმუშაობდი, თუმცა საქართველოს პარლამენტმა ვერ გაბედა ამ კანონის მეორე მოსმენით მიღება. ვმუშაობდი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანაზე, სასამართლო რეფორმის საკითხებზე, ანუ ეს ნაცნობი სფეროებია ჩემთვის. თითქმის არ არსებობს იმ ათი პრინციპიდან რომელიმე, რომელზეც მე არ მიმუშავია. აქედან გამომდინარე, მე ამ პრინციპების რეალიზებისთვის აუცილებლად ვიბრძოლებ.

**- დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პუნქტსაც ეთანხმებით?**

- რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ აუცილებლად დასაბრუნებელია ის, რაც ჩვენს პენსიონერებს მოჰპარეს.

**- კრწანისის მაჟორიტარობა რატომ გადაწყვიტეთ, ამ რაიონში ცხოვრობთ?**

- არა, აქ არ ვცხოვრობ. მე თბილისელი ვარ და არ განვეკუთნები ისეთ ადამიანებს, რომლებიც საკუთარ კორპუსს ვერ ცდებიან. ყველაზე კარგად ვიცნობ კრწანისის პრობლემატიკას, მიმაჩნია, რომ ჩემი ინტელექტუალური რესურსების რეალიზებას ყველაზე უკეთ აქ მოვახერხებ. კრწანისი არის თბილისის უნიკალური რაიონი, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს ერთა თანაცხოვრების, რელიგიური შემწყნარებლობის ტრადიცია. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. წარმოიდგინეთ, ასეთ პატარა ტერიტორიაზე ცხოვრობს ამდენი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, ამდენი განსხვავებული რელიგიის მიმდევარი. ჩვენ ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ და თუ ამას მოვახერხებთ, თბილისში ომები აღარ იქნება.

ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში საზოგადოება ადევნებდა თვალს სხვადასხვა ჯგუფების გამოხტომებს რელიგიურ თემებზე. ჩემი აზრით, რელიგია და ეთნიკური თემა არის ის საკითხები, რაზეც პოლიტიკური ძალების დაწერა საერთოდ აკრძალული უნდა იყოს. თუმცა, ჩვენი პოლიტიკოსებისთვის ხელშეუხებელი თემები არ არსებობს.

**- თქვენ წინასაარჩევნო მარათონში პირველად მონაწილეობთ. რამდენად შთამბეჭდავი პროცესია?**

- ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ: რად გინდა ეს ყველაფერი, შენ არ იცი, რამდენ სანერვიულოს გადაეყრებიო, თუმცა, გულწრფელად გეტყვით, ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნო პროცესია. ერთადერთი, რაც მამძიმებს, ის არის, რომ ყოველდღიურად ვხვდები მოტყუებულ მოსახლეობას, რომელსაც წაართვეს პენსიები, ხელფასები... მაგრამ მე ეს უფრო მაძლიერებს, უფრო ენერგიულად ვიბრძოლებ პარლამენტში ამ ხალხის უფლებების დასაცავად.

**- მოსახლეობასთან შეხვედრებისას, რა გესმით მათგან ყველაზე ხშირად?**

- სამწუხაროდ, ის, რომ ხალხი არავის ენდობა და ეს ლოგიკურიცაა.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალი პარლამენტი ამ ნდობის აღდგენას შეძლებს?**

- ამ კითხვაზე სამ ნოემბერს გიპასუხებთ, გამომდინარე იქიდან, თუ ვინ გაიმარჯვებს.

**- თქვენი აზრით, 2 ნოემბრის შემდეგ მართლაც რაიმე შეიცვლება ქართულ სინამდვილეში, თუ ქართული პოლიტიკა ცვლილებებს არ ექვემდებარება?**

- აუცილებლად შეიცვლება ვითარება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგივე გაგრძელდეს. თუ არაფერი შეიცვალა, ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს. მე კი გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ.

**- ბატონო გია, მიკვირს, რომ საარჩევნო სიები არ გიხსენებიათ, ნუთუ კრწანისის რაიონში ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა?**

- კრწანისში ამ მხრივ საშინელი მდგომარეობაა. როდესაც ინტერნეტში ჩემი მხარდამჭერების სიებს ვამოწმებდი, რვაასი მხარდამჭერიდან ორასი ვერ აღმოვაჩინე. მე იურისტი ვარ და კარგად ვიცი, სასამართლოში როგორ უნდა დავიცვა საკუთარი და ჩემი ამომრჩევლების ინტერესები. თუმცა, იმედი მაქვს, ეს არ დამჭირდება და 2 ნოემბრამდე სურათი შეიცვლება. პირადად ჩემთვის დიდი ტრაგედიაა, თუ საქართველოს მოქალაქე საკუთარ კონსტიტუციურ უფლებას ვერ გამოიყენებს სიაში არყოფნის გამო. არა აქვს მნიშვნელობა, ის გია გეწაძის მხარდამჭერია თუ არა.

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."
გთავაზობთ კომპიუტერულ ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სისტემის ბლოკებისთვის: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. აგრეთვე 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65
სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30
E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ სახელისუფლებო ბლოკმა რკინიგზელთა სახლში საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის მთლიანი პროცედურის იმიტაცია მოაწყო.

საჩვენებელ პროცედურას სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილი ხელმძღვანელობდა. როგორც ქუცნაშვილმა აღნიშნა, ხმის მიცემის საჩვენებელ პროცედურას ერთადერთი მიზანი გააჩნია - მოსახლეობამ აუცილებლად უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს საარჩევნო უბანზე, რათა იგი შეცდომაში არ შეიყვანონ და, შესაბამისად, მისი ქმედება კანონიერი იყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრეებმა ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართეს. საელჩოს შენობასთან შეკრებილები ორი სახის ტრანსპარანტით - "შეწყვიტეთ შევარდნაძის უკანონო რეჟიმის შენარჩუნებისათვის ბრძოლა" და "საქართველოში არჩევნები მხოლოდ კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს", და შეძახილებით გამოხატავდნენ პროტესტს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზურმა მხარემ, გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენელთან ჰაიდი ტალიავინთან სოხუმში გამართული კონსულტაციების შედეგად, უსაფრთხოების გარანტიების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით, თბილისთან მოლაპარაკებების აღდგენის თაობაზე თანხმობა განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "არასახელისუფლებო ბლოკი - სამშობლოს" საარჩევნო სიის ლიდერები, გლდანისა და სამგორის რაიონების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები თემურ ჟორჟოლიანი და ირაკლი დოკვაძე საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ და საკუთარ კანდიდატურებს ხსნიან. როგორც პრაიმ-ნიუსს თემურ ჟორჟოლიანმა განუცხადა, "ყალბ არჩევნებში მონაწილეობის მიღება" არ სურს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ ამომრჩეველთა სიების გაყალბებაში ზურაბ ჟვანია დაადანაშაულა. მისი თქმით, ჟვანია აპრილში ხელისუფლების წარმომადგენლებს საიდუმლო ვითარებაში შეხვდა ამომრჩეველთა სიების გაყალბებასთან დაკავშირებით, ამასთან, მან სიების ფალსიფიკაციის მიზნით, "საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი" საქართველოში "მოიწვია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლების, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის უსაფრთხოებას სამართალდამცავი ორგანოების ის წარმომადგენლობა დაიცავს, რომელსაც საარჩევნო უბნის გარე პერიმეტრზე არჩევნების დროს წესრიგის დაცვა ევალება. საპარლამენტო არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად ცესკო-ში რეგისტრაცია 45-მდე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციამ, საქართველოში მოქმედმა საელჩოებმა გაიარეს. დამკვირვებელთა საერთო რაოდენობა კი 4412-ია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ იუსტიციის სამინისტრომ თბილისის რაიონებში საარჩევნო უბნებზე დააგზავნა ბოლო ოთხი წლის მანძილზე თბილისში გარდაცვლილ იმ პირთა სიები, რომელთაც საარჩევნო ხმის უფლება ჰქონდათ.

სიაში 35.000 გარდაცვლილის მონაცემია შეტანილი. მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი წკრიალაშვილის ინფორმაციით, გარდაცვლილთა სიებით მანიპულირება შეუძლებელი იქნება, რადგან ყველა ფურცელზე მითითებულია, რომ ეს გარდაცვლილთა სიაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი ვახტანგ რჩეულიშვილი ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრის დავით სალარიძის მიერ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლევან ჩრდილელის მხარდაჭერას ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს და აცხადებს, რომ სალარიძეს ამის უფლება ჰქონდა. რჩეულიშვილის ვარაუდით, „ბურჯანაძე-დემოკრატები" დავით სალარიძეს ასეთი ნაბიჯისთვის "ერთ ამბავს აუტეხავენ, რადგან ამ პოლიტიკურ სუბიექტს დემოკრატობის არაფერი სცხია". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ სტრასბურგში, ევროსაბჭოს შტაბ-ბინაში ხელი მოაწერა ევროპულ კონვენციას "ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ". ხელმოწერის დასრულების შემდეგ, სიხარულიძე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს შეხვდა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

### მოკლედ

## სააკაშვილი მამათში და ფოთში ჩავიდა

გუშინ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტ შევარდნაძის მშობლიურ სოფელს მამათს ესტუმრა და სოფლის კლუბში ამომრჩევლებთან შეხვედრა გამართა. შემდეგ კი იგი ფოთში გაემგზავრა. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ფოთში ჩასულ მიხეილ სააკაშვილს კინოთეატრ "რუსთაველში" სავსე დარბაზი დახვდა.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილმა ფოთს "პრეზიდენტის ოჯახის კლანური ინტერესების ქალაქი" უწოდა და დასტურად ფოთის პორტი მოიყვანა, რომელიც, მისი მონაცემებით, ტენდერის შემდეგ პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენლების - ახვლედიანების საკუთრება გახდა.

"ფოთი არ უნდა შეეწიროს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კლანურ ინტერესებს," - განაცხადა სააკაშვილმა. შეხვედრაზე მან ფოთში ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად არჩილ კუპრეიშვილი დაასახელა.

შეხვედრამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. **ინტერ-პრესი**

## ახმეტელ ოპოზიციონერთა პრობლემები

ახმეტის რაიონში მოქმედი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და საოლქო საარჩევნო კომისია ოპოზიციას ახმეტის რაიონში დისლოცირებული შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობასთან წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვის უფლებას არ აძლევენ. "ნაცმოძრაობის" ახმეტის რაიონის ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის, ტარიელ კიკნაძის თქმით, რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ახმეტის რაიონში, მათ შორის - პანკისის ხეობაში 1000-მდე ჯარისკაცია დისლოცირებული, რომლებსაც სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად მუდმივად ხვდებიან, თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლებს ამის შესაძლებლობას არ აძლევენ. მისივე თქმით, ხელისუფლებას სურს, რომ ჯარისკაცების საარჩევნო ხმები "მიითვისოს". **პრაიმ-ნიუსი**

## მორიგი რჩევები

გუშინ სასტუმრო "მერიოტში" არჩევნების მონიტორინგის ამერიკულ ჯგუფთან შეხვედრა გაიმართა. ამერიკელი სტუმრების განცხადებით, 2 ნოემბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების ობიექტურობა მნიშვნელოვნად განაპირობებს დასავლეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი.

**"საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ჩვენი მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის, თუ რამდენად ობიექტურად ჩატარდება ეს არჩევნები, განაპირობებს დასავლეთის დამოკიდებულებას თქვენი ქვეყნისადმი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნებში ახალგაზრდობის აქტიურობას",** - განაცხადა შეხვედრაზე მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯორჯ ფოლსონმა. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ამიერკავკასიაში დასრულდა რუსეთის საჯარისო დაჯგუფების საინჟინრო საბრძოლო მასალების, ქონებისა და იარაღის გატანა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბის რაიონში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მანანა ნიკოლაიშვილი ოპოზიციური ძალების მაჟორიტარ კანდიდატებს მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ დისკრიმინაციაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ოპოზიციური ძალები მას და მის მხარდამჭერებს ყოველმხრივ ავიწროებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ფოთში «ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ბიუროების გასვლითი სხდომა გაიმართა, რომელიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიან ვითარებაში ჩატარების უზრუნველსაყოფად პარტიის რეგიონულ ბიუროთა მზადყოფნის საკითხს მიეძღვნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება «ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე ნაძალადევის რაიონში «ახალი მემარჯვენეების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზვიად ჩოხელის მიმართ განხორციელებულ ძალადობას მისი მკვლელობის მცდელობად აფასებს, რომელიც «ქილერების მიერ პოლიტიკური დაკვეთით განხორციელდა". გამყრელიძე კონკრეტულად ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას ვერ ადანაშაულებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მომხდარს პოლიტიკური მოტივი აქვს და ინციდენტი მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

# "ოპოზიციური უმრავლესობა" - ახალი ხედვა პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

გიორგი ასანიშვილი



"ბურჯანაძე-დემოკრატები" პარლამენტში ოპოზიციური უმრავლესობის შექმნას აპირებენ.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთიანობისადმი "თვითშეწირვას" სალარიძე არ ნანობს, მის მიმართ მიმართულ ბრალდებებს კი გაუგებრობით ხსნის. სალარიძის აზრით, ვაკის რაიონში სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატის ლევან ჩრდილელის პიროვნების შესახებ მის მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში გამოთქმულ შეფასებებს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა. **"მე, უბრალოდ, ჩემი მოსაზრება დავაფიქსირე ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილის საქმიანი თვისებების თაობაზე, მაგრამ არჩევნებში ჩრდილელის მხარდაჭერსკენ არავისთვის მომიწოდებია,"** - აცხადებს სალარიძე, მაგრამ დღეს ეს უკვე აღარ არის მთავარი.

სალარიძისეულ შეფასებას, რომელიც ლევან ჩრდილელის საარჩევნო კლიპში იქნა გამოყენებული, საზოგადოებაში, ალბათ, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვებოდა და "ბურჯანაძე-დემოკრატების" სახელის გასატეხად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. მით უმეტეს, რომ ასეთი კამპანია ტელეეკრანებზე კლიპის გამოჩენისთანავე დაიწყო. ამიტომ, "ერთდროულად ორ სკამზე მჯდომის" დამღით პარლამენტში ყოფნას, "ბურჯანაძე-დემოკრატების" თბილისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ღირსეულად გაცლა ამჯობინა. არადა, სალარიძეს ნამდვილად შეეძლო მომხდარისთვის წაეყრუებინა და მომავალ პარლამენტში უპრობლემოდ შესულიყო: მისი ნების გარეშე "ბურჯანაძე-დემოკრატების" სიებიდან ვერავინ ამოაგდებდა.

სალარიძის მიერ გადადგმულ ნაბიჯს პარლამენტის სპიკერის გუნდში გაგებით და მოწონებით შეხვდნენ. **"ეს საკითხი ნინო ბურჯანაძემ და დავით სალარიძემ ერთობლივად გადაწყვიტეს,"** - აღნიშნავს ზურაბ ჟვანია, რომელიც არ მალავს, რომ მისი ბლოკი ძალიან რთულ და ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და დავიდარაბის გარეშე ვითარების განმუხტვით ძალიან კმაყოფილია.

სალარიძის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ერთგვარად დაჩრდილა და მეორე პლანზე გადაიტანა ის ფაქტები, რომლებიც, სხვა დროს, "ახალი ამბების" გამოშვებებში, აუცილებლად მოხვდებოდა.

არადა, "სალარიძეგეიტი" რომ არ ყოფილიყო, საინფორმაციო საშუალებები თავის გამოშვებებს, შესაძლოა, დღეს ასე დაიწყებდნენ: **"საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ერთობ საინტერესო განცხადება გააკეთა. მან მოუწოდა ოპოზიციას, რომ, თუ გაერთიანება 2 ნოემბრამდე ვერ მოხერხდება, ეს იქნებ მას შემდეგ მოხდეს, როდესაც ოპოზიციური პარტიები მომავალ პარლამენტში ერთად იქნებიან,"** - ბურჯანაძე მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობს, მაგრამ, რად გინდა - პოტენციურ მოკავშირეებს მოწოდება ნაკლებად იზიდავთ!

და კიდევ, პარლამენტის სპიკერმა გუშინ პირველად იხმარა ტერმინი: **"ოპოზიციური უმრავლესობა"**.

ის, რაც გუშინ სმენისთვის მიუჩვეველი იყო, ხვალ, ალბათ, მოარულ სიტყვად იქცევა!

თუმცა, ვიდრე ოპოზიცია უმრავლესობა გახდება, მანამდე კიდევ დროა საჭირო.

**"2 ნოემბერს ხალხი გამოუტანს განაჩენს მაჯლაჯუნა ხელისუფლებას,"** - ვასილ მაღლაფერიძის და მისი თანამოაზრეების ასეთი შეპირებით დაემშვიდობნენ გუშინ სპორტის სასახლეში მოსულ მხარდამჭერებს "ბურჯანაძე-დემოკრატები".

დრო არ ჩერდება. მეტიც, "ბურჯანაძე-დემოკრატების" აზრით, მათი წელთაღრიცხვა სწორედ ახლა იწყება.

# ალღუმს ოპოზიცია უძღვება

ლენა მიქაძე

*დამარცხებული და გამარჯვებული 2 ნოემბრის შემდეგ გამოჩნდება, მას შემდეგ, რაც, ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნებიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში, შედეგებს შეაჯამებს. მანამდე სავარაუდო დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ჯგუფების სოციოლოგიური გამოკითხვებით შეიძლება.*



სამკვირიანი სოციოლოგიური კვლევის შედეგების დემონსტრირება.

ამის საშუალება ამომრჩეველს, გარკვეულწილად, "არჩევნების მედია ცენტრმაც" მისცა. სამი კვირის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგებს "მედია-ცენტრში", საბოლოოდ, 30 ოქტომბერს შეაჯამებენ. გუშინ აქ წინასაარჩევნო რეიტინგები ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ექსპერტმა გიგი თევზაძემ წარმოადგინა. "წინასაარჩევნო რეიტინგების" პროექტი, ფილოსოფიის და სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად, სოციოლოგიურმა ცენტრმა და "ღია საზოგადოება-საქართველომ" განახორციელა. პროექტის მესამე კვირის შედეგები ასეთია: გამოკითხულია 1300 რესპონდენტი. რეიტინგის მიხედვით, პოლიტიკური სიის სათავეში "ბურჯანაძე დემოკრატები" (19,4 პროცენტი), "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა" (19,2 პროცენტი) და "ლეიბორისტები" (16,0 პროცენტი) არიან. სახელისუფლებო ბლოკი (9,1 პროცენტით) მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. მეხუთეზეა "აღორძინება", შემდეგ - "ერთობა" და ბოლო ადგილზე - "მრეწველები."

1300-კაციანი ფოკუს-ჯგუფის 71 პროცენტს არჩევნებზე მისვლის სურვილი აქვს. მათი უმრავლესობა ამტკიცებს, რომ მასმედიით გამოქვეყნებული პარტიის პოლიტიკური რეიტინგებით ინტერესდება და ეს შედეგები რეალობას შეესაბამება, თუმცა, არჩევანის გაკეთებაზე არ მოქმედებს. იმავე მონაცემებით, გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება საარჩევნო უბანზე არჩევნების დღეს არჩევნების გაყალბებასაც შეუშლის ხელს.

### ეკა კვესიტაძის სვეტი

# „ეს არ არის მათი სახე - აი, მათი სახე"

*სახელისუფლებო პლაკატებზე გამოსახული უმანკო პატარა ბავშვი ნამდვილად არ არის იმ ხელისუფლების სახე, რომელიც ამ ქვეყნის ყველაზე ოდიოზური ფიგურებით არის წარმოდგენილი – ლევან მამალაძით, ვიტალი ხაზარაძით, ავთო ჯორბენაძით, ირინა სარიშვილით, ვახტანგ რჩეულიშვილით და ასე შემდეგ, თვით ბატონი პრეზიდენტის ჩათვლით.*

*რა აერთიანებთ ამ არაპოპულარულ ადამიანებს ერთმანეთთან, რომელთა შორის ერთი ისეთი სახეც კი ვერ მოიძებნა, სახელისუფლებო ბლოკს საარჩევნო პლაკატზე რომ გამოესახა?*

თუ აქამდე "მოქალაქეთა კავშირი", მართალია, სხვადასხვა ძალთა კონგლომერატს, მაგრამ მაინც ერთ მონოლითურ პარტიას წარმოადგენდა, ხოლო ოპოზიცია პარლამენტში მოსახვედრად გაურკვეველ ბლოკებში ერთიანდებოდა, დღეს სულ სხვა სურათი მივიღეთ.

არჩევნების წინ ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანების გეგმა ჩაიშალა. შესაძლოა, ეს ერთიანობა ძალიან მომგებიანი ყოფილიყო, მაგრამ დადებითი შედეგი ამ არშემდგარი გაერთიანებისგანაც მივიღეთ. საქართველოში პირველად მოხდა პოლიტიკურ ძალთა კრისტალიზება - ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პარტიები, რომელთა სახე და მიმართულება, ასე თუ ისე, გამოკვეთილია და მოსახლეობას, შესაბამისად, არჩევანის მეტი საშუალება მიეცა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, თუ აქამდე მოქალაქეთა კავშირში გაერთიანების მოტივაცია შევარდნაძის ფიგურა იყო, დღეს კორექტირება ამ "ჭეშმარიტებამაც" განიცადა. რა უნდა აერთიანებდეს ერთმანეთთან დაპირისპირებულ მამალაძესა და ჯორბენაძეს, ან იგივე ჯორბენაძესა და ზოდელავას, რომელთაც, დიდი ხანია, ერთმანეთის აუტანლობა სჭირთ? რა აკავშირებს ამ ყველაფერთან ირინა სარიშვილს და ასე შემდეგ?

დღეს დაბერებული შევარდნაძე უკვე ნამდვილად ველარ გამოდგება იმ ლოკომოტივად, რომელიც ამ "ჩაწოლილი საქონლის" გვირაბის ბოლოს, სამშვიდობოზე გაყვანას მოახერხებს. ამ არაპოპულარული ძალისთვის, რომელთა შორის ერთი რეიტინგული ადამიანიც კი არ მოიძებნება, მთავარი ახლა გადარჩენა და გარანტიების მიღებაა, რომ მათ უზრუნველ ცხოვრებას არაფერი დაემუქრება. არჩევნებამდე, რა თქმა უნდა, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად უკმაყოფილოა ჯორბენაძე მამალაძით ან ზოდელავათი, ან პირიქით, რამდენად ნაწყენი დარჩა რჩეულიშვილი და სარიშვილი ბლოკის სიაში მიღებული კვოტებით, რადგან დღეს მთავარია, რომ ის სისტემა შენარჩუნდეს, რომელშიც ეს ადამიანები თავს კომფორტულად გრძნობენ, ხოლო მის გარეთ ყველანაირ სიცოცხლისუნარიანობას კარგავენ.

შევარდნაძე თვალსა და ხელს შუა ბერდება, ამიტომ მათ დღეს უნდა ეძებონ სისტემის გადარჩენის ახალი გარანტიები, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთად დგომაში და ერთამანეთის რესურსების მაქსიმალურ გამოყენებაში გამოიხატება.

დღეს მამალაძე სჭირდება ჯორბენაძეს, რადგან ქვემო ქართლის ხმები არაპოპულარული გაერთიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია; საჭიროა ქალაქის მერის ადმინისტრაციული რესურსებიც, რჩეულიშვილის უხვი ფინანსები, ხელისუფლების იდეების გასახმოვანებლად - სრულიად უპერსპექტივო, მაგრამ დანარჩენებთან შედარებით, მოლაპარაკე სარიშვილი და ასე შემდეგ.

მაგრამ, რა იქნება არჩევნების შემდეგ?

დღეს ამ ადამიანებს კიდევ შერჩათ იმის იმედი, რომ შესაძლოა, ისტორიის კანონზომიერი განვითარება შეაჩერონ და სისტემა კიდევ ცოტა ხნით შეინარჩუნონ. მაგრამ თუ დაინახეს, რომ გემი იძირება, თავშესაფრის ძიებას ვირთხების მსგავსად შეეცდებიან.

მომავალ პარლამენტში დაშლის ალბათობა ისე არავის ემუქრება, როგორც სახელისუფლებო ბლოკს. მაშინ, როცა ამის საშიშროება თითქმის მინიმალურად უდგათ ოპოზიციურ პარტიებს ("ლეიბორისტების" გამოკლებით). გაურკვეველი შემადგენლობის პროშევარდნაძისტული ბლოკი მაშინვე დაიშლება, როგორც კი ამ ბლოკის სუბიექტები საშიშროებას იგრძნობენ და - იმის აუცილებლობას, რომ "ძველი ჭეშმარიტებები" შეაჩვენონ.

რომელს გაუჭირდება ამის გაკეთება - ირინა სარიშვილს, ვახტანგ რჩეულიშვილს თუ სხვებს?

# მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

## აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი

სოფო ბუკია

## აჭარა

### ბათუმი

■ ირაკლი ჯაში, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ინჟინერ-ტექნოლოგი, შპს "ოდისეი"-ს დირექტორი

■ ზურაბ მიქელაძე, "ახალი საქართველოსთვის", აგრონომი

■ დავით ბერძენიშვილი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", ისტორიკოსი, საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ნაციონალების" თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე

■ თემურ თურმანიძე, "ლეიბორისტული პარტია", მათემატიკოსი

■ ჯემალ გოგიტიძე, "აღორძინება", პარლამენტარი

■ თემურ სამნიძე, "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია"

1999 წელს ბათუმის მაჟორიტარი "აღორძინების" წევრი **ასლან სმირბა** გახდა. წელს ბათუმურმა ბლოკმა სმირბას ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი **ჯემალ გოგიტიძე** ამჯობინა. გოგიტიძეს და "აღორძინებას" "ნაციონალური მოძრაობა" ბათუმში **დავით ბერძენიშვილს** უპირისპირებს. თუ რა ბედი ეწია ბერძენიშვილის მცდელობას, ბათუმში საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია ჩაეტარებინა, ყველამ კარგად იცის. სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს ასლან აბაშიძის სატახტო ქალაქში ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ზურაბ მიქელაძე** დაიცავს. 1999 წელს მიქელაძე ქედაში ცდიდა ბედს "მოქალაქეთა კავშირის" სახელით, თუმცა უშედეგოდ. წელს სახელისუფლებო ბლოკმა მას აჭარის დედაქალაქი ანდო. "ლეიბორისტების" რჩეული ბათუმის მე-17 სკოლის დირექტორის მოადგილე, მათემატიკის მასწავლებელი **თემურ თურმანიძეა**.

### ქედა

■ გივი საფარიძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

■ თამაზ ზოიძე, "ლეიბორისტული პარტია", მშენებელი

■ არსენ მგელაძე, "აღორძინება", ზოოინჟინერი, პარლამენტარი

1999 წელს ქედის მაჟორიტარი **არსენ მგელაძე** გახდა. მგელაძე წელსაც იგივე გზით ცდილობს პარლამენტში მოხვედრას. "მრეწველთა" კანდიდატი **გივი საფარიძე** სს "შავი ზღვის აუქციონის ბანკის" სალიკვიდაციო კომისიის წევრია.

### ქობულეთი

■ რუსლან ინაშვილი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

■ ნანი ცივაძე, "ახალი მემარჯვენეები", ფილოლოგი

■ გულნარა ბასილაძე, "ახალი საქართველოსთვის", ბიბლიოგრაფი

■ კობა ხაბაზი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", რესპუბლიკური პარტია

■ თემურ დავითაძე, "ლეიბორისტული პარტია", ფილოლოგი

■ როსტომ ჯაფარიძე, "აღორძინება", პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

■ მურად ვერულიძე, "ერთიანი კომუნისტური პარტია"

■ შოთა ბერიძე, "მძლეველი"

ქობულეთში ერთმანეთს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შეეჯიბრებიან. "ახლების" კანდიდატი **ნანი ცივაძე** ქობულეთის მე-7 საშუალო სკოლაში ასწავლის, "ლეიბორისტების" ფავორიტი **თემურ დავითაძე** კი - ბათუმის 21-ე საშუალოში. ქართული ენის მცოდნეებს "მრეწველები" ქობულეთის საკონსერვო ქარხნის დირექტორს **რუსლან იაშვილს** უპირისპირებს. "ნაციონალების" კანდიდატი **კობა ხაბაზი,** ცნობილი ბათუმური მოვლენების შემდეგ, დღესაც ვერ დგება ლოგინიდან. "აღორძინება" ქობულეთელებს წელსაც **როსტომ ჯაფარიძის** კანდიდატურას ურჩევს. ბიბლიოგრაფი **გულნარა ბასილაძე**, რომელიც საკურორტო ქალაქში სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს დაიცავს, ქობულეთელების დახმარებით პარლამენტში მოხვედრას 1999 წელსაც ცდილობდა.

### შუახევი

■ ფრიდონ დავითაძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ისტორიკოსი, შპს გაზეთ "ცისკრის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი

■ დავით რობაქიძე, "ლეიბორისტული პარტია", საქონელმცოდნე

■ იური დავითაძე, "აღორძინება"

1999 წელს შუახევის მაჟორიტარი **ანზორ გოგიტიძე** გახდა. წელს "აღორძინებამ" გოგიტიძე **იური დავითაძეთი** შეცვალა. დავითაძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მისი მოგვარე **ფრიდონ დავითიძე** "მრეწველების" იმედების გამართლებას შეეცდება.

### ხელვაჩაური

■ თევრათ დიასამიძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", აგრონომ-ეკონომისტი

■ თემურ ნიჟარაძე, "ლეიბორისტული პარტია"

■ ვახტანგ აბაშიძე, "აღორძინება", ეკონომისტი, პარლამენტარი

■ ნაზი მამულაძე, "ერთიანი კომუნისტური პარტია"

■ ნონა ბეჟანიძე, "ერთიანი საქართველო"

1999 წელს ხელვაჩაურმა **ვახტანგ აბაშიძე** აირჩია. როგორც ჩანს, წელსაც იგივე მოუწევს, "აღორძინებამ" ხელვაჩაურში საკუთარი კანდიდატი უცვლელი დატოვა. აბაშიძეს დაუპირისპირდება "მრეწველი" ინდმეწარმე **თევრათ დიასამიძე** და "ლეიბორისტი" სამართალმცოდნე **თემურ ნიჟარაძე**.

### ხულო

■ ზურაბ ხიმშიაშვილი, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა", სამართალმცოდნე

■ მზია წერეთელი, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი, ბათუმის სს "საზღვაო ბანკის" კვანძგარეთა სალაროს მოლარე

■ ოთარ ღორჯომელიძე, "აღორძინება", აგრონომი, პარლამენტარი

■ ნინო ჩოგაძე, დამოუკიდებელი

ხულოს ამჟამინდელი მაჟორიტარი **ოთარ ღორჯომელიძე** 1999 წელს დამოუკიდებლად ასპარეზობდა, წელს მას საიმედო პარტნიორი "აღორძინება" დაიცავს. "ლეიბორისტების" რჩეული მანდილოსანი **მზია წერეთელი** ბათუმის სს "საზღვაო ბანკის" კვანძგარეთა სალაროს მოლარე გახლავთ.

## რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი

### ონი

■ დარეჯან გუგეშაშვილი, "დედა სამშობლო"

■ რევაზ ნოდარიშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

■ დავით საგანელიძე, "ახალი მემარჯვენეები",

■ თამაზ მეტრეველი, "ლეიბორისტული პარტია", "ლეიბორისტების" რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორი

■ ვასილ მეტრეველი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", ფინანსისტი

■ ამირან კერესელიძე, "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა",

■ გიორგი ბიჭაშვილი, "აღორძინება", ინჟინერ-მექანიკოსი

1999 წელს ონელების რჩეული "მოქკავშირელი" **რევაზ ნოდარიშვილი** გახდა. მთიანი რეგიონებისა და განსახლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე წელსაც არ იცვლის მსოფლმხედველობას და სახელისუფლებო ბლოკის ფავორიტად რჩება. ონელების გულის მოგებას შეეცდება "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი **დავით საგანელიძე**. "ლეიბორისტების" რჩეულია მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავ-გამომჭრელი, ონის რაიონის სოფელ გომის თემის თავმჯდომარე **თამაზ მეტრეველი**. ონის მაჟორიტარობის კანდიდატია ასევე ჯაბა იოსელიანის აქტიური თანამებრძოლი, "თეთრ მაგნოლიად" წოდებული დოდო გუგეშაშვილი.

### ამბროლაური

■ ნიკო ლეკიშვილი, დამოუკიდებელი

■ ილია კენჭაძე, "აღორძინება", ისტორიკოსი

■ თამაზ არჩვაძე, "ერთობა"

**ამბროლაურელთა** უდავო ფავორიტია გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე, თბილისის ყოფილი მერი, ამბროლაურის ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატი **ნიკო ლეკიშვილი.** 1999 წელს ლეკიშვილი "მოქალაქეთა კავშირის" მხარდაჭერით სარგებლობდა, წელს იგი დამოუკიდებლად მოქმედებს.

### ცაგერი

■ ავთანდილ სილაგაძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პროფესორი

■ დავით ჩხეტიანი, "ლეიბორისტული პარტია", ეკონომისტი

■ ვალერი გიორგობიანი, "ბურჯანაძე-დემოკრატები"

■ კარლო მუშკუდიანი, ბლოკი "მშვიდობიანი კავკასია"

სახელისუფლებო ბლოკმა ცაგერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ეკონომიკურ დარგში, ქონების მართვის ყოფილი მინისტრი **ავთანდილ სილაგაძე** მიავლინა. სილაგაძე 1999 წელსაც ცაგერის მაჟორიტარობას გეგმავდა, თუმცა დამოუკიდებელ კანდიდატ კარლო მუშკუდიანთან დამარცხდა. სილაგაძე 1999 "მოქკავშირის" რჩეული გახლდათ. **კარლო მუშკუდიანი** წელს "მშვიდობიანი კავკასიის" სახელით ასპარეზობს.

### ლენტეხი

■ გოგი ლიპარტელიანი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

1999 წელს ლენტეხის მაჟორიტარი თენგიზ გაზდელიანი გახდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე წლევანდელ კანდიდატთა სიაში არ არის. ლენტეხის მაჟორიტარობას წელს კრწანისის ამჟამინდელი მაჟორიტარი გოგი ლიპარტელიანი აპირებს.

### მესტია

■ კახა ფანგანი, დამოუკიდებელი

■ ზვიად კვიციანი, დამოუკიდებელი

■ ვიქტორ ჯაფარიძე, დამოუკიდებელი

■ ივერი ჭელიძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი

■ მაიზერ გელოვანი, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი, გაზეთ "რეზონანსის" კორესპონდენტი

1999 წელს მესტიის მაჟორიტარი დამოუკიდებელი კანდიდატი **ლევან პირველი** გახდა. პირველმა წელს მთას ბარი ამჯობინა და ჩუღურეთის მაჟორიტარობას "მრეწველთა" რიგებიდან შეეცდება. 1999 წელს პირველთან ბრძოლაში დამარცხდა სტალინის დიდი გულშემატკივარი, "ერთიანი საქართველოს" ლიდერი **ავთანდილ მარგიანი**. სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს ცაგერში პარლამენტარი **ივერი ჭელიძე** დაიცავს. 1999 წელს ჭელიძე პარლამენტში "მოქკავშირის" პარტიული სიით მოხვდა.

# საქართველომ "შაჰ-დენიზის" გაზის მოწოდების გარანტიები მიიღო

## ედუარდ შევარდნაძე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის პერიოდისთვის გია ჭანტურიას "დააჯილდოებს"



ჭანტურიას პრეზიდენტისგან ჯილდო ერგება.

საქინფორმი

*საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ პირდაპირი მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ საპრეზიდენტო ვადის დასრულების პერიოდისთვის საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გია ჭანტურიას დაჯილდოებას აპირებს. ჯილდოს სახეობა საქართველოს პრეზიდენტს გუშინ არ დაუზუსტებია, თუმცა ინტრიგა "შემოაგდო"...*
*ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მასთან არსებული სამხრეთ-აღმოსავლეთის ენერგეტიკული დერეფნის განვითარების ხელშეწყობის კომისიის სხდომაზე გააკეთა.*
*სხდომაზე "ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის" კომპანიისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოთხი პაკეტისგან შემდგარ ხელშეკრულებას საქართველოსათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობა თითქმის სრული შემადგენლობით და უცხოელი სტუმრები. ხელის მოწერის ცერემონიალი ძალიან დაემსგავსა მორიგ წინასაარჩევნო სანახაობას, სადაც საქართველოს ნათელი და "თბილი" მომავლის პერსპექტივა დაიხატა.*

თამარ ხორბალაძე

რაც შეეხება გუშინდელი მოვლენის ეკონომიკურ მხარეს - გუშინ ხელმოწერილი ხელშეკრულებებით ინვესტორები ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად მიწოდების გარანტიას აძლევენ საქართველოს.

ხელშეკრულებების თანახმად, სატრანზიტო გადასახადების სახით საქართველო უფასოდ მიიღებს აზერბაიჯანის საბადო "შაჰ-დენიზი"-დან თურქეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5 პროცენტს, რაც ყოველწლიურად 1,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზია.

გარდა ამისა, პროექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში საქართველო სპეციალურ ფასში (55 აშშ დოლარი ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისთვის) შეისყიდის ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის ინვესტორებისგან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს 500 მილიონი კუბური მეტრის ოდენობით.

მოკლედ, პროექტის მოქმედების ვადის 40 წლის განმავლობაში (გაზსადენის პროექტის პარამეტრების შესაბამისად) საქართველო სატრანზიტო გადასახადის სახით უფასოდ მიიღებს 50 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს; სპეციალური ფასით საქართველო სულ შეისყიდის 8,8 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს.

საქართველოს ბიუჯეტის მიერ მისაღები შემოსავალი (ბუნებრივი გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ და უფასოდ მიღებული და სპეციალური ფასით შესყიდული გაზის მონეტარიზაციის შედეგად) პროექტის ხანგრძლივობის 40 წლის განმავლობაში შეადგენს 7 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ წელიწადში, საშუალოდ, 175 მილიონ დოლარს.

წინასწარი გეგმის თანახმად, გაზსადენისათვის განკუთვნილი მილების შემოტანა და ჩადება დეკემბერში დაიწყება. ამ გაზსადენის მშენებლობა, დაახლოებით, 18 თვეში დასრულდება.

აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ნატიკ ალიევის განცხადებით, შაჰ-დენიზის საბადო თავისი მნიშვნელობით უნიკალურია და იქ არსებული ბუნებრივი აირის მარაგი 1.3 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

შეგახსენებთ: შაჰ-დენიზი-ერზრუმის გაზსადენის პროექტს შარშან მოეწერა ხელი. საქართველოს პარლამენტმა პროექტს რატიფიცირება მაშინვე გაუკეთა. ხელშეკრულება, რომელსაც გუშინ მოეწერა ხელი, შარშან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაფორმდა.

# ფილიპ მორისს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა

ანა გახარია

კომპანია "ფილიპ მორისს" მსოფლიო ბაზარზე ახალი სერიოზული კონკურენტი გაუჩნდება. ამერიკული კომპანია RJ Reynolds Tobacco Holdings აპირებს ბრიტანული თამბაქოს კომპანიის British American Tobacco PLC შეძენას. შედეგად, შეიქმნება ახალი კორპორაცია სახელწოდებით Reynolds American, რომლის ღირებულება 6,2 მილიარდ დოლარს შეადგენს და, სავარაუდოდ, მისმა ყოველწლიურმა კაპიტალბრუნვამ 10 მილიონი დოლარი უნდა შეადგინოს. კომპანიის სამომავლო გეგმები ამერიკის ბაზარზე თავისი პოზიციების გამყარებასა და ხარჯების 500-800 მილიონი დოლარით შემცირებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია რომ, მხარეები თანაბარი რაოდენობის აქციებს არ ფლობენ. BAT აქციების მხოლოდ 42%-ის მეპატრონეა და ათი წლის განმავლიბაში ამ პაკეტის გაზრდის უფლება არ აქვს მაშინ, როდესაც მეორე მხარე აქციების 52% ფლობს. შეგახსენებთ რომ ეს ორი კომპანია შეერთებამდე მსოფლიოში პოპულარულ სიგარეტებს "luck Strike", "Pall Mall", "Dunhill", "Winston Camel"-ს აწარმოებდა.

# არჩევნები და ენერგეტიკა

პირველი გვერდიდან

როგორც "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა დააზუსტა, მეცხრე ბლოკი 250 მეგავატი სიმძლავრით გაზაფხულამდე იმუშავებს. ამისათვის ის დღე-ღამეში 70 ათას კუბურ მეტრ "გაზპრომისეულ" გაზს დახარჯავს. **"მთავარი ისაა, რომ ტექნიკამ არ გვიღალატოს. არადა, ტექნიკა ძველია, მოუვლელი. რაც შევძელით – გავაკეთეთ. დანარჩენს დრო გვაჩვენებს,"** - ასეთი იყო მიკოლაიუნასის კომენტარი.

სხვათა შორის, "თბილსრესის" პერსონალი მეცხრე და მეათე ენერგობლოკებს დღემდე "ახალ ბლოკებს" ეძახის. ეს ბლოკები 1994 წელს "თბილსრესზე" მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა, რის შემდეგაც მათ აღსადგენად თანხა მსოფლიო ბანკმა გამოყო. განმეორებითი ხანძარი "თბილსრესზე" 1996 წელს მოხდა. ამის შემდეგ ბლოკების აღდგენა გერმანიის საკრედიტო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხებით განხორციელდა. სამუშაოები გერმანულმა "სიმენსმა" შეასრულა, მაგრამ ამის შემდეგ "თბილსრესზე" ხანძარი კიდევ განმეორდა და ამჯერად მას მხოლოდ მეათე ბლოკი შეეწირა. ამ დროისათვის "თბილსრესის" მეცხრე-მეათე ენერგობლოკები უკვე "ეი-ი-ესის" განკარგულებაში იყო. ახლა მეათე ბლოკის აღდგენის თაობაზე "თელასის" ახალი – "რაოელი" მენეჯერები საუბრობენ, მაგრამ ძალიან მოკრძალებულად. **"ჩვენ ჯერ ბევრი სხვა პრობლემა გვაქვს..."** - ფრთხილობს მიკოლაიუნასი.



ჭორბენაძემ ენერგეტიკის ნათელ მომავალზე დიდხანს და მონოტონურად ილაპარაკა.

მაია ურუშაძის ფოტო

და ბოლოს: "თბილსრესის" ტექნიკური პერსონალის განმარტებით, 300-მეგავატიანი მეცხრე ბლოკი მხოლოდ 250 მეგავატ სიმძლავრეზე იმიტომ იმუშავებს, რომ მეტის გამომუშავებას მეტი გაზი დასჭირდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზის ხვედრითი ხარჯი ამ ბლოკებზე სიმძლავრის მატებასთან ერთად მცირდება. სპეციალისტთა განმარტებით, ამ ბლოკების მუშაობა მაღალ სიმძლავრეზე უფრო რენტაბელურია: **"მთავარია, ტექნიკურად გამართული იყოს."**

მაგრამ, მთავრობას ხომ დღეს ბლოკის რენტაბელობაზე მეტად ოქროს კილოვატსაათები აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, არჩევნების წინ მაინც.

# იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა...

პირველი გვერდიდან

სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ოპტიმისტური განწყობის კიდევ ერთი მიზეზი ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობის ბუმია. კანონიერია ის თუ უკანონო, დეპარტამენტში ეს ნაკლებად აინტერესებთ, მთავარია, რომ ქვეყანაში რაღაც შენდება. უკანასკნელი მხოლოდ ცხრა თვის განმავლობაში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 376 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

რაც შეეხება ტურიზმს - 1 ოქტომბრის მონაცემებით, წელს საქართველოში შემოვიდა 238.2 ათასი ვიზიტორი, მათ შორის დსთ-დან - 132.2 ათასი, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან - 105.9 ათასი. ხსენებული პერიოდის განმავლობაში საქართველოდან გავიდა ჩვენი ქვეყნის 264.0 ათასი მოქალაქე, რაც გასულ წელთან შედარებით 19.8 ათასი კაცით მეტია. სტატისტიკისა და ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი შეფასებით, ამ სფეროდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავლებმა იანვრიდან-სექტემბრის ჩათვლით შეადგინა 559.8 მილიონი ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9.1 პროცენტს შეადგენს.

12-თვიანი პერიოდის განმავლობაში 2003 წლის სექტემბერს (2002 წლის სექტემბერთან შედარებით) ფასების საერთო დონე გაიზარდა 5.2 პროცენტით, მათ შორის სურსათზე – 7.1 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე – 3.9 პროცენტით.

1 ოქტომბრის მდგომარეობით, დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობამ 48.6 ათასი კაცი შეადგინა. 2003 წლის 1 იანვართან შედარებით ეს მაჩვენებელი 24.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 37.3 პროცენტით.

2003 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1051.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 136.2 პროცენტია; აქედან ექსპორტი 307.4 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტი - 744.0 დოლარი. იმპორტის ასეთი ზრდა ისევ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დამსახურება ყოფილა. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ნავთობსადენისთვის საჭირო სამშენებლო მასალებსა და მოწყობილობებზე მოდის. ამდენად, იანვრიდან დღემდე საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 436.6 მილიონი დოლარი შეადგინა.

# მსოფლიო ბანკი მიწის რეფორმას მომავალშიც დააფინანსებს

ნინო ნარჩემაშვილი

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით მიმდინარეობს პროექტი - "მიწის რეგისტრაციის კომპონენტი", რომელიც თავის საქმიანობას მიწის სარეგისტრაციო სისტემის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს, რაც მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემისთვის აუცილებელი პირობაა.

პროექტი, რომლისთვისაც ექვსი მილიონი აშშ დოლარი გამოიყო და რომელიც, თავდაპირველად, მხოლოდ მცხეთისა და გარდაბნის რაიონების მოსახლეობის მომსახურებისათვის იყო გამიზნული, ამჟამად თანხების დაზოგვის საშუალებით ქვეყნის სხვა რაიონებშიც (მათ შორის - საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც აგრარული სექტორის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს) ახორციელებს საკადასტრო ინფორმაციის შეგროვებისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის სამუშაოებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ტექნიკური მენეჯერის ლალი დურმიშიძის განცხადებით, ამჟამად მიწის რეგისტრაციის სამუშაოები ცაგერის, ონის, ლენტეხის, ამბროლაურის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის რაიონებშიც მიმდინარეობს. პროექტი საქართველოს ათ სხვადასხვა რეგიონში აწარმოებს მიწის სარეგისტრაციო ოფისების მშენებლობასა და ტექნიკურ აღჭურვას. სამომავლოდ კი (პროცესების აქტუალობის გათვალისწინებით) მსოფლიო ბანკი ახალი პროექტის დაფინანსებას გეგმავს. პროექტის ხელმძღვანელის ივერი მელაშვილის ინფორმაციით, **"აღნიშნულ სფეროში ეს მსოფლიო ბანკის პირველი პროექტი გახლავთ. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ადამიანებმა, რომელთაც საკუთრებაში მიწა და სხვა უძრავი ქონება გადაეცათ, გაიგეს საკუთარი უფლებები, შესაძლებლობები, გარანტიები, სად და როგორ შეიძლება ქონებაზე საკუთრების მოპოვება, როგორ გამოიყენონ თავიანთი კუთვნილი უძრავი ქონება"**..

გარდაბნის რაიონში კი "მიწის რეგისტრაციის კომპონენტმა" მუშაობა ფაქტობრივად დაასრულა. კერძო მფლობელობაში დაახლოებით 21 ათასი ჰექტარი მიწის ფართობია გადაცემული. თითოეულ მესაკუთრეს (კატეგორიის შესაბამისად) საკუთრებაში საშუალოდ ნახევარ ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი გადაეცა. გარდაბანში გამართულ ქვემო ქართლის მიწის მართვის უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრაზე, სადაც "მიწის რეგისტრაციის კომპონენტის" მიერ ჩატარებული სამუშაო შეფასდა, ითქვა, რომ მიწის რეფორმის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი მიწის დანაწევრება გახლავთ. (გარდაბნის რაიონის მიმართ ქვემო ქართლის მხარის მონაცემების განზოგადებით მიწის მესაკუთრეთა დაახლოებით 29 პროცენტს მიღებული აქვს 0.25 ჰექტარი და ნაკლები ფართობის მიწა, 17 პროცენტს - 0.25-დან 0.50 ჰექტარამდე ფართობი, 8 პროცენტს- 0.5-0.75 ჰექტარი, 6 პროცენტს - 0.75-1.0 ჰექტარი, ხოლო 42 პროცენტს - 1.0 და მეტი ჰექტარი). ეს იწვევს მაღალინტენსიური სავარგულების გამორიცხვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან, იკარგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და იზრდება დაუბეგრავი ფართობები, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ლალი დურმიშიძე აღნიშნავს, რომ მიწის რეფორმის მიმდინარეობისას (არსებული ხარვეზების გათვალისწინებით) "მიწის რეგისტრაციის კომპონენტის" მიერ ჩატარებული სამუშაოები განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ პროექტი სოციალური კვლევის კომპანიის - "გორბის" საშუალებით აწარმოებს საქართველოში მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული მდგომარეობისა და ტრანსაქციების პროცესის შესწავლას. ივერი მელაშვილის განცხადებით, კვლევის პროცესმა უნდა გამოკვეთოს დადებითი და უარყოფითი მაგალითები და გვიჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობს მცირე ბიზნესისა და ფერმების ჩამოყალიბება და მათი კაპიტალის სახით გარდაქმნა. ასევე აუცილებელია ისეთი შემთხვევების გათვალისწინება, როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან ძალდატანება და მიტაცება, ან ქონების გაყიდვა ვალის გამო. სოციალური კვლევის პროცესში უნდა დადგინდეს გაუნაწილებელი სახელმწიფო მიწების რაოდენობა და განხორციელდეს მათი გამოყენების ანალიზი.

## მოკლედ

### დეპოზიტები, ძირითადად, შვიდ უმსხვილეს ბანკშია კონცენტრირებული

ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, კომერციული ბანკების სააქციო კაპიტალი, მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით, 8 პროცენტით გაიზარდა და 341 მლნ. ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორში ბანკების განვითარებისა და ძალთა გადანაწილების შედეგად, სულ უფრო მეტად იკვეთება ის ბანკები, რომლებიც საბანკო სექტორის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ და რომელთა ფინანსური სიჯანსაღეც საბანკო სისტემის სტაბილურობის ხარისხს განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოში 25 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, ერთობლივი აქტივები, მთლიანი ვალდებულებები და დეპოზიტები, ძირითადად, 7 უმსხვილეს ბანკშია კონცენტრირებული, რომელთაგან თითოეული საბანკო სისტემის აქტივების 5 პროცენტზე მეტს ფლობს. ბანკების ეს ჯგუფი მიზანდასახული საქმიანობით, საბანკო მომსახურების ფართო სპექტრით, ფილიალების ზრდადი ქსელით გამოირჩევა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბოლო დღეებში გახშირებული კოკისპირული წვიმების მიზეზით ადიდებულმა მდინარე კოდორმა ხეობის 11 ჰესი წაიღო, რის გამოც ხეობას ელექტროენერგიის მიწოდება მთლიანად შეუწყდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის გამო, თბილისში ბუნებრივი აირის მოხმარება დღე-ღამეში 150 ათასი კუბური მეტრით გაიზარდა. თუმცა, "თბილგაზში" ირწმუნებიან, რომ დედაქალაქში წნევის ვარდნა აირის მოხმარების გაზრდას არ უკავშირდება და მომწოდებელი კომპანია "თბილგაზს" საკმარისი მოცულობის აირით ამარაგებს. "გუშინ ვაკეში და საბურთალოზე აირის წნევის ვარდნა მართლაც აღინიშნა. ადგილზე სპეციალისტთა გასვლის შემდეგ გაირკვა, რომ დაუდგენელმა პირებმა გაზის ვენტილები გადაკეტეს, რის გამოც წნევა დავარდა. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია," - განაცხადეს კომპანიაში. აირის დაბალი წნევა ისნის რაიონშიც შეინიშნება. "თბილგაზი" ამ რაიონში რეჟიმების აღდგენას დღეისთვის ვარაუდობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატა, აზიის ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციათა გაერთიანების მე-9 ასამბლეის მმართველობითმა საბჭომ, აზიის ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოების - ASOSAI-ის სრულუფლებიან წევრად აირჩია. საქართველოს კონტროლის პალატის ინფორმაციით, აღნიშნული ღონისძიება ფილიპინების დედაქალაქ მანილაში შედგა, რომელშიც საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მონაწილეობდა. საქართველოს კონტროლის პალატის ASOSAI-ში გაწევრიანება, აზერბაიჯანის საანგარიშო პალატის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა. ამ ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი ქვეყნები არიან: ტაილანდი, ჩინეთი, ბანგლადეში, ინდოეთი, კორეა, პაკისტანი, იაპონია, ქუვეითი და ფილიპინები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსულმა კომპანია „გაზპრომმა" საკუთარი მუშაობის გამჭვირვალობის ასამაღლებლად ცნობილი PR-კომპანია „Spincontrol"-ი დაიქირავა. ხვალ კომპანიის სათავო ოფისში, მოსკოვში, თავისი მასშტაბით უდიდესი ღონისძიება იგეგმება — „გაზპრომის" მენეჯერები და გაზმომპოვებელი რეგიონული საწარმოების გენერალური დირექტორები ჟურნალისტებთან „გაზპრომის" ბოლოდროინდელ მიღწევებზე და წარუმატებლობებზე ისაუბრებენ.

შეხვედრაზე ასევე მიწვეულნი არიან რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი გერმან გრეფი, ვიცე-პრემიერი ვიქტორ ქრისტენკო და რუსეთის ყველა რეგიონის 450-მდე გაზეთის მთავარი რედაქტორი.

თავად „Spincontrol"-ის შესახებ ცნობილია, რომ იგი 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის ერთიან ენერგოსისტემასთან. **მედია-ნიუსი**

Mercy Corps btc SCP South Caucasus Pipeline

საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამა (სიპ) არის BP-სა და მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტების მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა საინვესტიციო და სოფლის მეურნეობის პროექტებისა თუ მიკრო-კრედიტების მეშვეობით.
ექვსი ქართული რეგიონული პროგრამას ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან (ელკანა, საერთაშორისო [illegible], საქართველოს ტექნიკური დახმარება, [illegible]) შემდგარი კონსორციუმი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps ხელმძღვანელობს. პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის ივნისამდე.

თეთრიწყაროს რაიონში მდებარე სოფელი წალკა არის ერთ-ერთი იმ სოფელთაგანი, რომელშიც მუშაობს საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამა. აქ ძირითადად ხეობიდან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადმოსახლებული ადამიანები ცხოვრობენ. საბჭოთა პერიოდის დროს წალკა ძირითადად მარცვლეული კულტურების მოყვანით იყო დაკავებული. სოფლის საირიგაციო სისტემა კი ელექტროენერგიაზე მუშაობდა. გარდამავალი პერიოდის დროს ელექტროენერგიის კრიზისმა და მაღალმა ტარიფებმა შეუძლებელი გახადა ჩვეული სოფლის მეურნეობის საქმიანობის გაგრძელება.
ამის გამო, საზოგადოებრივი ინვესტიციების ჯგუფებში ჩატარებული [illegible] შეხვედრის დროს მექანიკური საირიგაციო სისტემის მოწყობა ყველაზე მთავარ პრიორიტეტად დასახელდა. მოსახლეობის მონდომების შედეგად სოფელმა უკვე დაასრულა საირიგაციო სისტემის [illegible] ეტაპი. [illegible] მიმდინარეობს მუშაობა მეორე ეტაპის პროექტის მომზადებაზე. ამ ფართომასშტაბიანი პროექტის დასრულების შემდეგ მოირწყვება 2000 ჰექტარის მიწა. სოფლის საირიგაციო სისტემა ასევე მოემსახურება მეზობელ სოფლებს - წინწყაროს, [illegible], [illegible] და სხვა.
ამის გამო, რომ აღნიშნულ მიწებზე უკვე 10 წელიწადზე მეტია არ დათესილა არანაირი მარცვლეული კულტურა, საჭირო გახდა ამ [illegible] [illegible].
[illegible]

# აფხაზური ოპოზიცია სოხუმი-სოჭის რკინიგზის მუშაობით უკმაყოფილოა

## სოხუმი რუსულ ინვესტიციებს დაჟინებით ითხოვს

*გუშინ აფხაზეთის მხარემ მოსკოვს სთხოვა რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღსადგენად სოხუმისკენ რკინიგზელთა ბრიგადების გადმოსროლა. ეს მოთხოვნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა აფხაზეთის რკინიგზის ხელმძღვანელმა ლეონიდე კურუამ. თხოვნას თან ახლავს მოკრძალებული გაანგარიშება, რომლის თანახმადაც, სამუშაოები 80-90 მილიონი დოლარი ჯდება. "სპეციალისტთა გათვლებით, რუსული ძალების მონაწილეობის შემთხვევაში, სამუშაოები 4-6 თვეს გასტანს," – ვარაუდობს კურუა.*

ნიკა მარიამიძე

"24 საათი" უკვე წერდა იმ ტენდენციაზე, რომ აფხაზეთის ოფიციოზი დაჟინებით ცდილობს რუსეთთან ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას. ამის დასტურად ბოლო დღეებში აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის რაულ ხაჯინბას მოსკოვური ვოიაჟიც კმარა, რომელიც მან ეკონომიკურ ინტერესებზე ააგო. ამასთან, ხაჯინბა ცდილობს, პრესაში არ ისაუბროს რუსეთთან ეკონომიკური კავშირების განმტკიცების კონკრეტულ პერსპექტივებზე. სავარაუდოდ, ამის მიზეზი გახლავთ სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის ეკონომიკური მარცხი.

საქმე ისაა, რომ სოხუმის მთავრობის ოპოზიცია სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას კრიტიკულად უყურებს და მიიჩნევს, რომ ეს აქტი მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა. სოხუმის ოპოზიციური პრესა ("ნუჟნაია გაზეტა") ხაზს უსვამს რკინიგზის წამგებიანობას და მის მიერ მოტანილ ზარალზე წერს. "აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოჭის მიმართულებით კვლავ ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მგზავრობას ამჯობინებს, - წერს გაზეთი, - მატარებელს მგზავრები თითქმის არ ჰყავს." "ნუჟნაია გაზეტას" ინფორმაციით, რკინიგზის ტექნიკური მდგომარეობაც კატასტროფულია და მის გაჩერებას დღეს მხოლოდ ის უშლის ხელს, რომ ამ შემთხვევაში მაგისტრალი მთლიანად გაიძარცვება. როგორც ჩანს, სოხუმში სოჭიდან დიდი ტრიუმფით შესული მატარებელი "უიღბლო დეპოში" აღმოჩნდა: აფხაზეთის რკინიგზის ადმინისტრაცია დღეს თანამშრომელთა ხელფასების გასასტუმრებელ თანხებსაც კი ვერ აგროვებს. მაგისტრალის ტექნიკურ მომსახურებაზე კი საუბარიც ზედმეტია.

ამ პირობებში აფხაზეთის მიმართულებით მასშტაბური სავაჭრო-ეკონომიკური პროექტების განხორციელებაზე საუბარი ჭირს. შედეგად, სოხუმის ადმინისტრაცია რუსეთთან მოლაპარაკებებს ისევ საკურორტო, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფარულ პრივატიზებაზე აწარმოებს.

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ რაულ ხაჯინბას მორიგი ვიზიტი მოსკოვში, როცა მან აფხაზეთის სარკინიგზო ინფრასტრუქტურასა და ენერგოსისტემაში რუსული კაპიტალის დაბანდება სთხოვა რუსეთს.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურის უმეტესი ნაწილი (რუსული ფირმების ეგიდით) უკვე დიდი ხანია, რაც თვითგამოცხადებული მთავრობის ელიტამ გრძელვადიანი იჯარით დაისაკუთრა. აფხაზეთში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ გრძელვადიანი იჯარა ფარული პრივატიზების ტოლფასია. **"თუ საიჯარო ხელშეკრულება 10 წელიწადზე გრძელვადიანია, ის უკვე პრივატიზაციაა,"** – წერს აფხაზი აკადემიკოსი ანატოლი ოტირბა.

ჩანს, დღეს აფხაზი ჩინოვნიკები სკამებს ინარჩუნებენ სახელმწიფო ქონების რუსული კომპანიებისთვის მისხვისების გზით.

## ხოდორკოვსკის აქციები ჩამოართვეს

გუშინ რუსეთის პროკურატურამ დააპატიმრა კომპანია "იუკოსის" აქციების 53 პროცენტი, რომლებიც საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ორ კომპანიას ეკუთვნოდა. გამომძიებელთა მტკიცებით, ამ აქციების რეალური მეპატრონე ხოდორკოვსკი იყო.

სკანდალი, რომელიც რუსეთის უმდიდრესი ადამიანის დაპატიმრებამ გამოიწვია, სულ უფრო მწვავდება. რუსული პრესა უკვე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ პრეზიდენტმა მიიღო თავისი აპარატის უფროსის, ალექსანდრ ვოლოშინის გადადგომა. ვოლოშინი პოსტს, ალბათ, რამდენიმე დღეში დატოვებს, რათა ამ ამბის "იუკოსთან" კავშირი ძალიან თვალშისაცემი არ იყოს. ჟურნალისტების მტკიცებით, ადმინისტრაციის უფროსმა განცხადება მაშინვე დაწერა, როგორც კი ხოდორკოვსკის დაპატიმრების ამბავი შეიტყო.

"მოტროსკაია ტიშინაში" მოთავსებული მილიარდერის ამბავმა მთელი მსოფლიო დააინტერესა. პირველ რიგში კი - საქმიანი წრეები, რომელთაც დაუყოვნებლივ გაუჩნდათ სურვილი, რუსეთისაგან თავი რაც შეიძლება შორის დაიჭირონ. ისინი აცხადებენ, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც კერძო კომპანიას ან პიროვნებას სახელმწიფოს ძალმომრეობისაგან დაიცავს.

ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის მმართველმა ორგანომ, კომისიამაც გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც რუსეთში კანონის უზენაესობის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა. მსგავსი განცხადება გააკეთა აშშ-ს მთავრობამაც.

არავინ დავობს იმაზე, რომ მთელ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული ედო. პირველი, ვინც მხარი დაუჭირა დაპატიმრებას, ჩეკისტების მიერ შექმნილი ახალი "სახალხო პარტია" იყო. ყველასათვის აშკარაა ის, რომ ვოლოშინის წასვლითა და ხოდორკოვსკის დაპატიმრებით, "ჩეკისტებმა" "ოლიგარქებთან" დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს. რუსეთში პოლიტიკურ სტაბილურობას სწორედ ამ ორ დაჯგუფებას შორის წონასწორობა განაპირობებდა.

დაპირისპირებაში პრეზიდენტმა ჩეკისტების მხარე აშკარად დაიკავა. მან "ოლიგარქებს" შეხვედრაზე ცივი უარი უთხრა.

მოსკოვში ვრცელდება ხმები, რომ წესითა და კანონით, ვოლოშინს პრემიერ-მინისტრი კასიანოვი უნდა მიჰყვეს თან, რაც "ფორმიანების" საბოლოო გამარჯვების აღმნიშვნელი იქნება. "ოლიგარქებმა" კი გუდა-ნაბადი უნდა აიკრან. ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა: ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ რუსეთის საფონდო ბირჟის ინდექსი მნიშვნელოვნად დაეცა და რუსეთიდან დასავლეთის ბანკებში არაერთი მილიარდი დოლარი გავიდა.

ემიგრაცია რუსეთიდან გაქცეული თუ გაქცევისათვის მზადმყოფი მილიონერებისათვის არცთუ ისე მოსაწყენი იქნება. მათ ახალი ჰობი გაუჩნდათ. პოტანინი აპირებს, აბრამოვიჩს მიბაძოს და ლონდონის "არსენალი" იყიდოს.

სანამ ისინი ინგლისში ფეხბურთის თამაშით შეიქცევენ თავს, რუსეთში მათი ყოფილი აქტივები ჩეკისტების ხელში გადავა.

ეს კი ყველას შეშფოთებას იწვევს, რუსული საზოგადოების გარდა, რომელსაც "ყაჩაღი ოლიგარქები" ჭირის დღესავით სძულს.

## გაერო აზერბაიჯანის ხელისუფლების მოქმედებას გმობს

გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარიატმა გუშინ აზერბაიჯანის არჩევნების საკუთარი შეფასება გამოაქვეყნა.

"მიზანში, ძირითადად, ოპოზიციის ლიდერები და ჟურნალისტები იყვნენ ამოღებული, ბევრი მათგანი დაპატიმრებულია. დამოუკიდებელი დამკვირვებლები და საარჩევნო კომისიების წევრები, რომლებმაც ოქმების ხელმოწერაზე უარი თქვეს, ასევე დაპატიმრებულნი არიან," – ნათქვამია გაერო-ს ექსპერტების მიერ მომზადებულ მოხსენებაში.

"ექსპერტებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიციამ დაარბია, სცემა და დააპატიმრა ასობით დემონსტრანტი, რამაც, სულ ცოტა, ერთი ადამიანის სიკვდილი და უამრავის დაშავება გამოიწვია," – აცხადებენ მოხსენების ავტორები.

ექსპერტები მოუწოდებენ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, პატივი სცეს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის - აზროვნების, სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას.

# აშშ შიდა პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე

### დღეს ჯორჯ ტენეტისათვის მიცემული 48-საათიანი ვადა იწურება

ლევან ღირსიაშვილი

აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტმა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს 48-საათიანი ვადა მისცა ერაყის შესახებ იმ დოსიეს წარსადგენად, რომელიც ამ უწყებას ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებამდე გააჩნდა. სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა დღეს შუადღემდე უნდა შეკრიბოს ყველა საჭირო საიდუმლო დოკუმენტაცია და შეადგინოს დეტალური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სენატის დაზვერვის კომიტეტს სააგენტოს ოპერატიული დირექტორატის თანამშრომლები ჩვენებებს მისცემენ.



ჯორჯ ტენეტმა ერაყული დოსიე სენატის კომიტეტს დღეს უნდა წარუდგინოს.

ამის შემდეგ კი სენატის დაზვერვის კომიტეტი ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მუშაობის შესახებ ყოვლისმომცველ მოხსენებას გამოაქვეყნებს, რომელიც დამკვირვებელთა ვარაუდით, ამ უწყების და მისი შეფის მისამართით სერიოზული კრიტიკის შემცველი იქნება. ასეთი მოსაზრების საფუძველს კი თავად სენატის კომიტეტის მოთხოვნა იძლევა, რომლის თანახმადაც ჩვენება პირადად ჯორჯ ტენეტმაც უნდა მისცეს. ამის თაობაზე ცენტრალური დაზვერვის შეფს უკვე გაეგზავნა სენატის კომიტეტის ოფიციალური წერილი. ეს შესაძლოა, ერთგვარ პასუხადაც კი შეფასდეს თავად ჯორჯ ტენეტის მიერ გასულ კვირას გაგზავნილ წერილზე, რომელშიც დაზვერვის შეფი სენატის კომიტეტს ყველა სადაზვერვო ინფორმაციის წარდგენას ჰპირდება. თუმცა, ტენეტი ამ წერილში ინფორმაციის გაგზავნის ვადებს არ ასახელებდა და მხოლოდ აცხადებდა, რომ დოსიეს მაშინ მიაწვდიდა სენატს, როდესაც ამას შეძლებდა. ამიტომაც, დაზვერვის კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, სააგენტოს დირექტორისათვის განსაზღვრული ვადა დაეწესებინა. კომიტეტის თავმჯდომარე რესპუბლიკელი სენატორი პეტ რობერტსი და მისი მოადგილე, დემოკრატი სენატორი ჯონ როკფელერი ერაყის შესახებ დოსიეს დღეისათვის ელოდებიან. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისის ხელმძღვანელი ბილ ჰარლოუ აცხადებს, რომ ისინი რობერტს-როკფელერის მოთხოვნას განიხილავენ და **"კომიტეტის დავალების შესასრულებლად მთელი დატვირთვით მუშაობენ."**

ექსპერტები უკვე თამამად აცხადებენ, რომ დაზვერვის კომიტეტი თავის დასკვნაში ჯორჯ ტენეტსა და მის უწყებას მკაცრად გააკრიტიკებს ერაყის და სადამ ჰუსეინისაგან მომავალი საფრთხის გაზვიადების გამო. სააგენტო "ბიბისი" კი ავრცელებს დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წევრის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თეთრი სახლი ჯორჯ ტენეტის განტევების ვაცად გამოყვანას ცდილობს. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ხომ ერთადერთია, რომელიც წინა პრეზიდენტის, ბილ კლინტონის დროს დაინიშნა და ამჟამადაც აგრძელებს თავის პოსტზე მუშაობას. დემოკრატები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ტენეტისათვის ძირის გამოთხრით, რესპუბლიკელები პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე მთავარი დარტყმის არიდებას ცდილობენ.

ბუშის ადმინისტრაციის მისამართით კი ამერიკული საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდება, რის საფუძველსაც ერაყში ამერიკელ სამხედროთა ყოველდღიური დანაკარგები წარმოადგენს.

პირველი მაისის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში ომის დასრულება საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა, ამ ქვეყანაში ამერიკელთა მსხვერპლმა 155-ს მიაღწია.

ამასთან ერთად, შეერთებულ შტატებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ერაყში ომის დაწყებას აღარ ამართლებს და შეცდომად მიიჩნევს. თუკი აპრილში სამხედრო კამპანიის მომხრეთა რიცხვი აშშ-ში 71 პროცენტს შეადგენდა, დღეს ეს მაჩვენებელი 52 პროცენტამდეა დავარდნილი. ბუშის პოლიტიკით უკმაყოფილო ამერიკელთა რაოდენობა რომ იზრდება, ეს გასულ კვირას ვაშინგტონში ანტისაომარმა ფართომასშტაბიანმა დემონსტრაციამაც დაადასტურა. ამდენად, შეცდომა ვილაცას უნდა დაბრალდეს. ალბათ, ეს ვილაც სწორედ ჯორჯ ტენეტი აღმოჩნდება. თუმცა, მას თუ ომის უდროო დროს დაწყება დაბრალდება, სამხედრო ოპერაციების წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა აშკარად არ დაეკისრება. ხოლო პასუხის გაცემა კითხვაზე - რატომ იღუპებიან ყოველდღიურად ამერიკელი ჯარისკაცები ერაყში - ალბათ, თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს მოუწევს.

# ივან რიბკინი: „არჩევნების წინ განსხვავებული აზრის ჩახშობა დამღუპველია"

### საქართველოში არ უნდა მოხდეს ის, რაც რუსეთში ხდება

პირველი გვერდიდან

**ივან რიბკინი**: იმ პირობებში, როცა რუსეთში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები წინასწარ არის განსაზღვრული, როცა "ლიბერალურ რუსეთს" არჩევნების ფინიშიდან ხსნიან და თავისუფალ ტელევიზიას, გაზეთებს ხურავენ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ამ ფარსში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ პუტინმა კრემლის მთელი ადმინისტრაციული რესურსი მიმართა პეტერბურგსა და ჩეჩნეთში საარჩევნო კანონმდებლობის უხეში დარღვევით საკუთარი რჩეულების გასაყვანად. რუსეთის პრეზიდენტმა არჩევნების წინ რუსი ხალხი არჩევანის გარეშე დატოვა. ეს ტენდენცია მეტად საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის. რადგანაც რუსეთში ასეთი განუკითხაობა გამეფდა, სხვა გამოსავალი, გარდა ბოიკოტისა, არ რჩება. ბერეზოვსკის წერილი მოწოდებაა, რომ ძირშივე გაყალბებულ არჩევნებს ყველა პოლიტიკურმა ძალამ ბოიკოტი გამოუცხადოს.



"ჩვენი პრეზიდენტი იმ კაცს ჰგავს, საკუთარ სკამს ფეხები რომ დაახერხა".

**- რას სთავაზობთ კოლეგებს: რუსეთში პოლიტიკური პარტიების გაერთიანება მოხდება თუ საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტი?**

- არჩევნებმა აზრი დაკარგა. პუტინი მხოლოდ "ერთიანი რუსეთის" ყრილობაზე მივიდა. კანონები პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებზე, პრესაზე დაწესებული შეზღუდვები ჩეკისტების გუნდის მიერ არის დაწერილი. დუმა მორჩილია, ფედერაციის საბჭო - დემორალიზებული. ამ სიტუაციაში ჩვენ ხალხს ბოლომდე უნდა ვუჩვენოთ, რომ პრეზიდენტმა აღმასრულებელი ხელისუფლება თავის თანასკოლელებს და უნივერსიტეტელებს, "კაგებეს" უმაღლეს სკოლადამთავრებულებს ჩააბარა. ჩვენი პარტია ამ მარაზმში აღარ მონაწილეობს. ხალხმა ეს ნათლად უნდა დაინახოს.

**- პუტინის ადმინისტრაციის უფროსის ალექსანდრ ვოლოშინის შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ გაურკვეველი ვითარებაა. როგორ ფიქრობთ, მოაწერს ხელს პრეზიდენტი შესაბამის ბრძანებას?**

- ჩვენი პრეზიდენტი იმ კაცს ჰგავს, საკუთარ სკამს ფეხები რომ დაახერხა. ახლა ვლადიმირ ვლადიმირის ძე ერთფეხიან სკამზე ზის. ის ერთი ფეხი სპეცსამსახურებია. ძალოვანი სტრუქტურები კი ასეთი ქვეყნისათვის საშიში ძალაა, ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს პუტინი ძალოვნების მძევალია. იგია რუსეთში დღეს შექმნილი სიტუაციის პირველი და მთავარი მსხვერპლი. ვოლოშინის წასვლა მისთვის სერიოზული საყრდენის გამოცლაა. საშიშია, რომ სხვა არჩევანი მას არ დაუტოვეს.

**- ასეთ ვითარებაში შეიძლება თუ არა საშიშროება მეზობელ რესპუბლიკებსაც დაემუქროთ? საქართველოში 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნებია.**

- არჩევნების წინ არ მინდა, რაიმე პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ ჩემს ქართველ მეგობრებს შევახსენებდი, რომ დაუშვებელია ასეთ საპასუხისმგებლო ეტაპზე მხოლოდ ერთმა თვალსაზრისმა, ერთმა ძალამ გაიმარჯვოს. განსხვავებულ აზრს აუცილებლად პატივი უნდა ვცეთ და მისი ხმა არ უნდა ჩავახშოთ. რაც შეეხება საშიშროებას, ბუნებრივია, რუსეთი ყოველთვის ახდენდა გავლენას იმ რესპუბლიკებზე, სადაც მას დღითიდღე მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს.

**- არჩევნების წინ საქართველოში შიშობენ, ხომ არ განმეორდება ჩვენთანაც ბაქოს სცენარი?**

- მე ძალიან არ მომწონს ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მავნე ტენდენცია, სულერთია, რუსეთი იქნება ეს, აზერბაიჯანი თუ სხვა რომელიმე ქვეყანა. ბაქოში არეულობა სწორედ მმართველობის ტოტალიტარული კურსის გამარჯვებამ გამოიწვია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით დამღუპველია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. როგორი აუცილებლობითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი, სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესები არ უნდა შეიზღუდოს, თავისუფალი გასაქანი უნდა მიეცეთ დანარჩენ პოლიტიკურ ძალებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მიმაჩნია, რომ საქართველოშიც დასამარდება დემოკრატიზმი, თუკი ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის მავნე ტენდენცია გაიმარჯვებს.

## ჯორჯ რობერტსონი: "მშვიდობით, რუსეთო!"

რუსუდან ნიკურაძე

იმ დროს, როცა დასავლეთის პრესა კრემლის კრიზისზე წერს, მოსკოვში ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი ჩამოდის. შედგა დახურული შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან.

პრეზიდენტის არაპოპულარულ ნაბიჯებს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოსკოვის ოფისის მონახულების საბაბით, რუსეთის დედაქალაქში ჩამოსული ჯორჯ რობერტსონი ანეიტრალებს. მისი ვიზიტი რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში ჰენრი კისინჯერისა და მამა-ბუშის კონფიდენციალურ ვიზიტებს მოჰყვა. ოფიციალური ვერსია, კრემლის პრესსამსახურის ცნობით, რუსეთი-ნატოს დაახლოების პერსპექტივაა. მაგრამ კრემლის წინასაარჩევნო მანევრები საპირისპიროზე მეტყველებს.

მოსკოვში ჩნდება ხმები, რომ "მსოფლიო ლიდერების" ვოიაჟი ადგილზე სიტუაციის გაცნობას ისახავს მიზნად. ამ მიზნით რობერტსონი მოსკოვის სამხედრო ოლქში რუსული არმიის ერთ-ერთი შენაერთის დასათვალიერებლადაც წაიყვანეს. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა პირველად ნახა რუსული ყაზარმა და ნანახით კმაყოფილი დარჩა. მისი განცხადებით, "რუსეთ-ნატო-ს ფორმატში რუსეთთან თანამშრომლობა დადებითად ვითარდება".

რობერტსონი, რუსეთთან გამოთხოვებისას, მოსკოვის გენერალიტეტს საჩუქრად ავღანეთის თავზე სატვირთო თვითმფრინავების თავისუფალი გადაფრენის უფლებას უტოვებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი კი დასძენს: ნატო-ს გენერალური მდივნის პირადი დამსახურებაა ის, რომ რუსეთი-ნატო-ს ურთიერთობებში, თუ რევოლუცია არა, "ევოლუცია მაინც ხდება". თუმცა, იგივე ივანოვი მოგვიანებით კატეგორიულად უარყოფს, რომ რუსეთი და ამერიკა მოკავშირეები არიან.

მოსკოვში ნანახით კმაყოფილი რობერტსონი ჟურნალისტებს ეუბნება, რომ 2004 წელს, ალბათ, რუსეთი-ნატოს ერთობლივი სწავლებები გაიმართება, რაც მისთვის პუტინს შეუთავაზებია. თუმცა, როგორ მოახერხებს ამას პოლიტიკიდან ბიზნესში გადასული რობერტსონი, გაუგებარია. კრემლში პუტინ-რობერტსონის შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ რუსეთი-ნატო-ს ერთობლივი სწავლებები ერთი წლის შემდეგ აუცილებლად გაიმართება, და რომ ნატო ბალტიის ქვეყნებში თავის ბაზებს არ განალაგებს. პასუხად რობერტსონი ამბობს, რომ პოსტს მშვიდად ტოვებს და ტელეკომუნიკაციების სისტემაში აპირებს მუშაობის გაგრძელებას. გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთი-ნატო-ს თანამშრომლობას მისი მემკვიდრე, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი გააგრძელებს, რომელიც მალე რობერტსონს შეცვლის.

ნატო-ს მოსკოვური ოფისის მონახულების შემდეგ, რობერტსონი რუსეთის პოლიტიკური ვითარებითაც დაინტერესდა. მოსკოვში გავრცელებული ხმების თანახმად, პრეზიდენტთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ ნატო-ს მდივანმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რუსეთს ალიანსში შესვლის პერსპექტივა აქვს, მაგრამ ამას დიდი დრო სჭირდება.

## ფინეთი - მსოფლიოს ეკონომიკური ლიდერი

საერთაშორისო ეკონომიკურმა ფორუმმა მსოფლიოს ქვეყნების ახალი ეკონომიკური მაჩვენებლები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმადაც პირველობა ფინეთს ერგო. რეიტინგის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ფაქტორები, რაც ეკონომიკურ კლიმატზე ახდენს გავლენას. ასეთ რეიტინგს საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი ყოველწლიურად აქვეყნებს. შარშან პირველ ადგილზე აშშ იმყოფებოდა, წელს კი ლიდერობა ფინეთს ხვდა წილად. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ამჯერად საერთაშორისო ეკონომისტებმა რეიტინგის განსასაზღვრად განსხვავებული მიდგომა აირჩიეს. კერძოდ, ნაკლები ყურადღება მიექცა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონეს და ძირითადი ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად სწორად არის წარმართული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა.

პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინეთი, აშშ, შვედეთი, დანია, ტაივანი, სინგაპური, შვეიცარია, ისლანდია, ნორვეგია და ავსტრალია.

სულ სიაში 102 ქვეყანაა შეყვანილი. ექსპერტთა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთი და კანადა ამ სიაში მე-15 და მე-16 ადგილებზე აღმოჩნდნენ. ეკონომიკური ვარდნა შეინიშნება ჩინეთშიც, რომელიც 33-ე ადგილიდან 44-ზე აღმოჩნდა.

რაც შეეხება რუსეთს, მას 70-ე ადგილი ხვდა წილად და ტანზანიას და განას შორის იმყოფება.

საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვთ და წინსვლა აღენიშნებათ ესტონეთსა და ლატვიას. ისინი, შესაბამისად, 22-ე და 37-ე ადგილებზე იმყოფებიან.

მდგომარეობის გაუარესება შეინიშნება გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკაშიც. კერძოდ, გერმანია მე-13, ხოლო საფრანგეთი 26-ე ადგილებზე არიან. საფრანგეთს ერთი ნაბიჯით უსწრებს პორტუგალია. აფრიკულ ქვეყნებს შორის კი ბოტსვანა ლიდერობს. მას 36-ე ადგილი ერგო. სიის ბოლოში კი ზიმბაბვე, ბანგლადეში, ჩადი, ანგოლა, მალი და განა იმყოფებიან. რაც შეეხება საქართველოს, ის სიაში საერთოდ არ არის შესული.

## რუსეთი და უკრაინა ვერ შეთანხმდნენ

რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება, რომელიც გუშინ კიევში გაიმართა, უშედეგოდ დასრულდა. "მოლაპარაკებების მთავარი თემა კუნძული ტუზლა იყო. საუბრის მთავარი შედეგი ისაა, რომ მოლაპარაკებების პროცესის დაჩქარების აუცილებლობას ორივე მხარე აღიარებს," – განაცხადა უკრაინის საგარეო უწყების მეთაურმა კონსტანტინ გრიშჩენკომ. მანვე აღიარა, რომ შეხვედრა საკმაოდ დაძაბული იყო.

რუსეთი აცხადებს, რომ თანახმაა, შეთანხმების მიღწევამდე დამბის მშენებლობა შეაჩეროს, მაგრამ მოითხოვს, რომ უკრაინამ ამასობაში ქერჩის სრუტიდან სასაზღვრო ჯარები გაიყვანოს.

რაც მთავარია, რუსეთი ტუზლას უკრაინის ტერიტორიად არ ცნობს. "საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები არ არსებობდა. დოკუმენტები კი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს წაკითხული," – აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი.

ივანოვის ამ განცხადებამ შეიძლება ძალზე სახიფათო ტენდენციას დაუდოს სათავე. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კრემლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები საბოლოო არ არის, და შეიძლება გადაიხედოს. რუსეთს თითქმის არც ერთ ყოფილ რესპუბლიკასთან, მათ შორის - საქართველოსთან, არა აქვს დადებული ხელშეკრულება საზღვრების დადგენის შესახებ.

დამბასთან დაკავშირებით, რუსეთის მხარე ამტკიცებს, რომ მისი მშენებლობა სანაპიროს ეკოსისტემის შენარჩუნებისათვის აუცილებელია. პრემიერი კასიანოვი ამტკიცებს, რომ ჯებირი უკრაინის ნაპირებსაც დაიცავს და მოითხოვს, რომ მის მშენებლობაში ფინანსური მონაწილეობა უკრაინამაც მიიღოს. კრასნოდარის გუბერნატორი ტკაჩოვი კი წინადადებას იძლევა, ჯებირი ბოლომდე გაგრძელდეს და მას "მეგობრობის ხიდი" ეწოდოს.

ასეთ ნაძალადევ მეგობრობაზე უკრაინელებს სიტყვის გაგონებაც არ სურთ. ისინი აცხადებენ, რომ არც მესაზღვრეებს გაიყვანენ და არც თავიანთ ტერიტორიას დაუთმობენ ვინმეს.

მართალია, ტუზლა პატარა კუნძულია, მაგრამ იგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქერჩის სრუტის (აერთებს შავ და აზოვის ზღვებს) შუაში მდებარეობს. ვისიც იქნება კუნძული, სრუტესაც იგი გააკონტროლებს.

მოლაპარაკებები მოსკოვსა და კიევს შორის მომავალ კვირას გაგრძელდება.

# ასაკი, რომელიც ტვირთად იქცევა


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ჰორიზონტში" მოხუცებზე საუბრობენ.*

*მსოფლიოს ყოველი მეათე მაცხოვრებელი დღეს 60 წლისა და მეტი ასაკისაა. 2050 წლისთვის 60 წელზე მეტის მსოფლიოს ყოველი მეხუთე მოქალაქე იქნება. ემიგრაციისა და შობადობის მკვეთრი ვარდნის წყალობით, საქართველომ ამ ზღვარს კარგა ხანია მიაღწია. ჩვენს ქვეყანაში არსებობს სოფლები, სადაც მხოლოდ ხანში შესული ადამიანები ცხოვრობენ. როგორც გამოკვლევები მოწმობს, მათგან ბევრმა უკვე დაკარგა კავშირი ნათესავებთან და, ცხოვრების უკანასკნელ წლებს, თავის მიწაზე სრულ მარტოობაში ატარებს. საკუთარი მოსახლეობის ამ ყველაზე დიდი ნაწილისთვის, სახელმწიფო, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს.*

მაკა ჯაიანი

ამის უახლესი დადასტურება ის გახლავთ, რომ გაეროს ჰუმანიტარული დახმარების 2003 წლის სამუშაო დოკუმენტში მოხუცები განეკუთვნებოდნენ პრიორიტეტულთა ჯგუფს, მაგრამ საბოლოო ვარიანტიდან მოხუცებულობის თემა საერთოდ ამოიღეს. ეს მაშინ, როცა ხანდაზმულთათვის ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ფაქტობრივად, მიუწვდომელია. ეკონომიკური სიდუხჭირისა და კომუნიკაციის საშუალებათა უქონლობის გამო, 60 წელს გადაცილებულ ადამიანთა 60 პროცენტი ავადმყოფობის დროს ექიმთან საკონსულტაციოდ მისვლასაც კი ვერ ახერხებს. საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა დაუძლურებული ადამიანების საათობით რიგში დგომა დაგვიანებული პენსიების მისაღებად. 14 ლარს, რომელსაც ისინი პენსიის სახელით იღებენ, ბევრი ჩინოვნიკი ჯიბის ფულადაც არ თვლის. შრომაში დაბერებულ ადამიანებს კი ლუკმა პური ენატრებათ.

შიმშილი, როგორც ფონდ "ჰორიზონტში" გუშინ გამართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა და მედიის წარმომადგენელთა შეხვედრაზე გამოიკვეთა, საქართველოში მცხოვრები მოხუცების ყველაზე დიდი პრობლემაა. ჩვენს ქვეყანაში ხუთი ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. აქედან, რეალურად, მესამედი თუ მუშაობს, მაგრამ, საერთაშორისო ექსპერტების დაკვირვებით, ხანშიშესულთა პრობლემებზე მათი მცირე ნაწილი ამახვილებს ყურადღებას, - ძირითადი აქცენტი უნარშეზღუდულ პირებსა და ბავშვებზე კეთდება. რაც შეეხება მათ, ვინც უშუალოდ მოხუცების საკითხებზე მუშაობს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ ორგანიზაციების საქმიანობა ვერ სცილდება ხანდაზმულთათვის სასიცოცხლო მოთხოვნების უზრუნველყოფის ფარგლებს. საზოგადოებაში მოსახლეობის ამ ნაწილის ინტეგრირება კი მიუღწეველი რჩება.

მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს მოხუცებულებზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობიდან. ფონდი "შეხვედრების სახლი" 300 ხანდაზმულს უვლის. მათთვის ტარდება სანიტარიული განათლების კურსები კარდიოლოგიური, ცერებრალური და ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისთვის; იმუნიზაცია; მუშაობს ბინაზე მოვლის სამსახური; ის მოხუცები, რომელთაც ძალა შესწევთ, თავადაც უვლიან გაჭირვებულ ხანში შესულებს; ფონდი, ასევე, ეხმარება მათ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მიღებაში. 60 მოხუცებულს უფასოდ ასადილებს, 180-ს კი უფასო აბანოსა და სამრეცხაოს სთავაზობს ვარკეთილში მოქმედი ორგანიზაცია "სამანი". რაც ყველაზე საინტერესოა, საკვები ხანდაზმულებისთვის "სამანში" გახსნილ კომპიუტერზე მუშაობისა და ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო კურსების მსმენელ ბავშვებს მიაქვთ.

500 მოხუცი იკვებება ყოველდღიურად "საქართველოს კარიტასის" სასადილოებში; ამ ორგანიზაციის მიერ გახსნილ უფასო ამბულატორიას თვეში 1000 პაციენტი აკითხავს; 65 დავრდომილს უვლის პატრონობს მისი სახლად მოვლის სამსახური. ექვს საავადმყოფოში შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაცია "სავანეს" წევრებს ექიმის კონსულტაციის მიღება. 1999 წლიდან, რვა მარტოხელა ხანდაზმული ქალბატონი მუშაობს სოციალური თერაპიის სახლში, განვითარებაშეზღუდულ ადამიანებთან... მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება. საერთო საქმის გარდა, მათ ის აერთიანებთ, რომ ასივე პროცენტით საერთაშორისო დაფინანსებაზე არიან. 900 ათასი ხანდაზმულის მყოლ ქვეყანაში, ხელისუფლება ორიოდე სახელმწიფო სახლის დაფინანსებით კმაყოფილდება. ასაკი ჩვენში დღეს ის მაჩვენებელია, მატებასთან ერთად, ტვირთად რომ იქცევა.

# სტიქიის შედეგები

24-28 ოქტომბერს მოსული კოკისპირული წვიმების შედეგად, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სამეგრელოს რეგიონებისთვის მიყენებულმა ზარალმა 5 მილიონ ლარს გადააჭარბა. წვიმების შედეგად, რეგიონებში დანგრეულია გზები, ხიდები, რამდენიმე სოფელი მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს, რიგ რაიონებში შექმნილია მეწყერების საშიშროება. გაწყვეტილია ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც სოფლების ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. 28-29 ოქტომბერს ინტენსიური თოვის შედეგად, ოთხშაბათს ყაზბეგის რაიონში თოვლის საფარი 80 სანტიმეტრს აღწევდა. სოფელ კობთან ჩარჩენილი იყო თბილისის მიმართულებით მომავალი სამი ავტობუსი, რომელშიც იმყოფებოდა 60 მგზავრი, ასევე 12 მისაბმელიანი ჩვეულებრივი ტიპის ავტომობილი, რომელიც გუშინ დილითვე გამოატარეს. ჯვრის უღელტეხილზე ჩარჩენილი იყო 15 ავტომანქანა და გადაბრუნებული შაქრით დატვირთული ერთი სატვირთო მანქანა. რაც შეეხება, ექვსი ათას სულიან ოთხ ცხვრის ფარას, მათი გამოყვანა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ბოლო დღეებში გახშირებული კოკისპირული წვიმების გამო ადიდებულმა მდინარე კოდორმა ხეობის 11 ჰესი წაიღო, რის გამოც ხეობას ელექტროენერგიის მიწოდება მთლიანად შეუწყდა. სტიქიამ 15 კილომეტრი სიგრძის შიდა გზები და 11 ხიდი დაანგრია. სოფლების: ომარიშარას, ჩხალთასა და გენწვიშის 50 ოჯახს წყალი სახლებში შეუვარდა. მძიმე ვითარებაა მესტიის რაიონშიც, სადაც სტიქიამ ხუთი სოფელი დააზარალა და 4 კილომეტრი სიგრძის სატრანსპორტო გზა დაანგრია. სოფელ ხაიშში ცენტრს 60 კომლი მოწყდა. ექვსი ოჯახი დაუყოვნებლივ უნდა გამოასახლონ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პირველი რიგის ამოცანას ხაიში-ვეძისის გზისა და ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა წარმოადგენს. გარდა ამისა, წყალმომარაგებისთვის, მესტიას 300 მეტრი მილი ესაჭიროება. როგორც გუშინ, სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ითქვა, მარტო გზებისა და ხიდების აღსადგენად მილიონ 500 ათასი ლარია გამოსანახი. ზარალმა წყალტუბოს რაიონში – 50 ათასი, ცაგერის რაიონში – 180 ათასი, ონის რაიონში – 200, ოზურგეთისა და ჩხოროწყუს რაიონებში 650 ათასი ლარი შეადგინა. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაციების, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარებების გასაწევად ფინანსური რესურსების 4 დღის ვადაში მოძიება დაევალათ.

*ინტერ-პრესი, პრაიმ-ნიუსი, მედია-ნიუსი*

# სახლი პუშკინის ქუჩაზე: ძველი ისტორიის ახალი შტრიხები

თამარ დვალი

*10 წელია, რაც პუშკინის 17 ნომერში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ორსართულიანი ძველი სახლი მთელი სერიოზულობით ინგრევა და გუშინ შუადღისას ისე ჩამოიშალა, რომ საბედნიეროდ, ქვეშ არავინ მოუყოლებია. თუმცა მსხვერპლი მაინც არის.*



*ძველი სახლის "ახალი პორტრეტი".*

მსხვერპლი ბუზუკაშვილების ოჯახია, რომელიც დღემდე იმ სახლში ცხოვრობს და 10 წლის მოუგვარებელ პრობლემას ფიზიკურად ეწირება. ეს არის ერთადერთი ოჯახი, რომელიც ხელისუფლებამ ავარიული სახლიდან ვერ გაიყვანა. საქმეს არც ხვეწნა-დაპირებამ უშველა და არც ძალის გამოყენებამ. ეს უკვე ბევრჯერ დაიწერა და ითქვა.

ოჯახის უფროსი 90 წლის დავით ბუზუკაშვილი დამსახურებული ჟურნალისტია, პროტესტის ნიშნად სახელმწიფო ჯილდოზე უარი თქვა. დღეს იგი ლოგინადაა ჩავარდნილი. უფროსი ქალიშვილი მარინაც ცნობილი ჟურნალისტი იყო, მაგრამ პროტესტის ნიშნად სამსახურს თავი დაანება და დღეს სახლშია ჩაკეტილი. ასევე უარი განაცხადა აქტიურ ცხოვრებაზე მისმა უმცროსმა დამ. დიასახლისი კი, როგორც შვილები ამბობენ, ნერვიულობას შეეწირა. ბუზუკაშვილები ამტკიცებენ, რომ მთლიანად ეს სახლი და მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კიდევ რამდენიმე სათავსო მათი წინაპრის კუთვნილება იყო და საკუთრებაზე უფლების აღდგენას ითხოვენ. მანამდე კი არსად გადასვლას არ აპირებენ. მათი შესაბამისი სარჩელი სასამართლოში 1998 წლიდან აქვთ შეტანილი. ბუზუკაშვილებს ამბობენ, რომ ეს დაკვეთით ხდება, ოლიგარქებს სარფიანი ადგილის ჩაგდება უნდათ ხელშიო. ასახელებენ ვანო ზოდელავას, ვახტანგ რჩეულიშვილს, ზაზა ოქუაშვილს, ვანო ჩხარტიშვილს, ვლადიმერ გუცაევს, ოთარ ბრეგვაძეს და სხვებს. ხელისუფლება კი ამბობს, რომ ავარიული სახლის დაცლით მსხვერპლის აცილებას ცდილობს.

დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი: **"ეს ბინა ავარიულია უკვე ოცი წელია. ამის გამო მოსახლეობამ შენობა დატოვა. მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩა. დანარჩენი 10 - გავიდა. სულ თერთმეტი მესაკუთრეა და რამდენიმე იურიდიული პირი. ეს ერთი ოჯახი ძალიან ღიზიანდება მათ გვარს რომ ვახსენებ, მაგრამ ამ რაიონში წლების განმავლობაში გამგებელი ვიყავი და ეს პრობლემა კარგად ვიცი. ისინი ბინას არ ცლიან. პროკურატურა იყო შესული, აქტი შეადგინეს და მაინც არ გამოდიან. ცხადია, რომ თავშესაფარს ითხოვენ. სახელმწიფოს არანაირი ფინანსირების საშუალება არა აქვს, მაგრამ ვიცი, რომ უამრავი ფირმა იყო მოსული, რომლებმაც ბუზუკაშვილებს ბინა შესთავაზეს. სამწუხაროდ, მათ შორის მოლაპარაკება არ შედგა. მე ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევებში ქალაქის მთავრობას უნდა ჰქონდეს რაღაც ბერკეტი, იძულებით გამოყვანის უფლება, თორემ შეიძლება ამ ამბავს მსხვერპლი მოჰყვეს."**

რაიონის გამგებელი დათო ღვინიაშვილი: **" შევიკრიბებით თემურ ქურხულთან, ვანო ზოდელავასთან, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება ამათ გამოსახლებაზე. ესენი უნდა გამოვასახლოთ. პირობებს შევთავაზებთ და ქუჩაში არ დავტოვებთ."**

მარინა ბუზუკაშვილი: **"ჩვენი ოჯახი ხელს უშლის ოლიგარქებს ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებაში და ამიტომ, ყველა ცდილობს ჩვენს ძალით გასახლებას. ზოდელავას ვუთხარით, რომ, თუ უნდოდა სახლის ჩამონგრეული ნაწილი, რომელიც ჩვენი ბინის საპირისპირო მხარესაა, ჩამოეშალათ და გაესუფთავებინათ, ჩვენთვის კი თავი დაენებებინათ. მაგრამ ამას არ აკეთებენ. სახლს სპეციალურად გვამხობენ თავზე, რომ აქედან გასვლა გვაიძულონ.**

**ვანო ზოდელავას დედამ მემკვიდრეობით მთელი თბილისი და ფოთი დაიტოვა. რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს კი საკუთარ სახლზე მემკვიდრეობის უფლება არ მისცეს."**

# მძღოლების წინადადება და მერიის არგუმენტები

ნანა ქადაგიშვილი

*მეტრო "სამგორიდან" მოსკოვის გამზირამდე დანგრეულ ქუჩაზე მოსიარულეებს იმედი ჰქონდათ, რომ მთავრობა აღნიშნულ მონაკვეთს არჩევნების წინა პერიოდში მაინც გააკეთებდა, მაგრამ არ გაუმართლათ. წლების მანძილზე გატანჯულმა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა, მთავრობის იმედი რომ დაკარგეს, გადაწყვიტეს, საქმისთვის თვითონ მიეხედათ, მაგრამ არც ეს გამოუვიდათ.*



*"ამ ქუჩის გაკეთებას მილიონები სჭირდება".*

ქუჩის აღნიშნულ მონაკვეთზე, თუნდაც ერთხელ, მანქანით გავლა ძალიან მშვიდი ნერვების პატრონსაც კი გამოიყვანს მწყობრიდან. გადათხრილ-განადგურებულ ასფალტს "ნავთლუღის ბაზართან" გარე ვაჭრობა, მოვაჭრეთა და მყიდველთა მანქანებისა და ტაქსების სადგომებიც ემატება. მხოლოდ ამ ერთი პატარა მონაკვეთის გავლას მძღოლები ხშირად ნახევარ საათზე მეტ დროს ანდომებენ. №68 "მარშუტკის" მძღოლებმა გადაწყვიტეს, მერიასა და უფრო საკუთარ თავს თვითონვე დახმარებოდნენ. **"მერიას შევთავაზეთ, - ორი თვის მოსაკრებელს ნუ გადაგვახდევინებთ და გზას ჩვენი ხარჯებითვე გავაკეთებთ-თქო. ამ ქუჩაზე იმდენი "მარშუტკა" დადის, ქუჩის გაკეთება არ გაჭირდება, მაგრამ მერიამ უარით გამოგვისტუმრა,"** – გვითხრეს მძღოლებმა.

როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახური აცხადებს, თბილისში 2800 ქუჩაა ძირფესვიანად გასაკეთებელი. ამას, სულ ცოტა, 60 მილიონი ლარი მაინც სჭირდება, ქალაქის ბიუჯეტიდან კი, რამდენიმე წელია, საგზაო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა 5 მილიონსაც კი ვერ აღწევს. წლის დასაწყისში ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულ თანხას მსოფლიო ბანკიდან და კუვეიტის ფონდიდან გამოყოფილი თანხებიც დაემატებოდა, მაგრამ, ჯერჯერობით, რომელი ქუჩაც გაკეთდა, ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. კუვეიტის ფონდის მიერ შეპირებული თანხების ათვისება მომავალი წლიდან არის დაგეგმილი. ზემოთ აღნიშნული ქუჩის გაკეთებას მერია სწორედ ამ თანხით და, შესაბამისად, მომავალ წელს აპირებს, - ამ ადგილას საკმაოდ ბევრი სამუშაოა და წელს ამის საშუალება არ გვაქვსო.

ფინანსური პრობლემების მიუხედავად, ქალაქის ხელმძღვანელობას მძღოლების წინადადება ხელსაყრელად არ მიაჩნია. სამარშრუტო ტაქსების მძღოლების ყოველთვიური მოსაკრებელი 50 ლარია. ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთს ვარკეთილის, მოსკოვის გამზირისა და აფრიკა-ზმკ-ას დასახლებებისკენ მიმავალი "მარშუტკების" უმრავლესობა გადის, მაგრამ, როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი ინჟინერი მერაბ შავლაძე აცხადებს, - **"ამ ქუჩის გაკეთებას მილიონები სჭირდება - ტრამვაის ხაზებია ასაყრელი, მხოლოდ ერთ პატარა მონაკვეთს ხომ არ გავაკეთებთ. თანაც, მძღოლების იდეის განხორციელების საშუალებას კანონმდებლობაც არ გვაძლევს; გადასახადი ჯერ ბიუჯეტში უნდა შევიდეს და მერე განაწილდეს,"** - აცხადებს კეთილმოწყობის სამსახური.

# თურქული კატალოგების გამოფენა გრძელდება

თურქეთის რესპუბლიკამ ახლახანს 80 წლის იუბილე იზეიმა. ამ დღესთან დაკავშირებით თურქეთის საელჩომ საქართველოში რამდენიმე ღონისძიება დაგეგმა. ერთ-ერთი ასეთი ფილარმონიაში გამართული კატალოგების გამოფენა იყო, რომელიც 30 ოქტომბერს დაიწყო და რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

რადგანაც, საქართველოში თურქული ნაწარმი უხარისხო პროდუქციასთან ასოცირდება, თურქეთის საელჩომ ამ შეხედულების გაქარწყლება სცადა და ქართულ ფირმებს ხარისხიანი პროდუქციის კატალოგები შესთავაზა. "ჩვენი საელჩო ეგეოსის რეგიონის ექსპორტიორთა ასოციაციას დაუკავშირდა და მათი დახმარებით, საქართველოში 185 ფირმის 2 ათასზე მეტი დასახელების კატალოგი შემოვიტანეთ. ეს ქართულ ფირმებს მისცემს შესაძლებლობას, ამოარჩიონ ხარისხიანი პროდუქცია და ყოველგვარი შუამავლების გარეშე თავად დაუკავშირდნენ თურქულ ფირმებს. კატალოგებში მითითებულია ამ ფირმების კოორდინატები. დაინტერესებულ პირებს ასევე შეუძლიათ ჩვენც მოგვმართონ. რადგან, ჩვენ არ ვიცით ქართული ფირმების კოორდინატები, ამ საკითხში დახმარება საქართველოს სავაჭრო პალატას, ეკონომიკის სამინისტროს და ექსპორტიორთა ასოციაციას ვთხოვეთ. როგორც მე ვიცი ამ გამოფენაზე დასწრების სურვილი ხუთასამდე ქართულმა ფირმამ გამოთქვა, " – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თურქეთის საელჩოს სავაჭრო ატაშემ ოქან ოსთურქმა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მართლმადიდებლური სამყარო დღეს წმინდა მოციქულისა და მახარებლის ლუკას ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით, მართლმადიდებლურ ტაძრებში საზეიმო წირვა აღევლინება. ლუკა მახარებელი ღვთისმშობლის პირველი ხატების დამწერია. მასვე ეკუთვნის "ოთხთავის" გაგრძელება "საქმე მოციქულთა," რომელიც წმინდა მოციქულთა შრომასა და ღვაწლს ასახავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორდღიანი გადაუღებელი წვიმის შედეგად, დედაქალაქში სამი შენობა ჩამოინგრა. ორი საცხოვრებელი სახლი მთაწმინდა-კრწანისის რიონში მდებარეობდა, ერთი - ჩუღურეთში. დანგრევის საფრთხე ამჟამად ჩუღურეთში, სხულუხიას ქუჩაზე მდებარე სახლსაც ემუქრება. სხვების მსგავსად, ეს შენობა შარშანდელი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და მათ მესამე კატეგორია მიენიჭა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმა გუშინ სახელმწიფო კანცელარია კმაყოფილებმა დატოვეს. საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე მათ მრავალი დაპირება მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გორგასლის ღირსების ორდენითა და ღირსების მედლით დააჯილდოვა 46 პიროვნება. მათ შორის გორგასლის ორდენით - საერთაშორისო ჰუმანტიარული ორგანიზაცია "ექთს ჯორჯიას" ვიცე-პრეზიდენტი გურამ ამირიძე და მსოფლიო თასის მფლობელი თავისუფალ ჭიდაობაში გივი ყვარელაშვილი. ღირსების მედლით - რიჩარდ მაილსის თანაშემწე უილიამ მური. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** გუშინ წყალტუბოში ავლანეთის ომის ვეტერანთა კავშირის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის ყრილობა გაიმართა. 700-მდე დელეგატმა 2001-2003 წლებში გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამა. შეხვედრას ავღანეთის ომის მონაწილე იმერეთში მცხოვრები ყველა ვეტერანი დაესწრო. 1979-88 წლებში ავღანეთის ომში 8000-მდე ქართველი მონაწილეობდა. მათგან 500 დაიღუპა, 600 დაინვალიდდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გუშინ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სფეროს დამსახურებული მოღვაწეები დააჯილდოვა. ვანო ზოდელავა მათ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეხვდა და გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. ოთხ ღვაწლმოსილ თანამშრომელს მერმა ღირსების ორდენი, ათს კი ღირსების მედალი გადასცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიისა და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მერაბ სამადაშვილის ერთობლივი დაფინანსებით, თემქის დასახლებაში ახალი საბავშვო სტადიონი გაკეთდა. სტადიონის პრეზენტაცია "თბილისობის" დღესასწაულზეა დაგეგმილი. იქ უკვე დამონტაჟებულია სკამები და განათება, გაკეთებულია ხელოვნური ბალახის საფარი. სტადიონის მოსაწყობად 82 ათასი ლარი დაიხარჯა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილია. ამ მონაკვეთზე მოძრაობა ოთხშაბათს აიკრძალა. ამჟამად მიმდინარეობს გზის თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები. გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა, სავარაუდოდ, დღეს დილით გაიხსნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ მსოფლიოში მიმდინარე გეოფიზიკური მოვლენების გამო საქართველოს მომდევნო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი წყალდიდობების საფრთხე ელის. მისი ინფორმაციით, ბოლო დღეებში დასავლეთ საქართველოში განვითარებული სტიქიური მოვლენები ამის დადასტურებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით დედამიწამდე მოაღწია მზის ვარსკვლავური ნივთიერების ციკლოპურმა მასამ – გავარვარებული პლაზმის ათმა მილიარდმა ტონამ. ექსპერტთა შეფასებით, მზის ნივთიერების, ძირითადად, პროტონების გამოსროლა თავისი მასშტაბებითა და სიმძლავრით მესამეა ასტრონომიულ დაკვირვებათა მთელი ისტორიის განმავლობაში. მძლავრი გამოსხივება მზეზე ჯერ ისევ ფიქსირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამას წელსაც გააგრძელებს. უკვე მეორე წელია USAID-ის ფინანსური დახმარებით პროგრამას PA Consulting-ი ახორციელებს. წელს ამ პროგრამით დაახლოებით 125 ათასი ადამიანი ისარგებლებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში გუშინ გაიხსნა სემინარი ჟურნალისტებისა და პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, რომელიც ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენებს და საინფორმაციო საშუალებებით მათ გაშუქებას მიეძღვნა. სემინარში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სხვა ექსპერტები მონაწილეობენ. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

### კუჩმამ გენერალური პროკურორი დაითხოვა

გუშინწინ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თანამდებობიდან გადააყენა გენერალური პროკურორი სვიატოსლავ პისკუნი. გათავისუფლების მთავარ მიზეზად დასახელდა "მთლიანად ორგანოს გადაჭარბებული პოლიტიზირება" და "საკუთარ იმიჯზე მუშაობა".

სვიატოსლავ პისკუნი უკრაინის გენერალურ პროკურორად 2002 წლის ივლისში დაინიშნა და მის დანიშვნას მხარს უჭერდნენ კუჩმას მომხრეებიც და ოპოზიციაც; თუმცა, მან თანამდებობაზე წელიწადნახევარიც კი ვერ გაძლო. პრეზიდენტმა მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მასთან არსებულმა კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკოორდინაციო კომიტეტმა შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა. კომიტეტის თავმჯდომარის ოლგა კოლინკოს განცხადებით, გენერალური პროკურორი კოორდინირებას არ უწევდა კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, არ ასრულებდა პრეზიდენტის მითითებებს და საოლქო პროკურორებს აიძულებდა, უკანონო გადაწყვეტილებები მიეღოთ.

კოლინკოს თქმით, სვიატოსლავ პისკუნის მიერ დაშვებული დარღვევები "არა მარტო პროკურატურის, არამედ მთელი ქვეყნის ავტორიტეტს ლახავს". პისკუნის დარღვევებს შორის ოფიციალურად სახელდება საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და დიდი ოდენობის გაფლანგვების შესახებ სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურება, ანდა სულაც დახურვა; თუმცა ადგილობრივი დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ, დასახელებულის გარდა, არის სხვა, უფრო ანგარიშგასაწევი მიზეზები, რომელთა გამოც გენერალური პროკურორის გადაყენება მოხდა. კერძოდ, ექსპერტთა აზრით, რამდენიმე გახმაურებულ დანაშაულზე მან გამოაქვეყნა ხელისუფლებისთვის მეტად არასასურველი დასკვნები; მაგალითად, პროკურატურამ აღიარა, რომ ოპოზიციონერი ჟურნალისტების იგორ ალექსანდროვისა და გიორგი ღონღაძის მკვლელობების "გახსნა" სინამდვილეში შეთითხნილი ტყუილი იყო; რომ კიევში მოქმედებს დანაშაულებრივი ბანდა, რომლის შემადგენლობაშიც მილიციის მაღალჩინოსნები შედიან; რომ გიორგი ღონღაძის მკვლელობის მოწყობაში მონაწილეობდა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირიც არ არის, რომ სვიატოსლავ პისკუნი ხელისუფლებისთვის საშიში გახდა.

### ისრაელის პრემიერ-მინისტრი თავს იმართლებს

გუშინ ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი პოლიციაში გამოცხადდა, რათა ჩვენება მიეცა კორუფციის მუხლით აღძრული საქმის გამოძიებისთვის, რომელთანაც თავად მას და მის შვილებს აკავშირებენ.

როგორც ცნობილია, ისრაელის პოლიცია ამოწმებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, პრემიერ-მინისტრმა 1990 წელს, როცა პარტია "ლიკუდის" ლიდერის პოსტზე ირჩევდნენ, თავისი მეგობრის, სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენისგან მიიღო 1,5 მილიონი დოლარი; გარდა ამისა, მან ქრთამი გაილო საბერძნეთში ქონების შესაძენად.

საინფორმაციო წყაროების ცნობით, შარონმა დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი სრულიად უდანაშაულოა და მზად არის, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გამოძიებას სიმართლის დადგენაში.

### სტუდენტთა მიერ შექმნილი ნარკოლაბორატორია განადგურებულია

მოსკოველმა სამართალდამცველებმა მოსკოვში გაანადგურეს იატაკქვეშა ლაბორატორია, სადაც ნარკოტიკების წარმოება მიმდინარეობდა. მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, ნარკოლაბორატორია მოსკოვის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს და მეტამფეტამინის ტიპის სინთეტიკურ ნარკოტიკს აწარმოებდნენ. მილიციამ ლაბორატორია დალუქა და ექსპერტიზის ჩასატარებლად გააგზავნა ნარკოპრეპარატის მწარმოებელი აპარატურა. სამართალდამცველებმა დააკავეს ორი სტუდენტი-ფარმაცევტიც, რომლებიც ნარკომწარმოებელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ. გარდა ამისა, დაპატიმრებულია დაჯგუფების ოთხი წევრი, რომლებიც ლაბორატორიაში დამზადებული ნარკოტიკის კონტრაბანდით იყვნენ დაკავებულნი. კანონდამცველებმა მათი საცხოვრებელი ბინებიდან 5 კგ მარიხუანა ამოიღეს. მოსკოვის მილიციის მონაცემებით, ნარკომწარმოებელთა ჯგუფის შემადგენლობაში რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეები იყვნენ. კანონდამცველები დაკავებულთა ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებენ. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სტუდენტ ნარკომწარმოებელთა ჯგუფს რუსეთში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერები მფარველობდნენ.

### კორეაში ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის იაპონელი ბიზნესმენი დააკავეს

კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში დააკავეს იაპონელი ბიზნესმენი, კომპანია "ენტერპრაიზის" თანამშრომელი იოსიაკი სავადა. ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, 14 ოქტომბერს იგი კორეაში სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად ჩავიდა, თუმცა ცდილობდა, მოესყიდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომ მათ უზრუნველყოთ ნარკოტიკების პარტიით, შემდეგ კი ეს ნარკოტიკები ჩრდილოკორეული გემით - "მენგენბონით" გადაეტანა იაპონიაში. ეს გემი იაპონიის პორტებში საკმაოდ ხშირად შემოდის და მის მიმართ იაპონიის ხელისუფლებას არაერთხელ გასჩენია ეჭვი, რომ საქმე აქვთ შპიონაჟთან. იაპონური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ტოკიოსა და მის შემოგარენში "ენტერპრაიზის" სახელის მქონე სამი კომპანიაა. ყველა მათგანი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს ჩრდილოეთ კორეასთან და ასევე ირწმუნება, რომ საერთოდ არ ჰყავთ თანამშრომელი იოსაკი სავადა.

მიუხედავად ყველაფრისა, ბევრი ფიქრობს, რომ კორეის სახალხო რესპუბლიკაში იაპონიის მოქალაქის დაპატიმრება შეიძლება გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცეს ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ეს ურთიერთობები კი ისედაც დაძაბულია ჩრდილოკორეული ატომური პროგრამის გამო.

ამჟამად იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამოწმებს ინფორმაციას ნარკოტიკების კონტრაბანდის გამო კორეაში იაპონელი ბიზნესმენის დაპატიმრების შესახებ. ჯერჯერობით, სამინისტროს წარმომადგენლები ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებენ.

# ჩეჩენთა საქმის სასამართლო განხილვა დასასრულს უახლოვდება

*გასული წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებული 13 ჩეჩენი პატიმრიდან ორისთვის - ასლანბეგ ხანჩუკაევისა და ახმედ მაგამედოვისთვის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას გუშინ საბოლოო განაჩენი უნდა გამოეტანა. თუმცა, იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ ჩეჩენ პატიმართა საქმის მოსმენა გუშინ დაასრულა, მოსამართლის საბოლოო გადაწყვეტილება 5 ნოემბერს გამოქვეყნდება.*



*თბილისის საოლქო სასამართლოში სამი ჩეჩენი პატიმრის საქმის განმწესრიგებელი სხდომა დაიწყო.*

უზენაესი სასამართლო დაადგენს, რამდენად კანონიერი იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ ცოტა ხნის წინ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ხანჩუკაევსა და მაგამედოვს საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და იარაღის უკანონო ტარების თაობაზე პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებები მოეხსნათ. საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი პატიმართა გამამართლებელი განაჩენი უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელმა – გენერალურმა პროკურატურამ გაასაჩივრა.

ხანჩუკაევსა და მაგამედოვს კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ელით. მათ ბრალი ედებათ 2002 წლის 4 ოქტომბერს №5 საპყრობილის ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. საუბარია, ორთაჭალის ციხეში მომხდარ ბუნტზე, როდესაც პატიმრებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ბადრაგს, რომელსაც საპყრობილიდან ხუთი ჩეჩენი პატიმარი გაჰყავდა რუსეთში ექსტრადიციისთვის.

გუშინ, თბილისის საოლქო სასამართლოში, დანარჩენი სამი ჩეჩენი პატიმრის - რუსლან გელოგაევის, ჰუსეინ ალხანოვისა და რუსტამ ელიხაჯიევის (იგივე ბექხან მულკოევის) საქმის განმწესრიგებელი სხდომა დაიწყო. პროცესზე განსასჯელთა ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა საქმეში არსებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა.

ადვოკატის თქმით, მტკიცებულებების შეგროვებისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რაც მტკიცებულებათა ბათილად ცნობის საფუძველი უნდა გახდეს.

ადვოკატის შუამდგომლობაზე პასუხისთვის პროკურორმა დრო მოითხოვა და საქმის განხილვა 12 ნოემბრისთვის გადაიდო.

სამ ჩეჩენ პატიმარს ბრალი ედება საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და იარაღის უკანონო ტარებაში. გარდა ამისა, მათ წინააღმდეგ საქმე აღძრულია 4 ოქტომბერს №5 საპყრობილის ბადრაგისთვის გაწეულ დაუმორჩილებლობაში.

გასული წლის აგვისტოში გირევის საგუშაგოზე დაკავებული 13 ჩეჩენიდან რუსეთში ექსტრადირებული ხუთი პატიმრის სასამართლო პროცესი რამდენიმე დღის წინ დაიწყო სტავროპოლის სასამართლოში. მათგან ერთ-ერთის - ჰუსეინ აზიევის საქმე დანარჩენ ბრალდებულთა საქმეს გამოეყო და მისი განხილვა ცალკე მოხდება. ძირითადი საქმიდან აზიევის საქმის გამოყოფა თავად ბრალდებულის მოთხოვნიდან გამომდინარე მოხდა. საქმე ისაა, რომ აზიევმა სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მოითხოვა. აზიევი და დანარჩენი ოთხი განსასჯელი ბრალდებულნი არიან ტერორიზმში, საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, იარაღის კონტრაბანდაში, სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლებზე თავდასხმასა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობაში.

*24 საათი*

# „დეპუტატობის კანდიდატზე თავდასხმაში ბევრი რამ არის საეჭვო", - აცხადებენ სამართალდამცველები

*ნაძალადევის რაიონში "ახალი მემარჯვენეების" მიერ წარდგენილ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე თავდასხმის გამო სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობისა და აფეთქების მუხლებით აღიძრა, თუმცა, სამართალდამცველები ეჭვობენ, რომ ზვიად ჩოხელის სიცოცხლის ხელყოფა არავის განუზრახავს.*

ინციდენტი 29 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის 11 საათზე მოხდა. ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზვიად ჩოხელი ("ახალი მემარჯვენეები") მისივე საარჩევნო შტაბიდან 200-300 მეტრის დაშორებით, ცოტნე დადიანის გამზირზე მცხოვრებ მეგობართან გელა ლობჟანიძესთან მივიდა. ჩოხელის ნაამბობის თანახმად, მისი ბინიდან გამოსულს სადარბაზოში, პირველ და მეორე სართულებს შორის, კიბეზე, ორი უცნობი დაესხა თავს. უცნობებმა მას ორჯერ ესროლეს და გაიქცნენ. ჩოხელის თქმით, იგი ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა, რომელსაც რამდენიმე ხანია ატარებს, რადგან მას ტელეფონით უცნობი პირები მოკვლით ემუქრებოდნენ. ამ მუქარების გამო ჩოხელს არამარტო ჯავშანჟილეტის ტარება დაუწყია, არამედ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციასა და პროკურატურაშიც შეუტანია შესაბამისი განცხადება.

როგორც ცნობილია, ღამის ინციდენტი მარტო ჩოხელისთვის სროლით არ ამოწურულა. თავდასხმიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დეპუტატობის კანდიდატის მეგობრის სადარბაზოსთან მდგარი ჩოხელის მანქანაც აფეთქდა. აფეთქების შედეგადაც არავინ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილზე ღამითვე დაიწყეს მუშაობა პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლებმა. უკვე აღებულ იქნა სინჯები ექსპერტიზისათვის და დაიკითხა თვით ზვიად ჩოხელიც.

გამომძიებლის შეკითხვაზე - ხომ არ ჰქონია მას წარსულში ვინმესთან კონფლიქტი, რის გამოც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა შურისძიებას? ჩოხელმა უპასუხა, რომ მას არავინ ჰყავს ისეთი მტერი, ვინც სასიკვდილოდ გაიმეტებდა და მომხდარი თავდასხმა მთლიანად პოლიტიკურ ანგარიშსწორებას დაუკავშირა. მას ეჭვი არავიზე აქვს, ამ დროისთვის ეჭვმიტანილთა წრე არ აქვს დადგენილი გამოძიებასაც.

**"სროლის ხმა არავის გაუგია, გარდა თვით ჩოხელის მეგობრის გელა ლობჟანიძისა**, -ამბობს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორი ლენა კაპანაძე, - **ზვიად ჩოხელის ნაამბობის თანახმად, მას სადარბაზოში ორჯერ ესროლეს. ერთი ტყვია ჯავშან-ჟილეტში ჩარჩა, მეორემ ქურთუკის სახელოში გაიარა. მას აშკარად გაუმართლა, რომ ბოროტმოქმედები მაინც და მაინც მაკაროვის სისტემის პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულნი. ამ პისტოლეტიდან ნასროლი ტყვია ჯავშან-ჟილეტს ვერაფერს აკლებს. მანქანაში მომხდარი აფეთქებაც არ იყო ისეთი ძალის, რომ ვინმე დაეზარალებინა. ასაფეთქებელი ნივთიერების განლაგება და სიმძლავრე კი მოწმობს იმაზე, რომ იგი ან ამ საქმის აბსოლუტურად არმცოდნე პირებმა ჩაამონტაჟეს, ან აფეთქებით მხოლოდ ხმაურის გამოწვევას ისახავდნენ მიზნად"**.

სამართალდამცველებს, ცოტა არ იყოს, აეჭვებთ დანაშაულის პოლიტიკური მოტივაცია იქიდან გამომდინარე, რომ რაიონში ჩოხელის რეიტინგი არც ისე მაღალია და მას წინ უსწრებს სულ ცოტა სამი კონკურენტი. პოლიციას თითქმის გამორიცხულად მიაჩნია თავდასხმის კავშირი წარსულში მომხდარ კრიმინალურ გარჩევასთან, რომელსაც ჩოხელის ძმისა და დაპირისპირებული ოჯახის ორი წევრის სიცოცხლე შეეწირა.

*24 საათი*

# ყაჩაღები შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს





*პოლიციამ დაკავებულ ზურაბ კუჭავას და შავლეგ ლომაიას ნაყაჩაღარი ნივთები შემთხვევის ადგილზე აღმოუჩინა.*

ირინა ხუბაშვილი

30 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის ორის ნახევარზე, რუსთაველზე, რესტორან "მარკო-პოლოს" მახლობლად ყაჩაღობა მოხდა. ორი ახალგაზრდა თავს დაესხა 2 ნოემბრის არჩევნებზე დასწრების მიზნით ჩამოსულ ეუთო-ს დამკვირვებლებს, ინგლისის მოქალაქეებს ემილ ირვინსა და ლუსი იანგს. ყაჩაღებმა უცხოელ ქალბატონებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, წაართვეს ფული და პირადი ნივთები: "სონის" ფირმის ფოტოაპარატი, მობილური ტელეფონი.

ყაჩაღები მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. ესენი აღმოჩნდნენ 27 წლის ზურაბ ბადრის ძე კუჭავა და 22 წლის შავლეგ ზურაბის ძე ლომაია. მათ ნაყაჩაღარი ნივთები იქვე აღმოუჩინეს და დაუბრუნეს კიდეც მფლობელებს.

დანაშაულზე სამართალდამცველების ოპერატიულ რეაგირებას მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს უფროსი პაატა ჟღენტი ასე ხსნის:

**"არჩევნებთან დაკავშირებით თბილისში მრავალი ქვეყნის დამკვირვებელი იმყოფება. შესაბამისად, მათ დასაცავად გაძლიერებულია პოლიციის შემოვლითი ჯგუფები, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც უმეტესად სასტუმროებია განლაგებული. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემოვლითი ჯგუფი შემთხვევის ადგილთან ახლოს იმყოფებოდა. მათ ქალბატონების ყვირილი გაიგეს და შეძლეს დამნაშავეების ადგილზევე დაჭერა. დაკავებულია ორი პიროვნება. ზურაბ კუჭავა და შავლეგ ლომაია თბილისელები არ არიან. კუჭავა ფოთელია. იგი ადრე ორჯერ არის ნასამართლევი და ამჟამად პირობით სასჯელს იხდის. ლომაია კი სენაკის რაიონის, სოფელ ნასირის მკვიდრია და სამჯერ მოასწრო უკვე სასჯელის მოხდა. დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. მომხდარის გამო აღძრულია საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის, მეორე ნაწილის ა და გ პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს ოთხიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. იმედი მაქვს, იმის გამო, რომ ბოროტმოქმედები რამდენჯერმე არიან ნასამართლევები, ისინი საკადრის სასჯელს სრულად მოიხდიან, სასამართლო არ გამოიჩენს მათ მიმართ ლმობიერებას და თავდებით ან პირობითი სასჯელით აღარ გაათავისუფლებს"**.

# ჭიათურაში მომხდარ ინციდენტში საეჭვო დეტალები გამოჩნდა

*გუშინწინ საჩხერე-ჭიათურის ავტომაგისტრალიდან გაუჩინარებული "აღორძინების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ადვოკატი თემურ გოგსაძე გუშინ, დილით, ჭიათურაში მდებარე "აღორძინების" პარტიულ ოფისში საკუთარი ფეხით მივიდა.*

თემურ გოგსაძე გუშინ ჭიათურის პოლიციაში დაკითხეს. მისი განცხადებით, იგი რამდენიმე შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა მანქანიდან გადმოსვა, უკაცრიელ ადგილას წაიყვანა, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, საარჩევნო ფონდის ფული – 3 ათასი დოლარი, რომელიც დეპუტატობის კანდიდატს თან ჰქონდა, წაართვა და შემდეგ ხელფეხშეკრული მდინარე ყვირილაში გადააგდო. თემურ გოგსაძის თქმით, მან მხოლოდ გამთენიისას მოახერხა მდინარიდან ამოსვლა და პარტიის ოფისში ჩასვლა. დაზარალებულმა პოლიციისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ვერ დააკონკრეტა გამტაცებელთა ვინაობა და ვერც მისი გატაცების სავარაუდო მიზეზები.

როგორც გოგსაძემ განმარტა, მან სიბნელეში გამტაცებელთა ამოცნობა ვერ შეძლო.

მომხდარი ფაქტის გამო ჭიათურაში ჩავიდნენ უშიშროებისა და პოლიციის სამხარეო სტრუქტურათა თავკაცები.

შეგახსენებთ, რომ თემურ გოგსაძე გუშინწინ დაიკარგა, როცა საკუთარი "ოპელის" მარკის ავტომანქანით საჩხერიდან ჭიათურაში მიემგზავრებოდა.

მოგვიანებით, სამართალდამცველებმა გოგსაძის კუთვნილი ავტომანქანა ჭიათურასა და საჩხერეს შორის, ავტომაგისტრალზე, მე-3 სატრანსპორტო სამმართველოსთან მიტოვებული ნახეს. მანქანაში ჩატოვებული იყო გასაღები. შემთხვევის ადგილზე კი ძალადობის კვალი არ შეიმჩნეოდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საჩხერის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით. სამართალდამცველებისთვის, დაზარალებულის გარდა, ჩვენება არავის მიუცია, რადგან მომხდარ ინციდენტს თვითმხილველები არ ჰყავს.

"აღორძინება" დეპუტატობის კანდიდატზე მომხდარ თავდასხმას თემურ გოგსაძის საქმიანობასა და მის მიერ შემუშავებულ პროექტს უკავშირებს, რომელიც ჭიათურაში მანგანუმის მრეწველობის განვითარებას ითვალისწინებს.

"აღორძინების" ინფორმაციით, ამ პროექტის პრეზენტაციის შემდეგ მას "შავი სამყაროს" წარმომადგენლებმა დაურეკეს და წამოწყებული საქმიანობისთვის თავის დანებება მოსთხოვეს.

სხვათა შორის, თემურ გოგსაძისთვის ეს თავდასხმის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. იგი რამდენიმე წლის წინ თბილისში გაიტაცეს და სასტიკად სცემეს. გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ ადვოკატი, რომელიც 29 აგვისტოს ტერაქტში ბრალდებულ ორ განსასჯელს – გურამ პაპუკაშვილსა და ნიკა კვეზერელს იცავდა, ამ საქმის გამო გაიტაცეს და ბრალდებულთა დაცვა აუკრძალეს, თან ფიზიკურად გაუსწორდნენ. თემურ გოგსაძის სახელი გასულ წელს კიდევ ერთ სკანდალურ საქმეს დაუკავშირდა. საუბარია, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მიყვანილ გიგა ბიწაძეზე, რომლის ახლობელთა განცხადებით, ბიწაძე პოლიციის განყოფილებაში სწორედ თემურ გოგსაძემ მიაყვანინა, სადაც ის სასტიკად აწამეს.

გუშინწინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საჩხერის პროკურორი ნუგზარ ზაბახიძე, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს. იმერეთის სამხარეო პოლიციაში კი აცხადებენ, რომ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალი გამოჩნდა, რომელსაც სამართალდამცველები ჯერ არ ახმაურებენ. საქმის გამოძიებაში ჩაერთო იმერეთის საოლქო პროკურატურაც, რომელმაც საქმე კონტროლზე აიყვანა.

*24 საათი*

# კვლავ პასუხისმგებლობის დაკისრება და სხვა არაფერი

გუშინ გამართულ ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად დააყენა 24 სექტემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათიდან გატაცებული როლანდ ჩანგელიას გათავისუფლების საკითხი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზი ბოევიკის ბუთბას დაჯგუფების მიერაა დატყვევებული. ქართული მხარის განცხადებით, თუ ტყვეობაში მყოფ ჩანგელიას რაიმე დაუშავდება, პასუხისმგებლობა გაერო-სა და რუსეთის სამშვიდობო ძალებს დაეკისრებათ.

ქართველმა სამართალდამცველებმა სხვა დანაშაულების - ლებსაიას და ხარძიანის გატაცებისა და არქანიასა და ქირიას მკვლელობის ფაქტების სასწრაფოდ გამოძიების საკითხიც დააყენეს. როგორც ცნობილია, არქანიასა და ქირიას ნაწამები გვამები 23 ოქტომბერს, სოფელ ჭუბურხინჯში, ერთ-ერთ ჭაში იპოვეს. კანონდამცველთა ინფორმაციით, 2 თვის წინ გატაცებული ჭუბურხინჯელი ქართველები - არქანია და ქირია, რომლებიც გატაცებული ჰყავდათ აფხაზ კრიმინალებს, ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ დახვრიტეს და ჭაში ჩააგდეს.

ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, აფხაზებმა დასახელებული კრიმინალური ფაქტების გამოძიების საქმეში ქართველ სამართალდამცველებს დახმარება აღუთქვეს.

ქართულმა მხარემ ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე კატეგორიულად გააპროტესტა აფხაზ სეპარატისტთა მებაჟეების მიერ ენგურის ხიდზე ქართველებისთვის 100 რუსული რუბლის გადასახადის დაწესებაც.

ქართულმა მხარემ გუშინდელ შეხვედრაზე ასევე სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაერო-ს წარმომადგენლობის მიმართაც, იმის გამო, რომ ისინი ვერ ახდენენ გავლენას გალის რაიონში მიმდინარე კრიმინალურ პროცესებზე და ვერ იცავენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას აფხაზი კრიმინალების თავდასხმებისგან.

ქართველი სამართალდამცველების პრეტენზიებზე კომენტარის გაკეთებისგან აფხაზურმა მხარემ თავი შეიკავა. აფხაზური მილიციის უფროსმა საბეკიამ განაცხადა, რომ მას მძიმე დღე ჰქონდა და ამის გამო ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს.

გაერო-ს წარმომადგენლობის განცხადებით, გასული კვირა კონფლიქტის ზონაში შედარებით სტაბილური იყო, რასაც ქართული მხარე კატეგორიულად არ დაეთანხმა.

*24 საათი*

# პოლიცია განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს

თბილისის პოლიცია, 2 ნოემბრის არჩევნებისა და თბილისობის დღესასწაულის მშვიდობიანად ჩატარების მიზნით, გუშინ მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ამგვარი მკაცრი რეჟიმით იმუშავებს.

სამართალდამცველები ძირითადად გააკონტროლებენ ცენტრალურ მაგისტრალებსა და იმ ადგილებს, სადაც თბილისობასთან დაკავშირებით ბაზრობები გაიმართება.

თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს ცნობით, საგზაო პოლიციის 500-მდე თანამშრომელს სამი დღის განმავლობაში გზებზე წესრიგის დამყარება და პრეზიდენტის გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება.

ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება კვლავ გაგრძელდება კოსტავას ქუჩაზე. ეს ღონისძიება რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, რადგან ამ ქუჩაზე, განსაკუთრებით კი ფილარმონიასთან, მუდმივად საცობები იქმნება.

*მედია-ნიუსი*

# ნიუ-იორკი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია

ნიუ-იორკის მერის მტკიცებით, ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური ქალაქის რეპუტაციის მქონე ნიუ-იორკი დღეს შტატების დიდ ქალაქებს შორის ყველაზე უსაფრთხოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მონაცემების თანახმად, შეერთებულ შტატებში მომხდარი დანაშაულის დონე 2002 წელს წინა წელთან შედარებით ოდნავ გაიზარდა, ნიუ-იორკში დამნაშავეობის 5 პროცენტით შემცირება შეინიშნება.

**"ამერიკის ყველაზე მსხვილი ქალაქი უფრო და უფრო უსაფრთხო ხდება",** – განაცხადა ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა.

არადა, სულ ცოტა ხნის წინ ამერიკის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ საბიუჯეტო კრიზისი და ეკონომიკური ვარდნა დამნაშავეობის მკვეთრ ზრდას გამოიწვევდა. ნიუ-იორკის მმართველები კმაყოფილებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ ეს პროგნოზი არ გამართლდა. შეერთებული შტატების 10 უმსხვილესი ქალაქიდან, დანაშაულის რაოდენობის მხრივ, ნიუ-იორკი ბოლო ადგილზეა.

# ათი წელი შეუსრულებელი ბიუჯეტითა და პოლიტიკური ნების გარეშე

### საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა

დავით ონოფრიშვილი
აშშ-ს ვანდერბილტის უნივერსიტეტის პროფესორი

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მოუწესრიგებელ და გადაუჭრელ პრობლემად, ალბათ, საბიუჯეტო კრიზისი უნდა ვაღიაროთ, რაც ქრონიკულად დაუბალანსებელი ბიუჯეტის არსებობით გამოიხატება. დაბალანსებული ანუ რეალური ბიუჯეტით ცხოვრება ქვეყნისათვის მიუღწეველ ამოცანად იქცა.

ყოველი შემთხვევისთვის დავაზუსტებ, რომ დაბალანსებული ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსია, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ბიუჯეტის სეკვესტრს, დავალიანებების დაგროვებას და ხელფასების, პენსიების, სხვა დაცული თუ არადაცული მუხლების დროულად დაფინანსებას ნიშნავს. არაერთხელ უკითხავთ ჩემთვის ნაცნობებსა თუ უცნობებს, როდის შეიძლება საქართველოს ხელისუფლება წარსდგეს დაბალანსებული ბიუჯეტით ხალხის წინაშე. მაშინ, 2000 წელს ვპასუხობდი, რომ, სავარაუდოდ, ეს შეიძლება 2004 წელს ყოფილიყო. ამგვარი პროგნოზი ზოგიერთისთვის ოპტიმისტური იყო, ხოლო უმეტესობისთვის - პესიმისტური. ჩემს შეფასებებს კი ობიექტური საფუძველი ჰქონდა.

**ხანმოკლე მოღვაწეობამ ამ მთავრობაში და მის კულუარებში ჩახედვამ დამარწმუნა ხელისუფლების და, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის არა მხოლოდ არაკომპეტენტურობაში და უუნარობაში, არამედ - სურვილის არქონაში, რომ ქვეყნის კომუნისტური მეთოდებით მართვის წესი შეეცვალა თანამედროვე დასავლური დემოკრატიული მმართველობის სისტემით. ეს მდგომარეობა კი პირდაპირ კავშირშია [illegible] ჩემთვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროგრესი და აქტიური რეფორმების დრო მხოლოდ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დადგება.**

თითო-ოროლა თანამოაზრესთან ერთად უმცირესობაში ყოფნით ვერ ხერხდებოდა ვერც რეფორმატორული წინადადებების განხორციელება, ვერც მთავრობის ბიუროკრატიულ მანქანაში მყარად ჩამოყალიბებული, კომუნისტური ეპოქიდან გადმოტანილი არაეფექტური მმართველობის წესებისა და მენტალიტეტის შეცვლა. არსებული არადემოკრატიული, მახინჯი კულუარული ბრძოლისა და ინტრიგების შესწავლის სურვილი და ამ მიმართულებით დახელოვნება კი, პირადად ჩემთვის, ნამდვილად არ იყო მიმზიდველი. ასე რომ, მთავრობაში ჩემს ყოფნას არც პროფესიონალურად და არც მორალურად აზრი არ ჰქონდა.

მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, გულის სიღრმეში მაინც მქონდა იმედი, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავისი მმართველობის ბოლო საბიუჯეტო წელიწადს, ერთხელ მაინც მიუდგებოდა რაციონალური კუთხით ქვეყნის ფინანსებს, ერთხელ მაინც გაითვალისწინებდა უმცირესობაში მყოფი მთავრობის წევრების, ფინანსისტებისა და ეკონომისტების აზრს და ბოლო ათი წლის მანძილზე პირველად გახდებოდა შესაძლებელი 2004 წლის რეალური, შესრულებადი ბიუჯეტის მიღება.

სამწუხაროდ, წელსაც წინა წლების ისტორია განმეორდა.

სულ რამდენიმე კვირის წინ, მთავრობაში ჩამოყალიბებული "ტრადიციის" თანახმად, უარი ეთქვა ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს. **ბოლო წლების განმავლობაში უცვლელი სცენარის მიხედვით, კანცელარიაში, ხარჯების გაზრდის მოთხოვნით თუ მიზეზით, დაუსაბუთებლად, ყოველგვარი რეალური გათვლის გარეშე გაიზარდა შემოსავლების პარამეტრი. პრეზიდენტმა, რომლის სიტყვა გადამწყვეტია ასეთ შემთხვევებში, როგორც ყოველთვის, მხარი დაუჭირა შემოსავლების უსაფუძვლო გაზრდას. ასე რომ, ქართულმა პოსტ-კომუნისტურმა ბიუროკრატიამ კიდევ ერთი "გამარჯვება" მოიპოვა დაუბალანსებელი ბიუჯეტის სასარგებლოდ.**

სწორედ ამდაგვარმა, ზედიზედ მეათე "გამარჯვებამ" მიბიძგა, ჩემი მოსაზრებები გამეზიარებინა საზოგადოებისთვის და იმ პოლიტიკოსებისთვის, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ქვეყნის მომავალი და ვინც უახლოეს წლებში მოუწესრიგებელი საბიუჯეტო პრობლემების გადაწყვეტის პასუხისმგებლობას აიღებს.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დაბალანსებული ბიუჯეტი, საუკეთესო შემთხვევაში, 2006 წელს ექნება. 2005 წლის ბიუჯეტის [illegible]

[illegible] ცილებით დამთავრდა, ხოლო საბიუჯეტო პრობლემა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებები ძველებურად გადაუჭრელი დარჩა.

მაშინ ჩემს მიერ ჩამოთვლილ მიზეზთა შორის უმთავარესი გახლდათ: ერთიანი სამთავრობო გუნდის არარსებობა; შიდა დაპირისპირებები და წინააღმდეგობები, რაც არ იძლეოდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და რეფორმატორული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, მათ შორის - დაბალანსებული ბიუჯეტის მიღებას და აღსრულებას. ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ მნიშვნელოვნად გართულდა.

**ყოველივე ამის პირდაპირი შედეგი გახლავთ ბოლო წლებში გამეფებული სრული უძრაობა საზოგადოების განვითარების პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. შეწყვეტილი, დაუმთავრებელი და არდაწყებული რეფორმები ქვეყნის სხვადასხვა სფეროში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. იშვიათი წარმატებები კი, როგორც წესი, საგარეო ასპარეზზე, ძირითადად ჩვენი მეგობარი ქვეყნების (აშშ, გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ.) დახმარებისა და მხარდაჭერის დამსახურებაა და საერთო სურათს ვერ ცვლის.**

**დღეს უკვე აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკა კიდევ რამდენიმე დაუბალანსებელ საბიუჯეტო წელს ვერ გაუძლებს. ქრონიკულად მოუწესრიგებელი ფისკალური პრობლემები, ადრე თუ გვიან, უარყოფით ზეგავლენას იქონიებს დღემდე სტაბილურ მონეტარულ მდგომარეობაზე. მოვლენების ამდაგვარმა განვითარებამ კი, საბოლოო ჯამში, შეიძლება ეჭვის ქვეშ დაყენის როგორც ქვეყნის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა, ასევე ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა არსებული კონფლიქტების მოგვარება და პროდასავლური საგარეო კურსის შენარჩუნება.**



"იმედი საქართველოს ამომრჩეველია, რომელმაც რამდენიმე დღეში არჩევანი უნდა გააკეთოს".

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აქვე მინდა მკითხველს შევახსენო, თუ როგორ ყალიბდებოდა დამოუკიდებელ საქართველოში საბიუჯეტო პროცესი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1991-1994) ქვეყანას ბიუჯეტი საერთოდ არ ჰქონდა. იყო შემოსავლების და ხარჯების თვიური და კვარტალური აღრიცხვა, რომელსაც კვარტალური ბიუჯეტიც ძნელად თუ შეიძლება ეწოდოს.

ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფო საბჭომ და მთავრობამ, ყოვლად უპასუხისმგებლო და ქვეყნისთვის დამანგრეველი შეუზღუდავი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და საგარეო ვალების დაგროვების შედეგად, პრაქტიკულად აუორთქლა საკუთარი შრომით მოპოვებული დანაზოგები მოსახლეობას. ჰიპერინფლაციის შედეგად, საქართველო და მისი მოსახლეობა ბანკროტად იქცნენ, მხოლოდ ერთეულებმა იხეირეს და ფინანსურად გაძლიერდნენ ამ მიზანმიმართული, ქვეყნისთვის დამღუპველი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად.

1995 წელი იყო პირველი წელიწადი საქართველოში, როდესაც მთავრობამ წარადგინა და პარლამენტმა დაამტკიცა პირველი წლიური ბიუჯეტი. ამავე წლიდან იწყება ბიუჯეტის ქრონიკულად შეუსრულებლობის ეპოპეაც.

ცხრა წლის მანძილზე (1995-2003 წწ.) ბიუჯეტი არც ერთხელ სრულად დაბალანსებული, ანუ პოპულარული ენით რომ ვთქვათ, რეალური არ ყოფილა და მეტ-ნაკლები მილიონებით ირღვეოდა, იმის მიხედვით, განხორციელდებოდა თუ არა წლის განმავლობაში სეკვესტრი. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის რიგით მეათე ბიუჯეტსაც იგივე ბედი ელის, თუ მასში პარლამენტი არ შეიტანს ცვლილებებს.

**ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ საბიუჯეტო პროცესზე არჩევნების ნეგატიური გავლენის შესახებ. საქართველო, მართლაც, ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა, სადაც ასე მაღალია კორელაცია (პირდაპირი დამოკიდებულება) არჩევნების ჩატარებასა და ბიუჯეტის გარღვევის მაჩვენებელს შორის.** ამასთან დაკავშირებითაც მინდა ჩემი დაკვირვებები გაგიზიაროთ.

ბიუჯეტის შეუსრულებლობის მაჩვენებლების და არჩევნების ჩატარების მიხედვით, დამოუკიდებლობის წლები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად:

**პირველი ჯგუფი:** 1995, 1999, 2003 - როდესაც ქვეყანაში იყო საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნები, ბიუჯეტის გარღვევამ გადააჭარბა 150 მილიონ ლარს. ამ წლებში ხელისუფლება სეკვესტრს ვერ ან არ ახორციელებს და შესაბამისად ხდება დავალიანებების დაგროვება.

**მეორე ჯგუფი:** 1998, 2000, 2002 - როდესაც ბიუჯეტის გარღვევა აჭარბებდა 100 მლნ. ლარს, მაგრამ სეკვესტრის შედეგად შესრულება 100 მლნ. ლარზე ნაკლები იყო. აქედან 1998 და 2002 წლებში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, 2000 წელს კი - საპრეზიდენტო.

**მესამე ჯგუფი:** 1996, 1997 და 2001 - როდესაც ქვეყანაში არჩევნები არ ჩატარებულა და ხელისუფლებამ მოახერხა სეკვესტრის გატარება, მაგრამ ბიუჯეტი მაინც გაირღვა 50 მილიონზე ნაკლების ფარგლებში. ამავე კატეგორიას განეკუთვნება 2004 წლის ბიუჯეტი.

ასე რომ, საკმაოდ სავალალო სურათი დაიხატა. ფაქტობრივად, რაც უფრო მნიშვნელოვანი არჩევნები ტარდება ქვეყანაში (საპრეზიდენტო და საპარლამენტო), მით უფრო დიდია ბიუჯეტის გარღვევა და დავალიანებების დაგროვება. ეს კი პირდაპირ მიანიშნებს ხელისუფლების უპასუხისმგებლობაზე და მის მიერ საბიუჯეტო პროცესის ნეგატიურ პოლიტიზებაზე, რასაც არაფერი აქვს საერთო არც ხალხისა და არც ქვეყნის ინტერესებთან, მით უმეტეს არანაირი კავშირი არა აქვს რაციონალურ და ეფექტურ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკასთან.

**რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანაში დაბალანსებული ბიუჯეტი არსებობდეს? პასუხი ამ კითხვაზე ძალიან მარტივია, თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით - შესასრულებლად შეუძლებელი. ეს გახლავთ უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ ქვეყანას გააჩნდეს დაბალანსებული ბიუჯეტი. ასევე არ არსებობს და მხოლოდ დეკლარირებულია პოლიტიკური ნება ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა და პრივილეგირებულ [illegible] დასჯა, რაც პირდაპირ დამოკიდებულებაშია დამალული გადასახადების ამოღებასთან და, შესაბამისად, რეალური ბიუჯეტის არსებობასთან.**

**მიღებული პრაქტიკა - ფინანსთა სამინისტროზე ან ეკონომიკურ ბლოკზე ბიუჯეტის შეუსრულებლობის "პოლიტიკურად გადაბრალება" - არის ძირშივე მცდარი და ხელოვნურად წინწამოწეული, რათა ეკონომიკაში გაუთვითცნობიერებელმა ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ პასუხისმგებლობა მოიხსნას არასწორ გადაწყვეტილებებზე, რომელიც წლის დასაწყისში თავად მიიღო.** საქართველოს კონსტიტუციისა და საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად, ბიუჯეტს ადგენს და აღასრულებს მთავრობა, პარლამენტი კი ამტკიცებს.

**ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი საფინანსო დოკუმენტია, რომელიც მთავრობასა და პარლამენტს შორის პოლიტიკური კომპრომისის ნაყოფი გახლავთ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერ შეიქმნა პრეცედენტი, რომ ეს კომპრომისი დაფუძნებული ყოფილიყო საღ გათვლაზე, ქვეყანაში რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და ფინანსურად დასაბუთებულ პროგნოზზე. დღესდღეობით, საბიუჯეტო კომპრომისი დაფუძნებულია იაფფასიან პოლიტიკურ პოპულიზმზე, მერკანტილური ინტერესებისა და ეკონომიკასა და ფინანსებში დილეტანტიზმის ნაზავზე.**

უკეთ რომ გავერკვეთ არსებულ საბიუჯეტო ქაოსში, მნიშვნელოვანია გამოვყოთ, ვის რა როლი აკისრია ხელისუფლებაში ბიუჯეტის მომზადების, დამტკიცებისა და აღსრულების საქმეში.

ფინანსთა სამინისტრო, კანონის შესაბამისად, ამზადებს ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის მომზადება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია და რამდენიმე თვეს გრძელდება. ხოლო მას შემდეგ, რაც მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას შემოსავლებისა და ხარჯების საბოლოო პარამეტრების შესახებ, როგორც მინიმუმ, სამი კვირაა საჭირო, რათა ასეულობით პარამეტრი შევიდეს კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში და მას საბოლოო სახე მიეცეს. ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, როგორც წესი, ეფუძნება საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) შეთანხმებულ პროგრამას.

არ მახსოვს შემთხვევა, როდესაც მთავრობაში წარდგენილი ვარიანტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სსფ-სთან შეთანხმებულ პარამეტრებთან, რაც თავისთავად გამორიცხავს დაუბალანსებელ ბიუჯეტს, დავალიანებების დაგროვებას და სეკვესტრების საშიშროებას. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო მთავრობაში, პრაქტიკულად, ყოველთვის წარადგენდა დაბალანსებულ ბიუჯეტს.**

1995-2003 წლების მანძილზე არც ერთხელ არ იქნა გაზიარებული ფინანსთა სამინისტროს წარდგენილი პროექტები; ფინანსთა მინისტრები, რამოდენიმე კოლეგასთან ერთად, ყოველთვის აშკარა უმცირესობაში ექცეოდნენ სამთავრობო სხდომებზე და ბიუჯეტთან დაკავშირებულ თათბირებზე; უმრავლესობას დამატებითი დაფინანსების გაზრდის მომხრეები შეადგენდნენ. **ნებისმიერი განმარტება, რომ ქაღალდზე გაზრდილი შემოსავლები გამოიწვევს მწვავე საბიუჯეტო კრიზისს და ამით რეალურად არ გაიზრდება დაფინანსება, არასოდეს ყოფილა გაზიარებული.**

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობამ 1 ოქტომბრამდე უნდა წარადგინოს ბიუჯეტი პარლამენტში, მაგრამ მანამდე ბიუჯეტის პროექტი მთავრობის სხდომაზე უნდა იქნეს განხილული და შეთანხმებული.

**სწორედ სექტემბრის თვე ხდება ფატალური საქართველოს ბიუჯეტისათვის, როდესაც მას, სამთავრობო განხილვების პერიოდში, ისე ჩაასწორებენ, რომ არც ფინანსთა მინისტრს და არც მის კოლეგებსა და ეკონომისტ-ფინანსისტებს ეკითხებიან ჭკუას. და თუ ეკითხებიან, მხოლოდ პროცედურის გამო - მათი მოსაზრებების გაზიარება მაინც არ ხდება. ასე რომ, ბიუჯეტის შეუსრულებლობა უკვე პარლამენტში შესვლამდეა გარანტირებული.**

ყოვლად დაუსაბუთებლად იზრდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი (საბაჟოს და საგადასახადოს პარამეტრები) და დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პრივატიზებიდან შემოსავლები და, რიგ შემთხვევებში, არარეალური საგარეო დახმარებები, რომელთა მიღება საეჭვოა). ეს ზრდა წლების მიხედვით სხვადასხვაგვარია, დაახლოებით 40-100 მილიონის ფარგლებში, გააჩნია, ქვეყანაში არჩევნების წელია თუ არა.

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, საბოლოო სიტყვა პრეზიდენტს ეკუთვნის. საქართველოში, რომელიც დასავლეთში მიჩნეულია დემოკრატიის გზაზე მიმავალ, მაგრამ კვლავ ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნად, პრეზიდენტის სიტყვა საბოლოოა. ამიტომ ყველასთვის ცხადია, რომ, როგორც პრეზიდენტი ჩათვლის საჭიროდ, ისე გადაწყდება საკითხი.

**არც ერთხელ, ამ წლების მანძილზე, საქართველოს პრეზიდენტს მხარი არ დაუჭერია ფინანსთა მინისტრებისთვის, ზოგ შემთხვევაში კი - მთლიანად ეკონომიკური "გუნდისათვის". საბიუჯეტო დებატების დროს ყოველთვის "მოინახებოდნენ" ეკონომისტები, კანცელარიაში თუ მის გარეთ - სახელმწიფო ბიუროკრატიის აპარატში, რომელთა დილეტანტური, არაეკონომიკური, მაგრამ პოპულისტური არგუმენტები ყველაზე კარგად ჭრიდა და ნებისმიერ ეკონომიკურად დასაბუთებულ წინადადებას ჯაბნიდა. პრეზიდენტიც, უკვე მეათე წელიწადია, მათ უჭერს მხარს. შედეგებსაც შესაბამისს ვიღებთ.**

**სამწუხაროდ, პასუხისმგებლობა და გაცნობიერება იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ზეამოცანად უნდა იქნეს აღიარებული რეალური, დაბალანსებული ბიუჯეტის არსებობა, თავისი ხარჯვითი პრიორიტეტებით, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა. ეს კი პირდაპირი მაჩვენებელია იმისა, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნება ქვეყანაში არ არსებობს. ყოველი წლის სექტემბერში მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ძირშივე გულისხმობს ბიუჯეტის გარანტირებულ ჩავარდნას.**

პარლამენტში განხილვებისას ბიუჯეტი დამატებით ცვლილებებს განიცდის. რა თქმა უნდა, ამჯერადაც შემოსავლების გაზრდის ხარჯზე, თუმცა აქ პარლამენტი ბევრად "მოკრძალებულია" და პროექტი, დაახლოებით, 10-20 მილიონის ოდენობით იცვლება, რათა დაკმაყოფილდეს დეპუტატთა მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიუჯეტი შეიძლება ჩავარდეს.

**საბოლოო ჯამში, ბიუჯეტის მიღებისას პოლიტიკური კონსენსუსი მთავრობასა და პარლამენტს შორის გახლავთ არა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე დაბალანსებული ბიუჯეტის მიღება, არამედ ესაა კონსენსუსი პოლიტიკური ინტერესებისა, ქაღალდზე დაბალანსებული ბიუჯეტით, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება სხვადასხვა უწყებისა და პიროვნებების მოთხოვნები, ყოვლად დაუსაბუთებელი შეუსრულებადი შემოსავლებისა და ხარჯვითი პარამეტრების გაზრდის მეშვეობით.**

რისი იმედი უნდა გვქონდეს, რათა 2004 წლის ბიუჯეტი შეიცვალოს და დაბალანსდეს?

**პირველი იმედი საქართველოს ამომრჩეველია, რომელმაც (რა თქმა უნდა, თუ მიეცემა საშუალება) რამდენიმე დღეში არჩევანი უნდა გააკეთოს. მოქალაქეებმა ან მხარი უნდა დაუჭირონ არსებულ უნიჭო და გაკოტრებულ ხელისუფლებას და კიდევ მინიმუმ 3-4 წელი გაატარონ უვარგისი ბიუჯეტითა და მიუღებელი ხელფასების, პენსიების მუდმივ მოლოდინში, ან ხმა მისცენ ოპოზიციას და იმედი იქონიონ, რომ ახალი ძალები (ბურჯანაძე-დემოკრატები, ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები), რომლებიც არ არიან ასოცირებულნი კომუნისტურნომენკლატურულ აზროვნებასთან, შეძლებენ როგორც საბიუჯეტო პროცესის, ისე მთლიანად ქვეყნის რეფორმირებას. პირადად მე მჯერა, რომ მათ ამის უნარი შესწევთ და სხვა არჩევანიც არა აქვთ.**

**მეორე იმედი საერთაშორისო სავალუტო ფონდია. საქართველოს მთავრობასთან შარშან შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობის გამო, სსფ-ს უკვე ერთი წელია შეჩერებული აქვს პროგრამა. ამჯერადაც, როგორც ბოლო ათი წლის მანძილზე ხდებოდა, მოსალოდნელია, რომ ეს ორგანიზაცია, სავსებით სამართლიანად, დაიწუნებს მთავრობის მიერ წარმოდგენილ არარეალურ ბიუჯეტს და, არსებული შეთანხმებების შესრულებასთან ერთად, პარლამენტში ბიუჯეტის დაბალანსებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზაფხულამდე გადაიწევს სსფ-ს პროგრამის აღდგენა. მოვლენების ასეთი განვითარება კი, საგარეო ვალების გასტუმრებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარიზის კლუბში უმძიმეს სიტუაციას შეუქმნის. ამიტომ, მათი პოზიცია მნიშვნელოვანი და სავალდებულო უნდა იყოს მთავრობისთვის.**

სხვა რამის იმედი, რომ საქართველოს ბიუჯეტს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რაიმე ეშველება, ძვირფასო მკითხველო, ტყუილად ნუ გექნება.

**25 ოქტომბერი, 2003 წ.**
**ქ. ნეშვილი, აშშ**

# ვიქტორ ჯაფარიძე: "მესტიაში ურთულესი პრობლემებია"

*საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან რაიონში – მესტიაში არჩევნებისთვის ემზადებიან. სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, აქ მაჟორიტარობის მსურველთა რიცხვი არც ისე ბევრია, მესტიაში კენჭს მხოლოდ ოთხი კანდიდატი იყრის. მათ შორის კი მხოლოდ ერთი - ვიქტორ ჯაფარიძეა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი. იგი დამოუკიდებელი კანდიდატია. მისი მთავარი კონკურენტი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი, პარლამენტარი ივერი ჭელიძეა.*

თამარ ასათიანი

როგორც ვიქტორ ჯაფარიძის მხარდამჭერები აცხადებენ, იგი რამდენიმე წელია, რაც მესტიის რაიონში საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწევა – ეხმარება სოციალურად დაუცველებს, საკუთარი სახსრებით არემონტებს დანგრეულ სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებს, თუმცა დღემდე მას აქტიურ პოლიტიკაში მოსვლა არ უფიქრია.

რაც შეეხება მესტიაში შექმნილ წინასაარჩევნო ვითარებას. ვიქტორ ჯაფარიძის თქმით, კანდიდატებს შორის ბრძოლა საკმაოდ კორექტულად მიმდინარეობს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ ბატალიებში არ ერევიან. თუმცა, პრობლემები მაინც არის - პირველ რიგში, ეს ამომრჩეველთა სიებია.

**"წინა საპარლამენტო არჩევნებში მესტიის რაიონში რვა ათასი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. ამჯერად კი ამ რიცხვმა ათასით მოიმატა... თუმცა, მჯერა, რომ მე და ჩემი მხარდამჭერები ამ უზუსტობის გამომწვევი მიზეზების დადგენას არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე პერიოდში მოვახერხებთ. ისე, რაც უფრო მეტი დამკვირვებელი ჩამოვა მესტიაში, უკეთესია, რადგან ამით თავიდან ავიცილებთ არჩევნების გაყალბების საშიშროებას",** - ამბობს მაჟორიტარობის კანდიდატი.

რაც შეეხება ვიქტორ ჯაფარიძის წინასაარჩევნო პროგრამას. კანდიდატი ძირითად აქცენტს, ბუნებრივია, იმ სოციალურ პრობლემატიკაზე აკეთებს, რომლის მოგვარებას არა და არ დაადგა საშველი. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფომ უკვე დიდი ხნის წინ მიიღო კანონი მთის შესახებ, მის სრულყოფილად ამოქმედებას არა და არ დაადგა საშველი. მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ პრივილეგიებით, რაც მას კანონით ეკუთვნის.

თავად ვიქტორ ჯაფარიძე აცხადებს, რომ მესტიის მაჟორიტარობა მისთვის საკმაოდ მძიმე და, ამავე დროს, საპასუხისმგებლო და საპატიო ტვირთი იქნება.

**"რაიონში ისეთივე ურთულესი სოციალური ფონია, როგორიც დანარჩენ საქართველოში. არ არის ხელფასები, პენსიები...**

**თუმცა, მესტია მაინც განსაკუთრებული რეგიონია და მას მოფრთხილება ყველაზე მეტად სჭირდება, რადგან ამ მაღალმთიან რაიონში ადგილობრივ მოსახლეობას, სოციალური სიდუხჭირის პარალელურად, ისეთი პრობლემები აწუხებს, რაც ბარის მოსახლეობისთვის უცნობია – მიგრაცია, ინფორმაციული ვაკუუმი, უტრანსპორტობა.**



"ჩემთვის უპირველესი მიზანი მიგრაციის შეჩერებაა".

**ძალზე ხშირად მესტიელებისთვის თბილისში ჩამოსვლა გადაუჭრელ პრობლემად იქცევა ხოლმე. ელოდებიან, ვინმე შემთხვევით როდის დააპირებს დედაქალაქში მანქანით წასვლას, რომ დაემგზავრონ. არადა, ძალიან ხშირად ეს ადამიანები თბილისში გადაუდებელი საქმეებისთვის მოდიან, თუნდაც, სამკურნალოდ.**

**ძალიან მძიმე მდგომარეობაა შექმნილი განათლების სფეროში. საბავშვო ბაღებისთვის იმდენად მწირი თანხებია გამოყოფილი, რომ ბავშვებს თავად უხდებათ საკვების ბაღში მიტანა. სავალალო მდგომარეობაშია საშუალო სკოლების შენობები.**

**ამასთან ერთად, მესტიის მოსახლეობა მოწყვეტილია ინფორმაციებს იმის თაობაზე, თუ რა ხდება საქართველოში. თუმცა, რამდენიმე სოფელში მე და ჩემმა მეგობრებმა იმის მიღწევა შევძელით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სატელევიზიო მაუწყებლობის მიღება შეძლებოდა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ მესტიის ბევრ სოფელში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხსაც კი ვერ იჭერენ.**

**და მაინც, ჩემთვის უპირველესი მიზანი მიგრაციის შეჩერებაა. რთული სოციალური პრობლემების გამო, მოსახლეობა იძულებულია დატოვოს მშობლიური კუთხე. სვანეთი ცარიელდება. ჩვენ აუცილებლად უნდა შევძლოთ მოსახლეობის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა. ამისათვის კი სწორი სახელმწიფო კურსის შემუშავება აუცილებელია",** – აცხადებს ვიქტორ ჯაფარიძე.

# ვანო ჩხარტიშვილმა ოპონენტები ანათემას გადასცა

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ოზურგეთში და საერთოდ გურიაში წინასაარჩევნო კამპანია, შეიძლება ითქვას, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მშვიდ ვითარებაში წარიმართა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის მიმართ ფრაზეოლოგიური გაკენწვლით, ერთმანეთის სააგიტაციო-პროპაგანდისტული პლაკატ-ლოზუნგების უმოწყალო ფხრეწით იფარგლებოდნენ. მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი მცირე ექსცესს, როცა ჩხარტიშვილის მომხრეებმა მისი კონკურენტის, ასევე დამოუკიდებელი კანდიდატის, გრიგოლ დათუნაშვილის შტაბის ერთ-ერთი წევრი, პროვოკაციული გამოხტომისთვის, გვარიანად მიბეგვეს.

იდეოლოგიურ პაექრობაში კი ივანე ჩხარტიშვილმა თავი მაინც დაჩაგრულად იგრძნო, რადგან ოზურგეთში რამდენიმე შენობის ფასადზე, გუშინ დილით საკმაოდ თვალშისაცემი წარწერები გამოჩნდა: **"ვანო ანაზრებიჭამია".** ასეთ იდეოლოგიურ დივერსიას ჩხარტიშვილის მომხრეებმა კონტრარგუმენტები უმარჯვეს. აქაურ გაზეთებში გამოქვეყნდა ვრცელი მასალები, ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, საბჭოთა ანაზრების გაუფასურებაში დეპუტატობის კანდიდატის უცოდველობის შესახებ. მაგრამ თავად ვანო ჩხარტიშვილმა ჩათვალა, რომ გაზეთების ტირაჟი მისი სიმართლის საყოველთაოდ ჩვენებისთვის არასაკმარისი იყო და მისი შტაბის წევრებმა ოჯახ-ოჯახ დაარიგეს კანდიდატის მიერ ხელმოწერილი პაწია ფურცლები, საიდანაც გთავაზობთ ამონარიდს: **"...თუ მე დამნაშავე ვიყო ან პასუხისმგებელი საბჭოთა ანაზრების გაუფასურებასა და მითვისებაში, მაშინ ჩემმა ოჯახმა ღვთის წინაშე უსასტიკესად აგოს პასუხი, თუ არა, იმან და იმისმა ოჯახმა, ვინც მე ასეთ ცილს მწამებს. ვისაც არც ღვთის სწამს, არც ხატზე დაფიცების და ეშმაკებისკენ იმზირება, სხვა, კანონით გათვალისწინებული ხერხებით მიიღებს სათანადო პასუხს..."** (სტილი დაცულია).

ძნელი სათქმელია, ასეთი "მოკითხვის ბარათმა" მოულბო და მოუბრუნა თუ არა საბოლოოდ გული ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატზე; ყოველივე არჩევნების შედეგების მიხედვით გახდება ნათელი.

გურიაში კი კვლავ სიმშვიდეა, თუმცა, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, გურიას, მიხეილ სააკაშვილის მთავარსარდლობით, "ნაციონალების" რაზმი უახლოვდებოდა. მრავალბრძოლაგადატანილი მიხეილის კოჰორტა დიდი მიტინგის გამართვას ეშურებოდა სოფელ მამათში, სწორედ იქ, სადაც ამ შვიდი ათეული და ცოტა მეტი წლის წინ საქართველოს პრეზიდენტი აკვანში არტახებს გლეჯდა.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# მიხეილ სააკაშვილი: სინამდვილეში ეს არის ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის

## დესტაბილიზაციას არჩევნების შედეგების გაყალბება გამოიწვევს

*ხელისუფლებას ძალაუფლება აქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭიროა კიდევ "მცირედი" - ხალხის მხარდაჭერა. როგორც წესი, წინასაარჩევნოდ, მომავლის დაპირებებს იძლევიან და ეს დაპირებები ისეთია, საეჭვოა, უკანასკნელი ათწლიანი მართვის ისტორიას ძილის წინ ვინმე იხსენებდეს.*
*ოპოზიციური პარტიები წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნით შეხვედრებს მართავენ. ხელისუფლება კი "ლოკომოტივის" სტადიონზე დასკვნით კონცერტს გამართავს - 2 ნოემბრამდე დარჩენილი დღეები სიმღერით და ზეიმით (თბილისობა) უნდა განვლოს.*
*არჩევნები დემოკრატიის სკოლაში სიმწიფის ატესტატის ასაღებ გამოცდას ჰგავს. ამ გამოცდას პოლიტიკოსებიც აბარებენ და მთელი საზოგადოებაც. საზოგადოებამ უნდა თქვას, სურს თუ არა ცხოვრება თავისუფალ ქვეყანაში, პოლიტელიტამ კი უნდა დაამტკიცოს, იცის თუ არა საგანი - თავისუფლება, პარაგრაფი - დემოკრატია.*
*ამჯერად, სპორტის სასახლე "ნაციონალური მოძრაობის" ფორუმს ეთმობა.*

მაია ჭალაგანიძე

**- რა იქნება უკანასკნელი წინასაარჩევნო შეტყობინება, რომელსაც ამომრჩეველს გაუგზავნით?**

- ხელისუფლება დიდი გაყალბებისთვის ემზადება, ჩვენ - გამარჯვებისთვის.

ბოლო პერიოდში საქართველოს 120-ზე მეტ სოფელში ვიყავი. პირადად ჩამოვართვი ხელი 50 000 ადამიანს. ვიცი, რა განწყობაა საქართველოში - რეგიონებში დღეს ბევრად უფრო რადიკალური განწყობაა და სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონების გარდა ხელისუფლებას, პრაქტიკულად, აღარ დარჩა რეგიონი, სადაც მხარდაჭერა ექნება. ყველა გამოკითხვა ამაზე მეტყველებს.

ვიცი, რომ თავდაცვის სამინისტროში მზადდება ყალბი სიები. თევზაძის დავალებით ყალბ პირადობის მოწმობებს ამზადებენ, რათა სიითი შემადგენლობით მისცენ ხმა ხელისუფლებას. ეს სრული სიყალბე იქნება.

გარდა ამისა, აპირებენ, რომ ლტოლვილებს პირადობის მოწმობების გარეშე მიაცემინონ ხმა. ამ გზით მთავრობა 200 000 დამატებით ხმას ვარაუდობს. ამას გარდა, რუსეთიდანაც 50 000 ხმის ჩამოტანას ვარაუდობენ. თბილისის უბნებში კი 200 000 მკვდარი სულის მიწერისთვის ემზადებიან...

ამ არჩევნებზე მთავრობა 25 პროცენტის აღებას აპირებს, რაც იმაზე მეტია, ვიდრე ბევრად უფრო პოპულარულმა "მოქალაქეთა კავშირმა" მიიღო წინა არჩევნებზე.

ბუნებრივია, ამის შეგუება გამორიცხულია. "ნაციონალური მოძრაობა" მობილიზაციის გამოცხადებას რეგიონებშიც აპირებს და თბილისშიც. გვყავს ათასობით აქტივისტი, ვართ ყველაზე კარგად ორგანიზებული პოლიტიკური პარტია.

როგორც კი ნათელი გახდება სხვაობა "რუსთავი 2-ის" ეგზით პოლებსა და დანარჩენ მონაცემებს შორის, მაშინვე მოხდება მთელი საზოგადოების მობილიზება.

**- აქვს თუ არა ოპოზიციას, კონკრეტულად, თქვენს მოძრაობას იმის უნარი, რომ ხალხის გამოსვლები სამართლებრივ ჩარჩოებს არ გააცილოს?**

- სამართლებრივ ჩარჩოებს ხელისუფლება გასცდება, თუ საკუთარ გამარჯვებას გამოაცხადებს. თუ ამ მთავრობამ ყველაფერთან ერთად, გაყალბება მოახერხა - ის საშიში, გალიაში ჩასასმელი იქნება.

მთავრობის მხრიდან ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო წინადადება "რუსთავი 2"-ის ეგზით პოლებისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. მთავრობა ამისთვის მათ გაყალბების საკუთარ პროცენტში ჩასმას დაჰპირდა. "ლეიბორისტები" ამას დათანხმდნენ, "ახლები", როგორც ჩანს, დათანხმებისკენ მიდიან, რადგან დამოუკიდებლად ბარიერის გადალახვის შანსი არა აქვთ. "დემოკრატები" და ჩვენ ამაზე არ დავთანხმდით.

რა თქმა უნდა, ჩვენსა და "დემოკრატებს" შორის სერიოზული განსხვავებაა, მაგრამ მივესალმები, რომ ისინი ამ წინადადებაზე არ წამოეგნენ. საბოლოო ჯამში, სიმართლე "რუსთავი 2"-ის ეგზით პოლების მხარეს იქნება. რაც უნდა გამოაცხადოს სახელმწიფო არხმა, რა ეგზით პოლებიც არ უნდა გაუშვას, როგორი ყალბი უცხოელებიც არ უნდა ჩამოიყვანოს, ჭეშმარიტების საზომი ხალხისთვის "რუსთავი 2" იქნება და არა ნებისმიერი სხვა არხი.

**- იმოქმედებთ თუ არა კოორდინირებულად თქვენ და "დემოკრატები"?**

- იქნება ორი რამ - "რუსთავი 2"-ის მონაცემები და სახელმწიფო არხის, მთავრობის და დამოუკიდებელი გამოკვლევების მონაცემები. ნუ ექნება მთავრობას იმის ილუზია, რომ ხალხი მათ გამოცხადებულს დაუჯერებს... რაც უფრო დიდი განსხვავება იქნება ამ ორ მონაცემს შორის, მით უფრო კატასტროფულ შედეგს მიიღებს მთავრობა. ამიტომ, ხელისუფლება უნდა გაფრთხილდეს, რადგან ავტომატურად ვაცხადებთ მობილიზაციას და ეს სრულიად სამართლებრივ ჩარჩოებში მოხდება.

არ დავუშვებ განუკითხაობას, რადგან ვიბრძვი ჩემი შვილის მომავლისთვის და რადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ არჩევნებში მამალაძეებს და რჩეულიშვილებს არ გავამარჯვებინებ.

**- სადაც ჩახვედით, ხელისუფლებამ ყველგან სირთულეები შეგიქმნათ. როგორ მოქმედებს ეს ექსცესები თქვენს რეიტინგზე? არჩევნებამდე 2 დღე დარჩა.**

- ვფიქრობ, რომ ცუდად არ იმოქმედა, თუმცა ეს არ იყო თვითმიზანი - ჩემი მიზანი ხალხთან შეხვედრები იყო. ეს სნობურად განწყობილ ადამიანებში გაღიზიანებას იწვევს. ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები ახალ ქვეყანას ვერ ააშენებენ. ახალ ქვეყანას ისეთი ადამიანები ააშენებენ, ვინც შავისა და თეთრის გარჩევა იცის.

აჭარაში ჩავედით და დაგვაბრალეს, რომ საკუთარი თავის საცემრად ხალხი მოვისყიდეთ. ზუგდიდში ზარანდიას რაზმის ნარჩენებმა სცადეს პროვოკაციის ორგანიზება და პოლიციამ აღმოაჩინა, რომ თურმე ჩვენ დავესხით თავს მშვიდობიან ავტომობილს, რომელშიც, რატომღაც, ზარანდიას მარჯვენა ხელი აღმოჩნდა დიდძალი იარაღით. თურმე, ეს მანქანა შემთხვევით გადიოდა იმ ადგილზე, სადაც მოძრაობა გადაკეტილი იყო.

რეალურად დიდ სიცრუეს ვუპირისპირდებით. სინამდვილეში, ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენი მოწინააღმდეგე აბსოლუტურ ტყუილზე აგებს ყველაფერს. საერთოდ, ეს არის შევარდნაძის ძველი აზროვნების სტილი. საბჭოთა სისტემა ტყუილზე იყო აგებული და რაც დღეს ხდება, ძველის გაგრძელებაა. ჩვენს წინააღმდეგ მათ თავისი მთავარი იარაღი, ტყუილი მომართეს. მათი პოლიტიკა ერთი ტყუილიდან მეორემდე მოკლევადიანი შედეგის მიღწევაა.

**- არასასურველი შედეგის გაპროტესტება ნებისმიერ პარტიას შეუძლია, "ლეიბორისტებს", "მრეწველებს". რა ტაქტიკას აირჩევს "ნაციონალური მოძრაობა" ასეთ შემთხვევაში?**

- საზოგადოებას საოცარი ინტუიცია აქვს, სიმართლეს გრძნობს და ნებისმიერს მშვენივრად მიუჩენს თავის ადგილს.

ვფიქრობ, რომ მთავრობა ეგზით პოლების შედეგების დისკრედიტებას შეეცდება და ამისთვის "ლეიბორისტებს" გამოიყენებს. ეს შეთანხმება მათ შორის არსებობს და ოღონდ კი მთავრობის გამოკითხვის შედეგები აღიარონ, მზად არიან, "ლეიბორისტები" წინაც კი გაუშვან. უნდა ითქვას, ტექნიკის თვალსაზრისით, ვერც ამას მოახერხებენ, რადგან მთავრობა, გამგებლები, გუბერნატორები იმდენად აიღებენ თავზე ხელს, რომ "ლეიბორისტები" არც კი გაახსენდებათ.

მთავრობას გაყალბების სერიოზული სქემა გააჩნია. ჩვენ კი - წინააღმდეგობის სერიოზული სქემა გვაქვს. რამდენიც არ უნდა გვაშინონ შსს, თავდაცვის მინისტრებისა და გენერალური პროკურორის გამოსვლებით, მათი არ მეშინია. ჩემი შვილისთვის და ქვეყნისთვის ყველაფერს გავაკეთებ (რამდენად პათეტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს). ნამდვილად არ ვაპირებ, ჯორბენაძის შტაბში, უშუალოდ პრეზიდენტის მონაწილეობით შედგენილ გაყალბების გეგმაზე ხელის მოწერას. ამაში მონაწილეობს ქალაქის მერი, გუბერნატორები, რამდენიმე ყოფილი პარლამენტარი... ან 3 ნოემბერს მე არ უნდა ვიყო ჯანსაღ მდგომარეობაში, ან ესენი უნდა აღმოჩნდნენ ციხეში. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**- რას ელის "ნაციონალური მოძრაობა" აჭარიდან?**

- აჭარის ხმები საერთოდ, სასაცილოა. "აღორძინებას" აჭარის გარეთ რეიტინგი ბათუმის მოვლენების შემდეგ აღარ აქვს. სხვათა შორის, "აღორძინების" ხმების ნაწილი ხელისუფლებამ წაიღო და ქართულენოვან რეგიონებში მას 3,5 პროცენტზე ნაკლები აქვს.

ერთადერთი, რასაც უნდა მივაღწიოთ, არ უნდა იქნას ცნობილი და გათვალისწინებული აჭარის შედეგები. როგორც კი მთავრობა მასშტაბურ გაყალბებას დაიწყებს, ჩვენი საპასუხო ნაბიჯი უნდა იყოს ეს: მთავრობას მკაცრად და კატეგორიულად უნდა მოვთხოვოთ პასუხი. შემდეგი დღეები იმით ვიქნები დაკავებული, რომ მთავრობის მხრიდან გაყალბების მცდელობას ადეკვატური პასუხი გავცეთ. ეს არის ჩემი უახლოესი მოქმედების გეგმა.

**- ცხადია, ახალ პარლამენტში გავლენის სფეროები ხელახლა გადანაწილდება. ვის მოუწევს პოზიციების დათმობა დღევანდელი ოპოზიციური სპექტრიდან?**

- დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებას და "აღორძინებას" დეპუტატთა ორჯერ ნაკლები რაოდენობა ეყოლება, ვიდრე წინა პარლამენტში.

წარმოდგენილი იქნებიან "ლეიბორისტები", სამწუხაროდ, ალბათ, ვერ გავლენ "ახლები", თუმცა, მე ეს არ მიხარია. "მრეწველებს" გასვლის შანსი არ აქვთ, თუ მეგა, ფანტასტიკური მასშტაბების გაყალბება არ მოხდა.

ხალხი მოვლენებზე ძალზე სამართლიანად და სწორად რეაგირებს. ოპოზიციის გაერთიანების ჩაშლა ჩვენ ნამდვილად არ გვინდოდა. თვითონ "დემოკრატებს" შიგნით ძალიან ბევრს არ აძლევდა ხელს ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობა. ამ შემთხვევაში, ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე ველარ ხდება და ამის გამო ჩაიშალა გაერთიანება. ჩვენი გაერთიანება რომ მომხდარიყო, ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობაზე ხელს ვაწერდი. მაგრამ, პარტნიორებმა ეს თავად ჩაშალეს.

**- სხვა ხმები გამოვიდა, თითქოს, პირველობას თქვენ ვერ შეელიეთ...**

- ერთია პიარტექნოლიგია, მეორე - რეალობა. სხვათა შორის, ეს ყველაფერი მშვენივრად აღწერეს "ახლებმა", რომლებიც ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ.

**- თუკი პარლამენტში ოპოზიცია დიდი უმრავლესობით ვერ მოვა, როგორ იმოქმედებთ, რა გაქვთ დაგეგმილი?**

- ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან სერიოზული სტაგნაციის დასაწყისი. გამოკითხვებით ჩანს, რომ ჩვენ და "დემოკრატებს" პარლამენტში უმრავლესობის აღება შეგვიძლია. "დემოკრატების" საქციელით ბედნიერი არა ვარ, განსაკუთრებით, აჭარაში მომხდარ მოვლენებთან მიმართებაში, ან, თუნდაც, მათი კომენტარებით ზუგდიდის ინციდენტის შესახებ. მიმაჩნია, რომ ისინი, გარკვეულწილად, ნომენკლატურულ თამაშს აწარმოებენ. მათი მთავარი გზავნილი ის არის, რომ ისინი "ნაციონალებივით" რადიკალურები არ არიან და კორუმპირებულ ნომენკლატურას ისეთ პრობლემებს არ შეუქმნიან, როგორც ჩვენ. "დემოკრატები" მათ ეუბნებიან - შევარდნაძე შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ პრივილეგიები შეგინარჩუნდებათ. თავისი არსით, ეს ისტებლიშმენტის პარტიაა. მიმაჩნია, რომ თუ ისტებლიშმენტი სერიოზულად არ გადახალისდა და თამაშის წესები არ შეიცვალა, ჩვენი საზოგადოება სერიოზული კრიზისის და გრძელვადიანი სტაგნაციის წინაშე დადგება. ჩვენ მკვეთრი ცვლილებები და სერიოზული რეფორმები გვჭირდება. რეფორმებს კი ვერ გაატარებ, თუ ისტებლიშმენტი არ გადახალისდა. ასე რომ, ჩვენს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ისინიც და ჩვენც დემოკრატიული ძალები ვართ და ეს განგვასხვავებს სხვა დანარჩენი ძალებისგან. "დემოკრატებთან" თანამშრომლობა შეიძლება.

"ლეიბორისტები", თავისი არსით, რეტროგრადული ძალაა. პრინციპში, მათაც აქვთ სერიოზული მონაცემები. მიმაჩნია, რომ ნათელაშვილი ქარიზმატული ლიდერია და როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, საქართველოში სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

**- უკვე სამი მოწვევის პარლამენტი ვერ ახდენდა რეალურ გავლენას უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე. იშვიათად, რომ ხალხისთვის ჰაერივით საჭირო კანონი მიეღოთ და შემდეგ ამ კანონს ემუშავა. საზოგადოებას თავისი რჩეულების იმედი მაინც აქვს და ამ არჩევნებზეც აქტიურობს. როდემდე ეყოფათ ამის ძალა ადამიანებს?**

- ხალხი არა პარლამენტს, არამედ ცვლილებას ელის. მათ ეუბნებიან, რომ ცვლილება საპარლამენტო არჩევნებზე იქნება. სინამდვილეში ნამდვილ ცვლილებას ხელისუფლებიდან შევარდნაძის წასვლა მოიტანს. საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების, საქართველოში სერიოზული ცვლილებების განხორციელების წინ ძალთა მოსინჯვა იქნება. მიმაჩნია, რომ ახალი ეპოქის მიჯნაზე ვდგავართ.

სხვათა შორის, ყველა პოლიტიკურ ძალას შეუძლია, გახდეს ძალიან პოპულარული, ან განადგურდეს. ბალანსი აქ არ იქნება, ეს პროცენტებით არ იზომება.

დაწყებული წალენჯიხის უკიდურესი სოფლებიდან, დედაქალაქის ცენტრით დამთავრებული, მთელი საქართველო მოვიარე. ყველგან არსებობს ელექტორატი.

წალენჯიხაში ხალხი დედაქალაქზე უარესად არ ცხოვრობს, პირიქით, ბევრი გაგებით, უკეთესადაც ცხოვრობენ, უფრო განათლებულებიც არიან და ამ მოვლენებით ნაკლებად გაფუჭებულიც.

ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა ის იყო, რომ საქართველოში რეგიონული განსხვავებები არ არსებობს. ქართველი ერი თავისი პოლიტიკური ძალით, ერთიანია და ეს ძალზე მიშვნელოვანი მონაპოვარია (სხვათა შორის, აჭარის ჩათვლით, სადაც სხვა რეჟიმია).

**- ძნელი მისახვედრი არ არის, რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა თქვენს მამათში ჩასვლას...**

- ვიცი, რომ შევარდნაძე დიდ გაყალბებას ამზადებს (ინფორმაცია ჟონავს). მინდოდა, ყოველგვარი აგრესიის გარეშე მშობლიური ადგილიდან (სადაც ის მაინცადამაინც არ უყვართ), მიმემართა მისთვის. იმ აუდიტორიაში შევარდნაძის მიმართ ყველაზე რბილი მე ვიყავი. ადამიანურად მე ის არ მეზიზღება. ვიცი, რომ ის კარგს ველარაფერს გააკეთებს, მაგრამ მოუწევს, რომ ცუდიც აღარ გააკეთოს. არ მინდა, ჩემმა შვილმა ისეთ ქვეყანაში იცხოვროს, სადაც პრეზიდენტს ისე გაუსწორდებიან, როგორც ჩაუშესკუს გაუსწორდნენ - ამის საფრთხე კი რეალურად იქნება. მიმაჩნია, რომ მან, როგორც ამ ქვეყნის შვილმა, ერთხელ მაინც უნდა იპოვოს თავის თავში სიმამაცე, რომ საკუთარ ხელისუფლებაზე მაღლა საზოგადოების ინტერესები დააყენოს. ეს იყო და ეს, რაც მამათში ვთქვი. იმედი მაქვს, რომ ეს ხმა ადრესატამდე მიაღწევს... მგონი, მიაღწევს.

**- არჩევნები დემოკრატიის გამოცდაა. ხალხმა უნდა თქვას, სურს თუ არა დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება. რა უნდა აუწყოს ამ არჩევნებით საზოგადოებას პოლიტელიტამ?**

- ვფიქრობ, რომ ძალთა სერიოზული გადაჯგუფება, პარტიების გამსხვილება მოხდება. ჩვენი მოძრაობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა. ყველა რეგიონში გვყავს წარმომადგენელი და ეს ხალხი გადამწყვეტი ბრძოლისთვის არის განწყობილი. მათთვის ეს არის ხელისუფლების ცვლის წინა გამოცდა.

ვფიქრობ, რომ "დემოკრატებს" ბურჯანაძის გარეშე პრობლემები შეექმნებოდათ. თუმცა, ეს საერთოდ არ არის ბურჯანაძის პარტია. ეს წმინდად წინასაარჩევნო გაერთიანება იყო. ამიტომ, "დემოკრატებმა" ახალი სტატუსის შესაძენად ახალი სახე უნდა იპოვონ.

ვფიქრობ, რომ "ლეიბორისტები" ორგანიზაციულად ცუდად არ უნდა გამოიყურებოდნენ. ალბათ, სახელისუფლო რომელიმე მაკონსოლიდირებელ პარტიასთან კლანური ფიგურის გარშემო გაერთიანებას შეეცდებიან. მათ უნდა შექმნან ასეთი კლანური ფიგურა და ერთიანი კანდიდატის პოვნას უნდა შეეცადონ. მაგრამ, ხელისუფლებაში იმდენი დაჯგუფებაა, რომ მათ ამ კანდიდატის მოძებნა გაუჭირდებათ. მით უმეტეს, რომ შევარდნაძე ძალზე სუსტია. ის რომ ძლიერი იყოს, ამას გააკეთებდა. ახლა კი მას ინსტიქტები კარნახობს, რომ შემცვლელი არ უნდა შექმნას. მას შემცვლელის შექმნის ეშინია.

**- რადგან ამ თემას შეეხეთ... ყველასთვის ცნობილია, რასაც ნიშნავს პრეზიდენტის სიმპათია, რომელიც მან ამჯერად გია ჭანტურიას მიმართ გამოხატა...**

- ჭანტურია დიდი ფულის მფლობელია. ეს ფული მან კორუფციული გარიგებების შედეგად მოიპოვა. საქართველოს მოსახლეობა ბევრად უფრო დახვეწილია, განათლებულია და ყველაფერში კარგად ერკვევა. იმისთვის, რომ რაიმე გასცენ, ადამიანს ელემენტარული ქარიზმა მაინც უნდა ჰქონდეს, პოლიტიკურ ტექნოლოგიებს უნდა ფლობდეს, რაც ამ პიროვნებას არ გააჩნია. გასაგებია, რომ იმ ხალხს, ვინც მასთან ერთად ფულს შოულობს, პრეზიდენტად მისი ხილვა უხარია, მაგრამ გარწმუნებთ, ნავთობსადენი არ არის ძალიან წარმატებული პროექტი და ამ საკითხს ჩვენ სერიოზულად დავაყენებთ.

**- როგორი იქნება 3 ნოემბერი. არდადაგების შემდეგ ბავშვები დაბრუნდებიან სკოლებში?**

- ვფიქრობ, რომ 3 ნოემბერი ძალიან მნიშვნელოვანი დღე იქნება. ამ დღეს მთელი საზოგადოება სიმწიფის გამოცდას ჩააბარებს. ორ ნოემბერს ხელისუფლება გაყალბებას შეეცდება. სამ ნოემბერს მთელი საზოგადოება ფეხზე უნდა დადგეს. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი, ჩვენ ამისთვის ვემზადებით. ტყუილად ექნება მთავრობას დესტაბილიზაციის წარმოდგენის მცდელობა. დესტაბილიაზაციას მთავრობის მხრიდან არჩევნების შედეგების გაყალბება გამოიწვევს. კიდევ ერთხელ მოვუხმობ გონიერებისკენ ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს კანცელარიაში, თავდაცვის სამინისტროში ზის და გაყალბების გეგმას თხზავს - ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ ეს ხალხი გაყალბებას გადაჰყვეს.



მოკლედ

## ენი ლენოქსი „ბეჭდების მბრძანებელში"



2001 წლიდან დიდ ეკრანზე ყოველწლიურად გამოდის "ბეჭდების მბრძანებლის" ახალი ფილმი. ამჯერად მორიგი სურათის, "მეფის დაბრუნება", პრემიერა 17 დეკემბერს გაიმართება. მანამდე კი სიურპრიზი ელით ენი ლენოქსის ფანებსაც. 25 ნოემბერს გასაყიდად გამოვა 2003 წლის "ბეჭდების მბრძანებლის" თანმხლები სიმღერების ალბომი, რომელშიც მთავარ კომპოზიციას ენი ლენოქსი ასრულებს. "ძალიან მომეწონა ფილმზე მუშაობა. "ბეჭდების მბრძანებელი" ხომ ერთი დიდი თავსატეხია და საოცარია, როცა ამ თავსატეხის ერთ პატარა ნაწილად გრძნობ თავს", - განაცხადა მან.

"მეფის დაბრუნება", როგორც წინა სამი ფილმი, პიტერ ჯექსონმა გადაიღო. მთავარ როლებს ელია ვუდი, იან მაქკელენი, ვიგო მორტენსენი, კეიტ ბლანშეტი და ლივ ტაილერი ასრულებენ.

## გარდაიცვალა დიდი ტენორი



მილანში 82 წლის ასაკში გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა ოპერის ცნობილი მომღერალი ფრანკო კორელი.

მისი საოპერო დებიუტი 1951 წელს ბიზეს "კარმენში" შედგა. კორელი დონ ხოსეს პარტიას ასრულებდა. მას შემდეგ ის ხან ლა სკალაში გამოდიოდა, ხან ვენისა და ლონდონის ოპერის სცენებზე, ხანაც - ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში – ეს სცენა კორელის განსაკუთრებით ჰყვარებია და იქ გამართულ სპექტაკლებში 368-ჯერ მიუღია მონაწილეობა. ბოლოს იქ 1975 წელს გამოსულა - პუჩინის "ბოჰემაში".

იტალიელი ტენორი, რომელსაც ხშირად უწოდებდნენ რომანტიკული გმირების როლების შესანიშნავ შემსრულებელს, თავისი თაობის ყველაზე დიდ ქალ მომღერლებთან ერთად მღეროდა – მარია კალასთან, ბირგიტ ნილსონთან, რენატა ტებალდისა და ჯოან საზერლენდთან.

საოპერო მუსიკის თაყვანისმცემლებს კარგად ახსოვთ მეტროპოლიტენ ოპერაში მომხდარი ერთი შემთხვევაც, როდესაც კორელიმ ნილსონს ყელზე უკბინა. საქმე ის გახლავთ, რომ "ტურანდოტის" მეორე აქტში ისინი ყოველთვის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუ ვინ უფრო ხანგრძლივად აიღებდა უმაღლეს ნოტს; და ერთხელაც, როცა ნილსონმა იტალიელ ტენორს აჯობა, მან ველარ მოითმინა და მეტოქე ქალს ყელზე უკბინა... ნილსონს იუმორის დიდი გრძნობაც ჰქონია. ამ შემთხვევის შემდეგ მან მეტროპოლიტენ ოპერის მენეჯერს განუცხადა, - სცენაზე მანამ ვერ გავალ, სანამ ცოფზე არ ამცრიანო.

კორელი სცენიდან 1976 წელს წავიდა. თუმცა, ოპერის ისტორიაში ის მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ტენორად შევიდა.

## როულინგი ტყეს შვილებს უნახავს

ბოლო ხანს ჯეი ქეი როულინგი პრესის ფურცლებზე ორი მიზეზის გამო მოხვდა. ორიოდე დღის წინ ის შეუერთდა 13 ბრიტანელ მწერალს, რომლებიც ითხოვენ წიგნების სპეციალურ ფურცლებზე დაბეჭდვას, რათა გარემო ნაკლებად დაზიანდეს. კამპანიას მხარს უჭერენ ბრიტანელი მწვანეები და აცხადებენ, რომ უმჯობესია, წიგნები გადამუშავებულ ქაღალდზე იბეჭდებოდეს.

"ჰოგვარტსის ტყეში ათასი იდუმალი რამ ხდება. იქ კენტავრები ბინადრობენ. კარგი იქნებოდა, ეს ძველისძველი ხეები რეალურადაც რომ დაგვეცვა", - აცხადებს როულინგი. მასთან ერთად კამპანიაში მონაწილეობს ჰელენ ფილდინგიც – "ბრიჯიტ ჯონსის დღიურის" ავტორი და საბავშვო მწერალი ფილიპ პულმენი.

## წინადადება ორი პენისგან



მას შემდეგ, რაც მიკ ჯაგერის ყოფილმა მეუღლემ და მოდელმა ჯერი ჰოლმა წარმატებით გაართვა თავი "კურსდამთავრებულში" მისის რობინსონის როლს, უკვე ორი შემოთავაზება მიიღო, თანაც - ორი პენისგან: არტურ პენი მას "ცბიერ მელაში" სთავაზობს როლს რიჩარდ დრეიფუსთან ერთად; შონ პენი კი თავის ახალ ფილმში იწვევს. "შონი ჩემს სანახავად სან ფრანცისკოში, "კურსდამთავრებულის" სპექტაკლზე მოვიდა და სწორედ იქ მითხრა, რომ სურდა, მის ფილმში მეთამაშა", - აცხადებს ის.

ოთხი შვილის დედა, ჯერი, ამჯერად ლონდონში იმყოფება და ღია უნივერსიტეტის დიპლომის ასაღებად ემზადება. "კაცი არ მყავს და რა გასაკვირია, რომ ამდენს ვასწრებ", - ხუმრობს ის თავის წარმატებულ კარიერაზე.

# არამ ხაჩატურიანის იუბილე თბილისში

### სესილი გოგიბერიძე: "ვცდილობთ, ჩვენს ღონისძიებებს საარჩევნო ელფერი არ ჰქონდეს"

*გუშინ საქართველოს კულტურის სამინისტროს სომხეთის ელჩი სტუმრობდა. სესილი გოგიბერიძემ და გიორგი ხოსროევმა ერთობლივი პრესკონფერენცია მიუძღვნეს თბილისში ცნობილი სომეხი კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის საიუბილეო კონცერტს, რომელიც 12 ნოემბერს გაიმართება.*

ვერა ნეფარიძე



უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კულტურის სამინისტროს ცხოვრებაში დიდი ადგილი და დრო ეთმობა ახლო მეზობლებთან ურთიერთობებს. ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც თბილისში უმაღლეს დონეზე მივიღეთ აზაერბაიჯანის კულტურის მინისტრი, ახლა კი ჯერი სომხეთზე მიდგა. თუმცა, ამჯერად მასშტაბები შედარებით მცირეა. ვერ გეტყვით, სახელმწიფოს პოლიტიკა შეიცვალა თუ კულტურის სამინისტრო დამოუკიდებლად აქტიურობს, მაგრამ ურთიერთობები აქტიურდება.

"ვცდილობთ, ჩვენს ღონისძიებებს საარჩევნო ელფერი არ ჰქონდეს. ამიტომ მივიჩნიეთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ეს კონცერტი არჩევნების შემდეგ გაგვემართა", - თქვა პრესკონფერენციის მასპინძელმა სესილი გოგიბერიძემ. საუბარია ცნობილი სომეხი კომპოზიტორის არმენ ხაჩატურიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ კონცერტზე, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სომხეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (34 კაცის შემადგენლობით) და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატმა, პიანისტმა არუს აჯემიანმა. კონცერტი ამ დღეებში უნდა გამართულიყო, მაგრამ ქართულმა მხარემ მისი გადადება ამჯობინა.

დაახლოებით, ერთი თვის წინათ სომეხი კომპოზიტორის იუბილეს აღსანიშნავად თბილისში სომხეთის კამერული ორკესტრი ჩამოვიდა; შეიქმნა საქართველოში საიუბილეო კომისია, რომლის თავმჯდომარეც საქართველოს კულტურის მინისტრია. როგორც სესილი გოგიბერიძემ გვითხრა, ეს თარიღი მხოლოდ სომხეთსა და საქართველოში არ აღინიშნება. "იუნესკომ" 2003 წელი ხაჩატურიანის წელიწადად გამოაცხადა. ბუნებრივია, ღონისძიებების სერია გაიმართა სომხეთში, სადაც საიუბილეო ღონისძიებებს დაასრულებს გალა-კონცერტი. "იმედი გვაქვს, საღამოში მონაწილეობას მიიღებს ქართული მხარე, რომლის დელეგაციასაც სათავეში ჩაუდგება ქ-ნ სესილი", - თქვა სომხეთის ელჩმა. საქართველოს კულტურის მინისტრმა მიწვევა გუშინვე მიიღო და გვითხრა, რომ დელეგაცია მხოლოდ ოფიციალური არ იქნება და მასში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას ქართველი ხელოვანები. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება სესილი გოგიბერიძის პირველი ვიზიტი კულტურის მინისტრის რანგში. თავის მხრივ, 12 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგეგმილ კონცერტზე კულტურის მინისტრმა თავისი სომეხი კოლეგა (რომელიც ახლად არჩეული კულტურის მინისტრია) მოიწვია. ამ კონცერტზე სომეხ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი - ვახტანგ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით.

# რატომ ვირჩევ ფილმებს სუბტიტრებით?

ილია ნადიმი




მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, წარმოუდგენელი სისწრაფით ხდება ხალხებს შორის ურთიერთგაცნობა და დაახლოება. ასეთ ვითარებაში ერთერთ უპირველეს და მნიშვნელოვან დესპანად კინოხელოვნება გვევლინება. მისთვის ამ როლის მინიჭებას "აზრალებენ" ტელეინდუსტრიის განვითარებას, ბოლო ხანს კი, განსაკუთრებით - თანამგზავრულ მაუწყებლობას.

კინო ტელევიზიის საშუალებით გახდა დემოკრატიული, ყველასათვის მისაწვდომი ხელოვნება. სხვადასხვა კონტინენტის მოსახლე ადამიანები შინ, მყუდრო გარემოში ტელეფილმებით ეცნობიან ერთმანეთის ცხოვრებას, წეს-ჩვეულებებს, ყოფასა და, ზოგადად, ერთმანეთის კულტურას.

კინო პოლიტიკაც არის. ჩვენი აზრით, სსრკ-ს დანგრევაში განსაკუთრებული როლი ითამაშა დასავლურმა კინომ, რომელიც საბჭოეთში აკრძალული იყო და ვიდეომაგნიტოფონების გავრცელებასთან ერთად სწრაფად "მოედო" "პერესტროიკის" პერიოდის სსრკ-ს. ამ ფილმების რუსულ ენაზე თარგმნა, ტირაჟირება და გავრცელება საბჭოთა რესპუბლიკებში მთლიანად შავი ბიზნესის სფერო იყო. მაშინდელი ტექნიკის პირობებში გახმოვანების მწირი შესაძლებლობებით ხშირად აუდიო "მწკრივი" დიდი ხარვეზებით, ხოლო თვითონ რუსული ტექსტი რაღაც არარეალური რუსული აქცენტით მიდიოდა, თითქოს, გამხმოვანებელს პირში ცხელი კარტოფილი უდევს და ისე ლაპარაკობსო; და ყველა ფილმში მსგავსი, ერთი და იგივე ხმა...

ასე რომ, ფილმში გამოსახულებასთან ერთად აუდიო მხარესაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ხშირად ქართულად გახმოვანებულ ფილმებში აუდიო "მწკრივის" ეს განსაკუთრებული მხარე დაკარგულია ხოლმე. ასე და ამგვარად, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, თითოეული გმირის ხმის ტემბრი შევიცნოთ, რასაც სახასიათო როლების შესრულების დროს ხშირად თავისი ხიბლი აქვს. ასევე, ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება ფილმის გმირის გაციებული ან გაბზარული, მძინარე, მოჩურჩულე ხმა და ა.შ. ყოველივე ამას კონკრეტულ შემთხვევაში თავისი დატვირთვა აქვს. ვერ აღვიქვამთ, ასევე, ამერიკულ ფილმებში ხშირად ხაზგასმულ, ემიგრანტებისთვის დამახასიათებელი მეტყველების კოლორიტს – მაგალითად, ჩინელებისა და იაპონელების სპეციფიკური ინგლისური ამერიკელ მაყურებელში ისტერიულ სიცილს იწვევს, რაც ქართულ თარგმანებში შენარჩუნებული არაა. სამაგიეროდ, ქართულად გახმოვანებული ბავშვების ხმა (სუსტი სქესის წარმომადგენლების მიერ) ისე ხელოვნურად "წრიპინებს", რომ მაყურებელს ყოველთვის ეღიმება.

სერიოზული პრობლემაა უცხოური იდიომების ქართულად გადმოტანაც, რაც, ალბათ, ზოგადად მთარგმნელობით სირთულეებს უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ, ხშირად უბრალო დიალოგებიც ზუსტად არ ითარგმნება და, შესაბამისად, ირღვევა სიუჟეტების ზუსტად აღქმა.

ეს პრობლემები თავის დროზე ევროპის ჩვენსავით პატარა ერებს – შვედებს, დანიელებს, ფინელებსა და სხვებსაც ჰქონდათ; ამიტომ, ამ ენებზე, როგორც წესი, ფილმებს აღარ ახმოვანებენ – ამჯობინებენ, უყურონ დედნის ენაზე გახმოვანებულ ფილმს მშობლიურ ენაზე სუბტიტრების თანხლებით. ასეთ დროს რეჟისორის მიერ ფილმში ჩაქსოვილი ყველა ნიუანსი შენარჩუნებულია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთნაირად თარგმნილი ფილმების ჩვენებას ახალგაზრდებისთვის - ეს უცხო ენების შესწავლის საუკეთესო საშუალებაა. საქართველოში უკვე გამოჩნდნენ ტელეკომპანიები, რომლებიც, თუმცა მწირად, მაგრამ მაინც უჩვენებენ ფილმებს ქართული სუბტიტრებით.

სასურველია, ასეთი კინოსეანსები სულ უფრო მეტი იყოს. სუბტიტრები ხომ უფრო ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და ტექნიკურადაც უფრო ადვილი შესასრულებელია, ვიდრე ფილმების ქართულად გახმოვანება. იქნებ ჯობდეს, ვუყუროთ ფილმებს სუბტიტრებით, ვისწავლოთ ევროპული ენები და "ვიმოგზაუროთ" პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია.

## კერტეშის წიგნის კინოვერსია



მას შემდეგ, რაც რომან პოლანსკის "პიანისტმა" კინოთეატრები მსოფლიოს მასშტაბით დაიპყრო, ჰოლოკოსტის თემას უნგრელი კინოოპერატორი ლაიოშ კოლტაი ეჭიდება. ის აპირებს, 2002 წლის ნობელის ლიტერატურული პრიზით დაჯილდოებული წიგნის, იმრე კერტეშის Fateless-ის ("უბედო") კინო ვერსია შექმნას.

"ოსკარის" ნომინანტ კოლტაის კინომოყვარულები კარგად იცნობენ. ის, თითქმის, ყოველთვის თანამშრომლობდა ცნობილ უნგრელ რეჟისორთან იშტვან საბოსთან.

რაც შეეხება კერტეშის რომანის კინოეკრანიზაციას, ეს კოლტაისთვის იქნება პირველი დიდბიუჯეტიანი მხატვრული ფილმი, რომლისთვისაც მუსიკას სპაგეტი-ვესტერნებთან "გაიგივებული" იტალიელი კომპოზიტორი ენიო მორიკონე დაწერს.

გადაღებები დეკემბერში უნგრეთში დაიწყება და, სავარაუდოდ, მარტში დასრულდება. ფილმზე მუშაობის მეორე ეტაპი კი გერმანიასა და ლონდონში გაგრძელდება. "რადგანაც არ გვაქვს უფლება ფილმი ისტორიულ ადგილებში, მაგალითად, აუშვიცში გადავიღოთ, ამიტომ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება დიდი რაოდენობით დაგვჭირდება. რამდენიმე დიდი ამერიკული სტუდია უკვე დაინტერესდა ამ პროექტით", - აცხადებს კოლტაი, თუმცა ამ სტუდიების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

კერტეში რომანს 1960-1973 წლებში წერდა, მაგრამ 1975 წლამდე არ გამოუქვეყნებია. ავტორი 14 წლის ბიჭუნას პირით, საკუთარ მოგონებებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს ჰოლოკოსტის ამბებს – როგორ გადაურჩება ნაცისტებს საკონცენტრაციო ბანაკში ნაცხოვრები ბიჭი.

კოლტაი კი დასძენს, რომ ეს არ იქნება, უბრალოდ, ჰოლოკოსტზე გადაღებული მორიგი ფილმი. "შევეცდები, დაგანახოთ, რომ ეს თემა კვლავაც აქტუალურია; რომ ახლაც შეუძლია ვიღაცას, ჩამოგაგდოს ავტობუსიდან და მთელი შენი ცხოვრება თავდაყირა დააყენოს. ფილმი, ალბათ, იმასაც დაგვანახებს, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ შინაგანად ცუდი დროებისთვის და როგორ გავძლოთ – სულიერად და ფიზიკურად", - აცხადებს ის.

მთავარ როლს ფილმში შეასრულებს 12 წლის უნგრელი ბავშვი, რომელმაც "ჯერ არ იცის, რომ როლზეა დამტკიცებული", - ამბობს კოლტაი. მისივე ვარაუდით, ფილმის პრემიერა 2004 წლის ბოლოს უნდა გაიმართოს.



# მოგზაურობა ქურმუხეთში

ანა კორძაია-სამადაშვილი

*როგორც ჩანს, ეს ქართველები მაინც ძალიან გულკეთილი ერი ვართ. წყევლაც კი უტკბილესი ვიცით. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა საინგილოში ჩავედი, კერძოდ კი – ჯანდაბას მიღმა, ქურმუხის ხეობაში. ასე რომ, ჯანდაბა და კურმუხეთი თუ გისურვეს, მაწყევარი სიყვარულით უნდა ჩაიკრათ გულში, რადგან ეს სამოთხის კარი ყოფილა, და თუკი ჯერ არ გინახავთ, მერწმუნეთ, იქამდე ყოველთვის სიხარულით გექნებათ გზა.*



მომავალი სიუჟეტის გმირი.



ასე დაიწყო მოგზაურობა კურმუხეთში.

### პირველი დღე. საზღვარი

შორეულ აზერბაიჯანში ოთხნი გავემგზავრეთ: ლაშა და ზურა – სიუჟეტის გადასაღებად, ბატონი ოთარი – მძღოლის სტატუსით, მე – კაცმა არ იცის, რატომ, უფრო სწორად, მე ვიცი: ღრმა ბავშვობის მერე საინგილოში აღარ ვყოფილვარ და ძალიან მაინტერესებდა, თან ლაშა და ზურა კარგი ბიჭები არიან, თან ძალიან მომბეზრდა წინასაარჩევნო ლაი-ლაი.

ერთხელ ერთ მაღალმთიან სოფელში მოგვიწია ყოფნა და ლაშამ საახალწლოდ ვერტმფრენით ჩამოგვაკითხა. მაშინ იქაური ბავშვები ციდან დაშვებული და კანფეტებიანი კაცის დანახვაზე სრულიად შეიშალნენ, და ლაშა იქ დღესაც თოვლის ბაბუადაა აღიარებული. ჰოდა, გამგზავრების წინ სამაგალითოდ ბრიყვული საქციელი ჩავიდინე: ფერად-ფერადი კანფეტები ვიყიდე. როგორც ჩანს, გულის სიღრმეში მეგონა, რომ საინგილოს სოფლებში ნახევრადშიშველი და ჭუჭყიანი ბავშვები გუბეებში იდგებოდნენ და ტკბილეულის დანახვაზე სიხარულისგან გადაირეოდნენ. ძალიან შევცდი. ასეთები ჩვენკენ მოვიკითხოთ.

იმას, რომ საინგილოსი არაფერი მცოდნია, საზღვარზევე მივხვდი. სანამ საზღვარს მივადგებოდით, ისეთი მხარეების და ისეთი გზების გავლა მოგვიწია, ნორმალური ადამიანი დეპრესიაში ჩავარდებოდა. აბა, გაიხსენეთ საქართველოს გზები: მათ გასწვრივ უშნოდ ჩაჩეხილი ხეები მოჩანს, "ნაშთი ძველი დიდებისა" – დაუდგენელი დანიშნულების ნანგრევები დგას, ყველა ბუჩქს ფერად-ფერადი პოლიეთილენის პარკები ამშვენებს - ნატვრის ხესავით, და ყველა მდინარის კალაპოტი ნაგავსაყრელადაა ქცეული. გზის პირას, გაუგებარი დანიშნულების ბეტონის ჯიხურების წინ გაუპარსავი მამაკაცები ამთქნარებენ. მოკლედ, სრული შთაბეჭდილება იქმნება, რომ ომი გუშინ დამთავრდა. მაგრამ, ჩვენ ამას არ ვუყურებთ, ჩვენ შორს, ჰორიზონტს გავცქერით, და თუ ვინმე გაკადნიერდა და ორმოებში ჯაყჯაყის გამო აღშფოთდა, უმალვე მივუგებთ, რომ "ასეთი ოღროჩოღრო და ტკბილია ჩვენი პატარა საქართველო".

ეს ლაშამ გადაწყვიტა, რომ ლაგოდეხის კი არა, დედოფლისწყაროს გავლით უნდა გადავსულიყავით აზერბაიჯანში, თორემ, წესით, იქ ჩემს ცხოვრებაში არ მოვხვდებოდი. გზა, რომელსაც ვადექით, უბრალოდ ოღროჩოღრო კი არა, სრულიად დაქცეულია. თან თუ მხარი გეცვალათ და ფიროსმანისკენ გადაუხვიეთ, მთლად წამხდარია თქვენი საქმე, იმიტომ, რომ გზაში კაცი-დაბადებული არ შეგხვდებათ, დიდი-დიდი, ას წელს მიტანებულმა ბებომ ჩაიაროს, და გაუგებარია, ან სად მიდის, ან საიდან მოდის - ირგვლივ ხომ არაფერი ხდება...

ამ საზღვარზე, ხეობაში, საქართველოს უკანასკნელი ბლოკპოსტი შლაგბაუმია, რომლის გვერდზეც დაუჯერებელი რამ დგას. ოდესღაც, ალბათ, ვაგონი იყო - შხამიან მწვანე ფერად შეღებილი, რომლის გამოღებული კარის შიდა მხარესაც რაღაც ჭინჭი ფრიალებს. რატომაა ეს სასაზღვრო დანიშნულების ნაგებობა, ვერ გეტყვით. ნეტა, რა უნდა ექნათ ჩვენი პასპორტებისთვის? თვალებგაფართოებულმა ზურამ ჩაიჩურჩულა, - ალბათ, შიგნით შამანა ბაბო ზის და ახლა ჩვენს პასპორტებს ჯადოს უკეთებს; საქართველოში რომ დავბრუნდებით, პასპორტები გამოვცვალოთ, რაო...

იმის შემდეგ, რაც, რატომღაც გაჯავრებული ყმაწვილი, რომელსაც მესაზღვრეობისა არაფერი ეტყობა, შლაგბაუმს აწევს, ბეწვის ხიდზე მოგიწევთ გავლა, რომელიც კვნესის, გმინავს და ირყევა. ქვემოთ ალაზანი მოედინება და ძალიან ცხადად შეიძლება იმის წარმოდგენა, როგორ მოგიქნევთ ცოდვა ცივ წყალში. ბევრი ვერაფერი სიხარულია, მით უმეტეს, როცა გაფრთხილებული ხართ, რომ მეზობელი ქვეყნის საზღვარზე ძალიან მკაცრი და ცოტა შარიანი ხალხი დგას, რომელსაც ჟურნალისტებისა და მსგავსების მიმართ მკვეთრად გამოხატული ანტიპათია ახასიათებს.

ამას იმიტომ გიყვებით, რომ ზუსტად იცოდეთ: აზერბაიჯანის საზღვარზე მსგავსიც არაფერი ხდება - სულ პირიქით. ჯერ არის და, წალკოტია. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჯარისკაცები, თუ ვინც არიან, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცები, ყვავილებს დარგავდნენ და თან მოუვლიდნენ. გარდა ამისა, ანტიპათიის მსგავსიც არაფერი შეგვიმჩნევია. ლაშამ იქვე კულტურათა დიალოგი გამართა, ზურა ბაყაყების კომუნას გადააწყდა და ცხოვრება აურია... უდიერად არავის არაფერი უთქვამს, საბარგულში ძალიან დელიკატურად ჩაიხედეს, გვკითხეს, - სააგიტაციო მასალები ხომ არ მიგაქვთო, - გადასახადის ქვითარი პატიოსნად გამოგვიწერეს და გაგვიშვეს. მეტსაც მოგახსენებთ - გზა დაგვილოცეს! პატარა ჯარისკაცმა ბიჭმა ხელი აგვიწია და მოგვაძახა: Удачи! და არა ჯანდაბა და კურმუხეთი.

### ბაირამი

ზაქათალაში ჩასულები და მშვენიერ სასტუმროში დაბინავებულები – ამ სასტუმროში, ჩემი გულის გასახეთქად, ცენტრალური გათბობაც კი იყო – ადგილობრივი ტელევიზიის ხელმძღვანელმა და ბატონ ოთარის მეგობარმა, ბატონმა ნაზირ-ხანმა სავახშმოდ დაგვპატიჟა. ძალიან ვისიამოვნე და აღმოჩენაც კი გავაკეთე, კერძოდ – სუზმა: გაწურული მაწონი, ბლომად კამა და ცოტა მარილი, ესაა და ეს, მაგრამ ძალიან გემრიელია. საერთოდ, მთელი იქ ყოფნის განმავლობაში გემრიელად გეახლებოდით, ერთადერთი, ყველი იყო აღმაშფოთებლად მლაშე, მაგრამ გემოვნების ამბავია, ვიღაცას, ალბათ, მოსწონს.

ბატონმა ნაზირ-ხანმა გვითხრა, რომ ორუჯ-ბაირამი დაიწყო. კარგა ხნის წვალების შემდეგ გაირკვა, რომ ეს დღესასწაული ის ბაირამობა კი არაა, რომელიც ოდესღაც ზურას გადაუღია და რომლის დროსაც დიდი ჭამა-სმა და ტაშფანდური იყო გამართული, არამედ სულ პირიქით, უსასტიკესი მარხვა ყოფილა, რომლის დროსაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე არავინ არაფერს მიირთმევს, მერე კი ლოცულობენ. ლოცვის გადაღების აზრს ჩვენი მასპინძელი იმ საღამოს ძალიან მშვიდად შეხვდა, ეს მერე აგვიხსნეს, რომ სრულიად არაჯანსაღი აზრი მოგვსვლია თავში. მაგრამ, ეს მერე იყო. იმ საღამოს ყველაფერი შესანიშნავად გვეჩვენებოდა – ზაქათალაც, მულამებიც, სუზმაც. ერთი კი გამკრა, მთელი დღის დამშეულ ხალხთან საუბარი ბევრი ვერაფერი სიამოვნება იქნება-მეთქი, მაგრამ ეს, სინამდვილეში, ლაშას პრობლემა გახლდათ, ლაშას კი სულ არ ეპრობლემებოდა. მან გადაწყვიტა, რომ მეორე დღეს ყველაზე დიდ ქართულ სოფელში, კახში გავემგზავრებოდით, სადაც სიუჟეტის მომავალ გმირებს შევხვდებოდით, ლაშა სადალაქოშიც მივიდოდა და, რაც მთავარია, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიიდან გადავხედავდით საინგილოს.

საღამოც მშვენიერი იყო და სამომავლო გეგმებიც. და შინ როდესაც ვბრუნდებოდით, დანაყრებული და კმაყოფილი ზურა განუწყვეტლივ იმეორებდა: "ყურბან ბაირამ. ყურბან ბაირამ. ყურბან ბაირამ".

*(გაგრძელება იქნება)*

# მაკარტნი მეოთხედაა მამა

გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი დასავლური პრესა პოლ მაკარტნის ახალშობილი ბავშვის სქესს ადგენდა. პირველი მონაცემებით, საინფორმაციო სააგენტოები ბი-ბი-სი, როიტერსი, ესოშიეიტიდ პრესი ბრიტანული გაზეთის "დეილი მირორის" წერილს ეყრდნობოდნენ და აცხადებდნენ, რომ მაკარტნის ვაჟი ერთი თვით ადრე, საკეისრო კვეთით დაიბადა. თვითონ "მირორი" კი ამ ინფორმაციის წყაროდ პოლ მაკარტნის ნათესავსა და წმინდა იოანეს სახელობის კლინიკის თანამშრომელს ასახელებდა. ბი-ბი-სი ასახელებდა ახალშობილი ბიჭუნას სავარაუდო სახელსაც – ჯოზეფს.

ერთი სიტყვით, გუშინ გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით, ყურიდან ყურში გადადიოდა და ახალ-ახალი დეტალებით ივსებოდა მცდარი ამბავი, რომელიც, "დეილი მირორის" "ბულვარული მოუთმენლობის" გამო, ასე ძალიან ჩაიხლართა.

კულმინაციამ კი ნაშუადღევს მიაღწია, როდესაც სრულიად უბოდიშოდ როიტერსის, ბი-ბი-სი-სა და ესოშიეიტიდ პრესის ვებ-გვერდებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ პოლ მაკარტნის, თურმე, გოგონა შეეძინა.

ცხადია, ყოფილი "ბითლზის" თაყვანისმცემლები ძალიან დაიბნენ. ინფორმაციის გადამოწმება ინტერნეტის, თითქმის, ყველა პერიოდულ გამოცემაში დაიწყეს და ვერაფრით გაიგეს, მოელანდათ თუ არა რამდენიმე საათის წინ 7 ფუტი წონის ჯოზეფ მაკარტნის დაბადება. ზოგმა ისიც ივარაუდა, რომ პრესას ინფორმაცია სახელიდან გამომდინარე შეეშალა – ხომ შეიძლება ჯოზეფი და ჯოზეფინა აერიოს კაცს ერთმანეთში... თუმცა, ბოლოს ეს ეჭვიც გაქრა – ბავშვს მშობლებმა ბეატრის მილი დაარქვეს – პოლის დეიდისა და ჰითერის დედის პატივსაცემად, და მოგვიანებით ოფიციალური ცნობაც გაავრცელეს, - ძალიან ბედნიერები ვართ, ჩვენი შვილი ძალიან საყვარელი ვინმეაო, - და ასე მოუღეს ბოლო რამდენიმესაათიან მითქმა-მოთქმას.

გუშინ არავის უცდია იმის დადგენა, თუ რატომ მოხდა ახალშობილი ბავშვის სქესის აღრევა და ვინ იყო ამაში დამნაშავე – "დეილი მირორი", რომელიც მაკარტნისგან ოფიციალურ კომენტარს არ დაელოდა და მისი ინკოგნიტო ბიძაშვილის ცნობას დაეყრდნო, თუ - თვითონ მაკარტნი, რომელმაც, უბრალოდ, პრესა პროვოკაციაზე წამოაგო. ამის შესახებ გუშინ მხოლოდ ენ-ტე-ვე-ს ვებ-გვერდზე მსჯელობდნენ და ვარაუდობდნენ, რომ, შესაძლოა, პრესას მცდარი ინფორმაცია თვითონ მაკარტნებმა შეაპარეს, რადგან მათ ბოლო წუთამდე არ სურდათ ბავშვის სქესის პრესისთვის გამხელა. ასეა თუ ისე, შეცდომა გაიპარა და მისი თავი და თავი – "დეილი მირორი," ამის შესახებ თავის ინტერნეტ-ვერსიაში არაფერს ამბობდა.

პოლ მაკარტნი კი უკვე მეოთხე შვილის მამა გახდა. პატარა ბეატრის მილს 25 წლის ძმა – პოლი და ორი და – 33 წლის მერი და 31 წლის სტელა ჰყავს. მაკარტნის ერთი გერიც ჰყავს – ლინდას შვილი ჰითერი, რომელიც 39 წლისაა.

ჰითერ მილი და სერ პოლ მაკარტნი კი 2001 წელს დაქორწინდნენ. მდიდრული საქორწინო ცერემონიალი ირლანდიურ ციხე-სიმაგრეში შედგა. მაშინვე გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ წყვილს შვილი არ ეყოლებოდა, რადგან ჰითერს პრობლემები ჰქონდა. თუმცა, თითქმის, ერთი წლის თავზე, მაისში, პოლ მაკარტნიმ პრესას აცნობა, რომ მალე მეოთხედ გახდებოდა მამა. ჰითერ მილსმა კი ლერი კინგის შოუში ემოციურად აღწერა ის მომენტი, როცა ბავშვის შესახებ პოლს უამბო: "მეორე სართულზე ავედი, მას შეხვედრა ჰქონდა. წინ და უკან დავიწყე სიარული; ნერვულად ვცემდი ბოლთას და თან ვეკითხებოდი, – მალე გათავისუფლდები? მიხვდა, რომ რაღაც მქონდა სათქმელი, გამოვიდა და, როდესაც ფეხმძიმობის შესამოწმებელი ტესტი ვაჩვენე დადებითი პასუხით, ხმის ამოღება ვერ მოახერხა და მერე ორივემ ტირილი დავიწყეთ. ეს ნამდვილი საოცრება იყო".



# ფეხბურთის აღკვეთა ორი წლით?



რიო ფერდინანდი.

რიო ფერდინანდმა უწყინარ სიტუაციაში დისციპლინა დაარღვია. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ დოპინგ-ტესტის ჩატარებაზე უარი განაცხადა და შინისკენ მოკურცხლა. დამავიწყდაო, – ბრძანა მეორე დღეს ინგლისის ისტორიაში ყველაზე ძვირფასმა მცველმა. მეორე დღეს შეცდომა გამოასწორა – ანალიზი ჩააბარა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის კვალი არ აღმოაჩნდა, მაგრამ ეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს. რიო ფერდინანდს სერიოზული უსიამოვნება ემუქრება – შეიძლება ფეხბურთიდან ორი წლითაც კი მოკვეთონ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი რიო ფერდინანდი დისციპლინის დარღვევაში დაადანაშაულა. ფერდინანდმა თავისი კლუბის ბაზაზე ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ სტანდარტული დოპინგ-ტესტი გამოტოვა. მას ამ ტესტის გავლა შემთხვევითი შერჩევის შედეგად დაევალა. თუმცა, ფეხბურთელმა ბაზა ისე დატოვა, ანალიზი არ ჩაუბარებია. მოგვიანებით ფერდინანდმა განაცხადა, რომ ანალიზის შესახებ, უბრალოდ, დაავიწყდა, რადგან იმ პერიოდში ბინა გამოიცვალა და ძველი ბინიდან ახალში გადადიოდა. მეორე დღეს ფეხბურთელმა ტესტი წარმატებით ჩააბარა.

ფერდინანდი, როგორც უდისციპლინო, ინგლისის ნაკრებიდან მოკვეთეს და საშუალება არ მისცეს, ეთამაშა თურქეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების გადამწყვეტ შესარჩევ მატჩში. ამის გამო ნაკრების სხვა ფეხბურთელები გაფიცვას აპირებდნენ და სტამბულში თამაშზე უარს ამბობდნენ, მაგრამ ბოლოს მინდორზე მაინც გამოვიდნენ.

ასეა თუ ისე, ფერდინანდის ეს დარღვევა შეიძლება სერიოზული სასჯელის მიზეზი გახდეს. მათ შორის, ორწლიანი დისკვალიფიკაციისაც. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ამ საქმესთან დაკავშირებით ორი კვირის განმავლობაში საკუთარ გამოძიებას აწარმოებდა. დაკითხეს არაერთი მოწმე, შეისწავლეს ფერდინანდის მობილურ ტელეფონზე საუბრის სტენოგრამები. საბოლოოდ ფერდინანდმა კომისია მაინც ვერ დაარწმუნა თავის გულწრფელობაში, ვერ აუხსნა მას, რომ დოპინგ-ტესტის ჩაბარება, უბრალოდ, დაავიწყდა.

BBC-ის ვარაუდით, საბრალდებო დასკვნა შეიძლება ორაზროვნად განვიხილოთ. ასოციაციამ განაცხადა, რომ ფერდინანდს კი არ დაავიწყდა დოპინგ-ტესტი, არამედ უარყო იგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასჯელი შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს. სხვა ექსპერტები მიიჩნევენ: ასოციაციის ფორმულირება იმას ნიშნავს, რომ ფერდინანდი სასტიკ სასჯელს უკვე გადაურჩა.

"ეს რომ დოპინგ-ტესტის ჩაბარებაზე შეგნებული უარი ყოფილიყო, მას ბევრად უფრო მკაცრად მოექცეოდნენ, – ამბობს ფეხბურთელთა პროფკავშირების ხელმძღვანელი გორდონ ტეილორი, – თუმცა, იმის საშიშროებაც არსებობს, რომ ფერდინანდის საქმე სამაგალითოდ გამოიყენონ".

"მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკიდან კი გაჟონა ინფორმაციამ, რომ კლუბი აპირებს, ბოლომდე გაასაჩივროს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ვერდიქტი, რომელიც თამაშს უკრძალავს ინგლისის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულ მცველს. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს "ლიდს იუნაიტედიდან" "მანჩესტერში" გადაბირების მიზნით "მანჩესტერმა" "ლიდსს" მანამდე არნახული თანხა – 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა.

## TV-სპორტი

### პარასკევი. 31 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

07:30 NBA TV. "ORLANDO MAGIC" - "NEW ORLEANS HORNETS"
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "პსვ" – "აიაქსი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "დინამო" (უკრაინა) – "არსენალი" (ინგლისი)
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
17:35 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" – "ბრეშა"
19:20 "FUTBOL MUNDIAL"
20:00 "გამომჟღავნება"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 "გაიტანე!"
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:35 თავისუფალი დარტყმა
23:50 "გამომჟღავნება"
00:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ჩელსი" – "ლაციო"
02:05 02:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. საწვრთნელი ბანაკი: "DENVER NUGGETS". მეორე ნაწილი
04:30. NBA TV. "Indiana Pacers" – "Milwaukee Bucks". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

06:30 06:30-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:30, 16:40, 19:00 პრესცენტრი
11:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA"
14:45 NBA საკალათბურთო მიმოხილვა
15:15 ტაილანდური კრივი
16:10 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი
16:55 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 პროფესიული კრივის ამბები
20:00 "ყინულის ხანა". პროგრამა ეძღვნება ჰოკეის
21:00 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 "ფარი და ბურთი"
00:00 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
00:40 ახალი ამბები
00:55 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA". პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
02:40 ახალი ამბები
02:55 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
12:30 ოლიმპიური თამაშები
13:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
14:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები 2003
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
15:45 მოტორბოლები. გრან-პრი ესპანეთში
16:15 მოტორბოლები. გრან-პრი ესპანეთში
17:00 მოტორბოლები. გრან-პრი ესპანეთში
18:15 მოტორბოლები. გრან-პრი ესპანეთში
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
20:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
23:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კატალონიაში
00:00 რალი რეიდი. მსოფლიო თასი
00:30 K1
02:30 ახალი ამბები
02:45 მოტოსპორტი
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში იუნიორთა შორის
03:45 ექსტრემალური სპორტი
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# პროფესიულ ლიგას გზა დაულოცეს

"მთავრობა შეეცდება, კარგი კანონები მიიღოს"

აკა ტონია

გუშინ, საღამოს რვა საათზე კაფე "მსოფლიოს სპორტში" შედგა საქართველოს პროფესიული ლიგის პრეზენტაცია. ლიგა წლეულს, გაზაფხულზე დაარსდა და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატიც სწორედ მისი ეგიდით იმართება, თუმცა, ორგანიზატორებმა პრეზენტაცია შეგნებულად დააგვიანეს, რათა ქართული ფეხბურთის სამყაროსთვის აქამდე გაწეული სამუშაოც წარმოედგინათ. დაარსების დღიდან პროფესიული ლიგის ხელმძღვანელები ქართულ კლუბებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, დაიდო ხელშეკრულებები სხვადასხვა ტელე-კომპანიასთან, გამოჩნდნენ ლიგის სპონსორები.

"მსოფლიოს სპორტში" შეიკრიბნენ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ვეტერანი ფეხბურთელები, ბიზნესმენები და ჟურნალისტები. მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე... ვეტერანი ვარსკვლავები ნამდვილად სჭარბობდნენ მოქმედ ფეხბურთელებს. იმის გამო, რომ წამყვანი მოთამაშეები ახლა თავთავიანთ კლუბებში არიან დაკავებული, არჩილ არველაძე მათი ერთადერთი წარმომადგენელი იყო.

პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტიც უნდა დასწრებოდა, თუმცა ის ბაქოში გაემგზავრა (აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალზე დასასწრებად). პრეზიდენტი შეცვალა სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ირაკლი მეძმარიაშვილთან ერთად მოვიდა.

საღამო გახსნა საქართველოს პროფესიული ლიგის პრესმდივანმა პაატა ბურჯალიანმა. მან სიტყვა გადასცა პროფესიული ლიგის პრეზიდენტს, დიმა რამიშვილს. რამიშვილმა ისაუბრა პროფესიული ლიგის დანიშნულებაზე, ძირითად ამოცანებსა და მიზნებზე, შემდეგ კი პროფესიული ლიგის სპონსორებიც წარმოგვიდგინა. გენერალური სპონსორია "კოკა-კოლა", ხოლო სპონსორები "საქართველოს ბანკი", "სნიკერსი", "დიროლი", "ნიკორა" და სადაზღვევო კომპანია "BCI" არიან. ხელშეკრულება "კოკა-კოლასა" და პროფესიული ლიგის რვაწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.




დიმა რამიშვილმა პროფესიული ლიგის სპონსორები წარადგინა.



ჯორბენაძე პროფესიულ ლიგას დახმარებას ჰპირდება.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

პრეზენტაციას არ ესწრებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია (ის ახლა ლანჩხუთშია). ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბიზნესმენები ფეხბურთით დაინტერესდნენ. "ამ ბოლო დროს ფეხბურთს სპონსორები გამოუჩნდნენ. ნაკრების სპონსორი "ყაზბეგი" გახდა, პროფესიულ ლიგას კი რამდენიმე კომპანია დააფინანსებს. ეს არაჩვეულებრივი ტენდენციაა. თუ ბიზნესმენებისა და ქართული ფეხბურთის ინტერესები მომავალშიც გადაიკვეთება, ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს საერთო საქმეს", - განაცხადა შოთაძემ. არჩილ არველაძემ "ბუნდესლიგაში" გატარებული წლები გაიხსენა და აღნიშნა, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგის არსებობა აუცილებელია ნებისმიერ საფეხბურთო ქვეყანაში.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა ავთანდილ ჯორბენაძე. მან უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნახა "მისთვის და ყოველი ქართველისთვის" საყვარელი სახეები და ამ საზოგადოებაში ყოფნით დიდი სიამოვნება მიიღო. ჯორბენაძე პროფესიულ ლიგას ხელშეწყობას შეჰპირდა. "მთავრობა შეეცდება, ისეთი კანონები მიიღოს, რომლებიც სპორტის და, კერძოდ, ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. უნდა შემცირდეს გადასახადები, რაც ხელს შეუწყობს ფეხბურთის ფეხზე დადგომას", - განაცხადა ჯორბენაძემ.

ზეგ საქართველოში არჩევნებია. ძნელი სათქმელია, ვისი გამარჯვებით დასრულდება ეს არჩევნები, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ პარლამენტი და მთავრობა ჯორბენაძის სიტყვებს გაიზიარებენ.

# "კობის" შვეიცარიული სასწაული

აკა ტონია

შაბათი. 2003 წლის 11 ოქტომბერი. ბაზელში 19:23 საათია. "სენტ იაკობის" სტადიონზე ტევა არ არის. 31 ათასი გულშემატკივარი ერთმანეთს ეხვევა. უმრავლესობა სიხარულისგან ტირის. ქვემოთ, მოედანზე წითელ მაისურებში გამოწყობილი ფეხბურთელები თავდავიწყებით ცეკვავენ. შვეიცარიამ ირლანდიას 2:0 მოუგო და ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის პირდაპირი საგზური მოიპოვა. ეს მეორედ მოხდა შვეიცარიული ფეხბურთის ისტორიაში. ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება პირველად მათ რვა წლის წინათ მოიპოვეს. მაშინაც 11 სექტემბერი იყო...

იმ ღამეს ბაზელი საგიჟეთს ჰგავდა. მხოლოდ ერთი ადამიანი არ ეწერებოდა საერთო ჟრიამულში – იაკობ "კობი" კუნი, შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. "სასაცილო ვიქნებოდი, ჯამბაზივით რომ მეხტუნავა. ძალიან მიხაროდა. ჩემი ფეხბურთელებით უსაზღვროდ ამაყი ვარ", - განაცხადა მოგვიანებით კუნმა. შვეიცარიელთა თავკაცს არც მაშინ შეცვლია გამომეტყველება, როდესაც ათასობით ადამიანი მას "Happy Birthday"-ს უმღეროდა. მეორე დღეს კობი კუნს 60 წელი უსრულდებოდა.

კუნისთვის ეს დამახასიათებელია. ის მუდამ მშვიდი და აუღელვებელია. თავის ნაკრებს მან "ოჯახი" უწოდა. პრესამ და გულშემატკივარმა კი სულ "გულუბრყვილო" უძახეს. ეს ყველაფერი ერთი წლის წინათ იყო. წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, რომელმაც შვეიცარიის ნაკრებში 63 მატჩი ჩაატარა, ამავე ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გაძევების საფრთხე ემუქრებოდა. შვეიცარიელთა საქმე, მართლაც, ცუდად იყო. მანამდე მათ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მოეცარათ ხელი. შემდეგ კანადასთან წააგეს, თანაც, შინ – 1:3. ამის შემდეგ "კობი" კუნმა ნაკრების სამი წამყვანი ფეხბურთელი – შტეფან ანშო, შტეფან შაპუიზა და ჩირიაკო სფორცა – გუნდიდან დაითხოვა. მისი თქმით, მათ გუნდში დისონანსი შეჰქონდათ და არც მწვანე მინდორზე იხარჯებოდნენ ბოლომდე. ამ ინციდენტის შემდეგ კუნის გათავისუფლების საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. მაგრამ მწვრთნელი, ვითომ არაფერი ხდებოდა, აუღელვებლად განაგრძობდა თავის საქმიანობას. საქართველოს წინააღმდეგ საშინაო მატჩის წინ ის შაპუიზას და ანშოს ესაუბრა. ისინი ნაკრებში დააბრუნა და მათაც გაუმართლეს. სფორცას "ამნისტია" არ შეეხო. ამის შემდეგ გუნდში დისციპლინა აღარ დარღვეულა. შვეიცარიელთა რიგებში ჰარმონიამ დაისადგურა. ბევრის თქმით, სწორედ ეს ფაქტორი გახდა კუნის წარმატების მთავარი საწინდარი. "კობი ნებისმიერ მომენტში საჭირო სიტყვებს პოულობდა. სწორედ ამიტომ ვაფასებ მას, არა მხოლოდ როგორც მწვრთნელს, არამედ როგორც ადამიანს", - ამბობს შვეიცარიის ნაკრების მეკარე და კაპიტანი, იორგ შტილი.

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ის 2001 წლის ზაფხულიდან მუშაობს და, ხელფასის სახით, წელიწადში 260 ათას ევროს იღებს. მთავარ აქცენტს აკეთებს წესრიგსა და დისციპლინაზე, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ. რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ ფეხბურთელებმა გუნდში მისი და წარმატების გზას დაადგნენ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შვეიცარიამ პირველი ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი მატჩი წააგო (1:4 რუსეთში).

შვეიცარიის ნაკრებით აღფრთოვანებას არ მალავს მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი, რომელიც თავის დროზე შვეიცარიულ "ბაზელსაც" წვრთნიდა. "შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული გუნდია. მას გამოკვეთილი ტაქტიკური კონცეფცია აქვს. ისინი ჭკუით თამაშობენ, თავიანთ შანსს ელოდებიან, მოწინააღმდეგეს კი გოლის გატანის არცთუ ისე კარგ საშუალებებს აძლევენ. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარიელები ჯგუფურ ეტაპსაც გადალახავენ", - ამბობს ჰიცფელდი.

კუნი, რომელსაც დეკემბერში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე გაუგრძელებენ კონტრაქტს, ბევრისთვის შვეიცარიელთა წარმატების მთავარი ავტორია. ამ აზრისაა გუნდის ნახევარმცველი რაფაელ ვიკიც: "მწვრთნელმა მოახერხა, რომ კარგი ფეხბურთელებისგან შესანიშნავი გუნდი შეექმნა". შვეიცარიას, მართლაც, კარგი მოთამაშეები ჰყავს. მათი უმრავლესობა საზღვარგარეთის კლუბებში თამაშობს. მათ შორის თავდამსხმელი ალექსანდერ ფრაიც. ის ფრანგული "რენის" ღირსებას იცავს, თუმცა, სულ სათადარიგოთა სკამზე ზის. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ფრაისთვის, ნაკრებში ჩატარებულ 22 მატჩში 14 გოლი გაეტანა, მათ შორის ორი – საქართველოს ნაკრების კარში.

შვეიცარიული ფეხბურთის მომავალი დიდი ოპტიმიზმის საბაბს იძლევა. ავსტრიასთან ერთად მათ ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვეს. შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ჰყავთ. შარშან მათმა 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო 21 წლამდელთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდა. სხვათა შორის, 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი თავის დროზე კობი კუნიც გახლდათ, თანაც, მეტად წარმატებული.




2003 წლის 11 ოქტომბერი - შვეიცარია ევროპის ჩემპიონატზეა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** კატალონიური "ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა, რომ კლუბის ვალების შესამცირებლად საჭიროა, მან "მანჩესტერ იუნაიტედისგან" მაგალითი აიღოს. "ინგლისელები ერთ ძალიან მნიშვნელოვან წესს იცავენ. ისინი ხელფასებზე შემოსავლის 60 პროცენტზე მეტს არასოდეს ხარჯავენ. შეიძლება ამ საშუალებით უარს ამბობენ ზოგიერთი ფეხბურთელის შეძენაზე. სამაგიეროდ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 16 მილიონი გულშემატკივარი ჰყავთ", – ამბობს ლაპორტა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 15 დეკემბერს ბაზელში გაიმართება მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი სიღარიბის წინააღმდეგ მებრძოლთა ყულაბაში გადაირიცხება. ამ მატჩის ჩატარებას უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტი. შოუში მონაწილეობაზე უკვე დათანხმდნენ მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან რონალდო და ზიდანი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბუენოს აირესში 200-მდე ადამიანი შეიკრიბა და მარადონას შობიდან 43-ე წლისთავი აღნიშნა. ეს საოცარი დღესასწაული მოაწყო ორგანიზაციამ "მარადონას ეკლესია", რომელიც მიიჩნევს, რომ დიეგო არმანდო ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაა. "ჩვენ გვესმის, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტეა, მაგრამ ჩვენი გულებისთვის ღმერთი მარადონაა", – განაცხადა ეკლესიის ფუძემდებელმა ალეხანდრო ვერონმა. მისი თქმით, ინტერნეტის მეშვეობით მარადონას კულტის მიმდევართა რიცხვი ისლანდიიდან ვიეტნამამდე 200 000-მდე გაიზარდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტაილანდის პრემიერ-მინისტრი, მილიარდერი ტაქსინ შინავატრა ცდილობს, ალ-ფაიედი დაითანხმოს, შეისყიდოს ლონდონის კლუბი "ფულჰემი". "მე ამ შეთანხმებით უაღრესად დაინტერესებული ვარ, – ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა ტაილანდის მთავრობის ხელმძღვანელმა, – სხვა საკითხია, დათანხმდება თუ არა ალ-ფაიედი, მომყიდოს გუნდი". მიუხედავად იმისა, რომ შინავატრამ ალ-ფაიედისგან უარი უკვე მიიღო, ის მაინც აგრძელებს მოლაპარაკებებს. არადა, ალ-ფაიედმა გუნდში დიდი ფული დააბანდა და მისთვის გუნდის გაყიდვა რთული საქმე იქნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის წინ "სან-სიროს" სტადიონის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, მინდვრის გაზონი განაახლოს. როგორც Gazzetta dello Sport-ი იუწყება, იტალიელებმა საფრანგეთიდან უკვე ჩაიტანეს 1500 კვადრატული მეტრი საფარი და სტადიონის მომსახურე პერსონალი მის დაგებას შეუდგა. შარშანდელი სეზონის ბოლოს "სან-სიროს" სტადიონის საფარი მთლიანად შეცვალეს, მაგრამ წლეულს პრობლემები კვლავ გამოჩნდა, რაც არც არის გასაკვირი: სტადიონს საშინაო მატჩებისთვის იყენებს ერთბაშად ორი გუნდი – "მილანი" და "ინტერი".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პორტუს" პლეიმეიკერი დეკუ დისკვალიფიკაციას ელოდება. "ბოავიშტასთან" მატჩში დეკუმ დროზე ადრე დატოვა მოედანი. ამით გაღიზიანებულმა, მსაჯისკენ ბუცი ისროლა. არბიტრმა ეს ფაქტი ოფიციალურ ოქმში დააფიქსირა და ახლა პორტუგალიის საფეხბურთო ხელისუფლებას იმის გარკვევა მოუწევს, მისცეს თუ არა დეკუს საქციელს მსაჯზე უხეში თავდასხმის კვალიფიკაცია. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში დეკუს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელოდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ჩელსის" ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს, გაყიდონ მაისურები, რომლითაც "ნოთს ქაუნთის" წინააღმდეგ ინგლისის ლიგის თასის მატჩი ჩაატარეს. ამ აქციის მიზანია, დაეხმაროს ინგლისის უძველეს კლუბს ფინანსური სიძნელეების დაძლევაში. საქმე ის არის, რომ "ნოთს ქაუნთი" ვალდებულია, თავისი ფინანსური პრობლემები 9 დეკემბრამდე მოაგვაროს. "ნოთს ქაუნთი" მსოფლიოს უძველესი გუნდია და სირცხვილი იქნება, თუ კლუბი არსებობას შეწყვეტს", – თავისი კლუბის გადაწყვეტილება განმარტა "ჩელსის" ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა, რომელმაც ამ მატჩში ორი გოლი გაიტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** Reuters-ის ცნობით, გუშინ ფიფამ ვიზიტი დაიწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანია, გაირკვეს, რამდენად შეუძლია ქვეყანას, მსოფლიოს 2010 წლის საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლოს. ინსპექტორების ჯგუფმა, რომელიც 5 ადამიანისგან შედგება, ადრე მაროკო შეამოწმა. კონკურენტების ნუსხას ეგვიპტე, ლიბია და ტუნისი ავსებენ. საბოლოო გადაწყვეტილებას 2004 წლის მაისში მიიღებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მომავალი წლის ზაფხულში იწურება ილდირაი ბასთურქის კონტრაქტი ლევერკუზენის "ბაიერთან". სტამბულის "გალათასარაიმ" კი უკვე აქედანვე დაიჭირა თადარიგი – ფეხბურთელის მიმართ ინტერესი გამოხატა. "გალათასარაი" ყველა ღონეს ხმარობს ბასთურქთან შეთანხმების მისაღწევად. თუმცა, არც ის ვარიანტია გამორიცხული, რომ ფეხბურთელი "ბაიერში" დარჩეს. წინა კვირაში ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ვესაუბრეთ კლუბის გენერალურ მენეჯერს, ილია კანციგს და სპორტულ დირექტორს, იურგენ კოლერს", – განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა მაჰამუდრეზ ფაზელიმ.

## ინფოთეკა

**ჰოკეი.** NHL-ის რეგულარულ ჩემპიონატში ჩხუბი და აყალმაყალი ჩვეულებრივი ამბავია. იმდენად ჩვეულებრივი, რომ სტატისტიკოსები, გატანილ შაიბებთან ერთად, ჩხუბების რაოდენობასაც ითვლიან და მიმდინარე სეზონის გარკვეულ მონაკვეთს განვლილ სეზონს ადარებენ. სტატისტიკოსები ამჯერადაც ჩაუსხდნენ და გაარკვიეს, რომ განვლილ სეზონთან შედარებით, გარკვეული მონაკვეთის გათვალისწინებით, ჩხუბების რაოდენობა 18 პროცენტით გაზრდილა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰოკეის გულშემატკივრებმა პირველ 160 მატჩში 14 "დამატებითი" მუშტი-კრივი იხილეს. გამოვლინდა მთავარი შარისთავიც. ის "ბუფალოს" მოთამაშე ენდრიუ პიტერსია. მისი "მონაგარი" 6 ჩხუბია. პიტერს ერთი ჩხუბით ჩამორჩება უეიდ ბრუკბენკი "ნეშვილიდან".

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ავსტრიის პირველი ჩოგანი შტეფან კოუბეკი საკუთარ თავს ქველმოქმედებას აიძულებს – თითოეულ ჩოგანზე, რომელსაც მატჩებისას ამტვრევს, საკუთარ თავს 1000 ევროთი აჯარიმებს. კოუბეკის აზრით, ამგვარი ქმედება მისივე კეთილდღეობას მოხმარდება – მეტად მოთოკავს ნერვებს. ათვლის წერტილად კი 2004 წელი დათქვა.

იმის გასარკვევად, თუ რამდენ ჩოგანს ამტვრევს კოუბეკი ამა თუ იმ ტურნირზე, პარიზში მიმდინარე "მასტერსის" ტურნირიც გამოდგება. მარტო საკვალიფიკაციო მატჩში ავსტრიელმა ჩოგანთმმუსვრელმა სამი ჩოგანი გატეხა.

■ ■ ■

**ძიუდო.** რუმინეთის ქალაქ ორადეაში ფრანგმა ძიუდოისტმა ქალებმა ევროპის გუნდური ჩემპიონატის ოქროს მედლები დაისაკუთრეს. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ისინი ბრიტანელებს შეხვდნენ. რუმინელებმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გერმანელები დაამარცხეს.

■ ■ ■

**კრივი.** მიუხედავად იმისა, რომ 20 დეკემბერს ლამონ ბრიუსტერთან დაგეგმილი ჩხუბი აღარ გაიმართება, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო ამ დღეს მაინც გავა რინგზე. ძმები კლიჩკოების ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, უმცროსი ძმა დაიცავს კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ინტერკონტინენტალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, რომელიც მან 30 აგვისტოს არგენტინელ ფაბიო მოლისთან ორთაბრძოლაში მოიპოვა. მატჩს უმასპინძლებს გერმანიის ქალაქი კილი, ქალაქი, რომელსაც კლიჩკოსა და ბრიუსტერის პირველი დაპირისპირებისთვის უნდა ემასპინძლა. ჯერჯერობით უცნობია ის, თუ ვისთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა კლიჩკო-უმცროსს. სავარაუდო მეტოქეთა შორის არიან ტიმო ჰოფმანი და ნიკოლაი ვალუევი.

სხვათა შორის, უფროსი კლიჩკო ასოციაციის ევროპული ფილიალის რეიტინგში პირველი ნომერია. მაგრამ ძმათა ორთაბრძოლა აქედანვე გამორიცხულია – მათ ხომ არაერთხელ განუცხადებიათ, ჩვენ არასოდეს დავდგებით ერთმანეთის პირისპირო. გარდა ამისა, 6 დეკემბერს ვიტალის კანადელ კირკ ჯონსონთან ჩხუბი ელის.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** 19 ნოემბერს ფრანგი მძლეოსანი სტეფან დესოტი სასამართლოს წინაშე წარდგება. დესოტმა, რომელიც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ასპარეზობს, მიმდინარე წლის აპრილ-ივლისში გაყალბებული საბუთებით საფრანგეთის ოთხ სხვადასხვა საავადმყოფოში ერითროპოეტინის შემცველობის 34 ამპულა აილო.

31 წლის მორბენლის თქმით, აკრძალულ პრეპარატთან დაკავშირებული მაქინაციებით მას მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა სურდა. ის ივლისში დააკავეს, როდესაც საავადმყოფოში პრეპარატის საფასურის გადასახდელად შევიდა. მიუხედავად ამისა, "ფრანს პრესთან" საუბრისას დესოტმა განაცხადა, რომ ყველა იმ შედეგს, რომელსაც მან ქვეყნის ჩემპიონატებზე მიაღწია (დესოტი საფრანგეთის ჩემპიონი იყო ორჯერ – 1993 და 1994 წლებში), დოპინგის გარეშე შეძლო.

რაც შეეხება თავად პრეპარატს, მას თირკმლის ქრონიკული უკმარისობისას ან სისხლში ერითროციტების ნაკლებობის დროს უნიშნავენ ავადმყოფებს. სპორტსმენები აკრძალულ პრეპარატს სწორედ ერითროციტების მოსამატებლად იყენებენ. ის ზრდის ჟანგბადის მოცულობას და ორგანიზმს მეტი დატვირთვის ატანა შეუძლია.

## ჩოგბურთი

# BON VOYAGE, MONSIEUR FERRERO!



ხუან კარლოს ფერერო.

სანდრო ნავერიანი

რა ხდება პარიზში? რა დაემართა ამ ხალხს? ფავორიტები ტურნირს ემშვიდობებიან, აუტსაიდერები კი განაგრძობენ ბრძოლას. საერთოდ, ვინ თქვა, რომ შეიძლება ფავორიტების დასახელება?! არ შეიძლება! ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვინც ფავორიტად დაასახელეს, ყველა სახლის გზას გაუყენეს.

პარიზული მასტერსის მეორე წრის შეხვედრები სენსაციებით, ზოგიც ლოგიკური ფინალით აღინიშნა. ფედერერმა რომ ფრანგ ასკინეს მოუგო, ამას ყველა ელოდა, თავად ფრანგიც კი. მათი შეხვედრა შვეიცარიელის სასარგებლოდ დასრულდა (7:6, 6:1). გერმანელმა რაინერ შუტლერმა სამ სეტში მოახერხა ამერიკელი ჯეიმს ბლეიკის დამარცხება. ჩეხი ირჟი ნოვაკი ფრანგ ფაბრის სანტოროს დაუპირისპირდა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ჰოლანდიელმა მარტინ ვერკერკმა სლოვაკ დომინიკ ჰრბატის სძლია. ეს – რაც შეეხება ლოგიკურად დასრულებულ შეხვედრებს. სენსაციები კი ბლომად დაგროვდა. ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა ტურნირს გამოთიშა ის ერთადერთი ფრანგი, რომელიც ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებოდა. ალბათ, მიხვდით: საუბარია სებასტიან გროსჟანზე. მისი იმედი მთელ საფრანგეთს ჰქონდა. ახლა ასევე მთელი საფრანგეთი დარწმუნდა, რომ მათ არ ჰყავთ ისეთი დონის ჩოგბურთელი, რომელიც გაჭირვების ჟამს გამოსავალს იპოვის და წყლიდან მშრალი გამოვა. გამოსავალი კი ის არის, რომ ფრანგული ჩოგბურთი როგორმე მსოფლიო დონისას გაუსწორდეს. მართალი გითხრათ, არც ინგლისელია კარგ ფორმაში და არც ფრანგულ და ბრიტანულ ჩოგბურთს უდგას კარგი დღეები. ეს შედეგი უფრო ფრანგებისთვის იყო სენსაციური, თორემ ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა რომ ავსტრალიელი ეისების მეფე, მარკ ფილიპუსისი გამოთიშა ტურნირს, ეს მთელმა მსოფლიომ სენსაციად მონათლა. "გუგამ" ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო და ამით მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ საუკეთესო ფორმაშია. რაც შეეხება ავსტრალიელს, მას უიმბლდონის წაგებული ფინალის შემდეგ საინტერესო და თავისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. ეს არის ის ორი სენსაცია, რომელიც მეორე წრეში დაფიქსირდა, მესამე წრეში კი ჩეხმა ირჟი ნოვაკმა ისეთი სენსაცია გამოაცხო, მთელი საჩოგბურთო სამყარო აალაპარაკა. მან ორ სეტში დაამარცხა ის ჩოგბურთელი, რომელიც დღეს საუკეთესოა მსოფლიოში – ხუან კარლოს ფერეროს შანსი არ დაუტოვა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს წლეულს მასტერსის მესამე ტურნირი მოეგო და ამით ამერიკელი ენდი როდიკისთვის დაეკარგვინებინა იმის ხალისი, რომ პირველი ჩოგანი გამხდარიყო. გერმანელმა რაინერ შუტლერმა მესამე წრეში ჩილელი ნიკოლას მასუ ჩამოიშორა გზიდან. ნამდვილად არ შეიძლება, ამას სენსაცია ვუწოდოთ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ჩილელი ძალიან კარგ ფორმაშია და ტყუილად არ მოიხსენიებდნენ ერთ-ერთ ფავორიტად. მესამე წრის შეხვედრაში მაროკოელი ჰიხამ არაზი და ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ მატჩის საბოლოო შედეგიც სენსაციად მოინათლა. მაროკოელმა ორ სეტში სძლია ტაილანდელს და მას ჩემოდნები ჩაალაგებინა.

ამერიკელ ენდი როდიკს კარგი შანსი ეძლევა იმისთვის, რომ ეს წელი პირველ ნომრად დაასრულოს. ამისთვის მან ეს ტურნირი უნდა მოიგოს და, მერე, ჰიუსტონში, სადაც მასტერსის თასი გათამაშდება, სულ ცოტა, მეოთხედფინალში გავიდეს. ახლა საჩემპიონო რბოლის სათავეში ესპანელი ხუან კარლოს ფერერო დგას. ნებისმიერ შემთხვევაში ესპანელი მეორე ადგილის ქვევით ვერ ჩამოვა. საქმე ის არის, რომ ამ ტურნირის გამარჯვებულს ასი ქულა ემატება, ფერერო კი მესამე ადგილზე მყოფ როჟე ფედერერს 126 ქულით უსწრებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფედერერი ამ ტურნირში გაიმარჯვებს, ფერეროს მესამე ადგილზე ჩამოქვეითება არ ემუქრება. მეტიც: თუ შვეიცარიელმა ეს ტურნირი მოიგო, ესპანელი მაინც პირველთანრიგოსნად რჩება. მოკლედ, ტურნირზე ფედერერის გამარჯვების შემთხვევაში პირველი სამეული არ იცვლება (რა თქმა უნდა, ჰიუსტონის ტურნირამდე). გთავაზობთ 29 და 30 ოქტომბრის შედეგებს.

**მეორე წრე. 29 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| რაინერ შუტლერი (გერმანია) - ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 4:6, 6:2, 6:3 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) - ტიერი ასკინე (საფრანგეთი) | 7:6, 6:1 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 6:4, 4:6, 6:0 |
| ტიმ ჰენმანი (ინგლისი) - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) | 3:6, 6:4, 7:5 |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზ.) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალ.) | 6:7, 7:6, 7:6 |
| გრეგორი კარა (საფრანგეთი) - სიენგ შალკენი (ჰოლანდია) | 6:4, 2:6, 6:3 |
| მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) - დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 7:6, 6:4 |
| **მესამე წრე. 30 ოქტომბერი** | |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) - ნიკოლას მასუ (ჩილე) | 6:4, 7:5 |
| ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) - ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 7:5, 7:5 |
| ჰიხამ არაზი (მაროკო) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) | 7:6, 6:3 |
| **წყვილთა გათამაშება, პირველი წრე. 29 ოქტომბერი** | |
| ბიორკმანი/ვუდბრიჯი - არნოლდი/კორია | 6:3, 0:1(კორიამ შეწყვიტა მატჩი) |
| ნოლისი/ნესტორი - ცალერი/მასუ | 6:1, 6:4 |
| კორეჩა/ლოპესი - ბენეტო/მაიუ | 6:4, 3:1 (მაიუმ შეწყვიტა მატჩი) |
| ჰაგარდი/ვისნერი - ფიში/მირნი | 6:2, 7:6 |
| **წყვილთა გათამაშება, მეორე წრე. 30 ოქტომბერი** | |
| ნოლისი/ნესტორი - ეტლი/როდრიგესი | 6:3, 6:4 |
| არტურსი/ჰენლი - ბლეიკი/ულიეტი | 7:6, 6:3 |

## სამბო

# სამბოს მამლუქები მოუმრავლდნენ

**მსოფლიო ჩემპიონატამდე ფალავნობაა**

სამბისტთა ნაკრები საქართველოში, ალბათ, ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. ამიტომ ყოველი ასპარეზობიდან მათგან ერთი-ორ მედალს ველით. ახლა კი საქმე მეტად რთულადაა. გაჭირვებამ და უყურადღებობამ საქართველოს ნაკრების სამ წევრს უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ ჭიდაობა გადააწყვეტინა. გადაწყვიტეს და წავიდნენ კიდეც. აკაკი ხანიშვილმა წლეულს საბერძნეთის ღირსების დაცვა არჩია, გივი შუბითიძემ ერთი თვის წინ ამერიკას მიაშურა, ნიკოლოზ ბიბილეიშვილმა კი ათი დღის წინ გერმანიისკენ აიღო გეზი. საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ოლეგ იაძეს, ნაკრების იძულებითი გადახალისება მოუხდა. ნაკრების ყოფილ წევრთა ადგილი, შეიძლება ითქვას, პირტიტველა ბიჭებს – უშანგი კუზანაშვილს (52კგ), გელა ბარათაშვილს (57კგ) და ლევან წიკლაურს (82კგ) ჩააბარეს. არადა, 6-დან 10 ნოემბრამდე სანკტ პეტერბურგი მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. მიუხედავად ამისა, იაძეს იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები ორ-სამ მედალს მაინც მოიპოვებენ. ახალგაზრდა სამბისტთა გარდა, ნაკრების სხვა დანარჩენ წევრებს – მამუკა კურდღელაშვილს (62კგ), ბადრი ჯანიაშვილს (68კგ), არჩილ ჩოხელს (74კგ), მირიან პავლიაშვილს (90კგ), დავით ლილუაშვილსა (100კგ) და მძიმეწონოსან ზვიად ჩინჩალაძეს მსოფლიო ჩემპიონატებზე ასპარეზობის გამოცდილება აქვთ. სხვათა შორის, თავდაპირველად მსოფლიო ჩემპიონატისთვის აშშ-ს უნდა ემასპინძლა, მაგრამ რუსებმა თხოვნით მიმართეს სამბოს საერთაშორისო ფედერაციასა და ამერიკელებს, იქნებ ჩემპიონატი სანკტ პეტერბურგს დაუთმოთო (წლეულს სანკტ პეტერბურგის 300 წლისთავი აღინიშნება. იმასაც ამბობენ, მსოფლიო ჩემპიონატს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც დასდებს პატივსო).

როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვან ასპარეზობაზე გამგზავრებას ამჯერადაც პრობლემები ახლდა. გუნდმა მხოლოდ ერთი შეკრება გაიარა. თუმცა, შეიძლებოდა ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაც ყოფილიყო, მაგრამ... გეხსომებათ, წლეულს სალონიკში, მსოფლიო უნივერსიადაზე გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრებს გარკვეული დახმარება გაუწია "დავით სარაჯიშვილი & ენისელის" მეწარმემ გუჯა ბუბუტეიშვილმა, რომელმაც მომავალში დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ, როგორც იაძემ გვითხრა, ამჯერად სანკტ პეტერბურგის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მათ ბუბუტეიშვილი აღარ შეუწუხებიათ – მოგვერიდაო.

ნაკრები 4 ნოემბერს მიემგზავრება, თუმცა, მანამდე ბიჭებს უთხოვიათ, 1 ნოემბერს თბილისში, სპორტის სასახლეში, ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონატია, იქნებ იქ გამოვსულიყავით, ოჯახები გვყავს, მათ რჩენა უნდათ, წარმატების შემთხვევაში, ფულად ჯილდოებს მაინც ავიღებთო. იაძემ კი, მსოფლიო ჩემპიონატამდე ექვსი დღით ადრე ვინმემ ტრავმა რომ მიიღოს, მერე რა ვქნათო. ასე რომ...

რაკი ფალავნობა ვახსენეთ, ჩვენი მხრივ, დავძენთ: ყველას, ვისაც ქართული ჭიდაობა უყვარს, შეუძლია, 1 ნოემბერს სპორტის სასახლეს ეწვიოს. დასწრება უფასოა, მაგრამ გათამაშდება ლატარია, რომლის ფასიც ერთი ლარია. ლატარიის შემძენს ეძლევა შანსი, ავტომაქანა მოიგოს. ლატარიიდან შემოსული თანხა კი, როგორც ფალავნობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გურამ სალარაძემ გვითხრა, უდედმამო ბავშვთა სახლს გადაეცემა. ასპარეზობები 14 საათზე დაიწყება. 16 საათზე ფალავნობის საზეიმო გახსნაა. გახსნიდან ნახევარ საათში ნახევარფინალური შეხვედრები აიღებს სტარტს. 17 საათზე კი ფინალებია. ფალავანი საჩუქრად მიიღებს ანტომანქანა "ოპელ ვექტრას", მეორე და მესამე ადგილებზე გასულები კი 1000 და 500 დოლარით დაჯილდოვდებიან.

## კალათბურთი

# ქართველები NBA-ში

სანდრო ნავერიანი




"სფურს" ვერც დანკანმა უშველა.

გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. "სან-ანტონიო სფარზი" "დენვერ ნაგეთსს" ეწვია და დენვერელ კალათბურთელთა მასპინძლობა საკუთარ თავზე გამოსცადა. მოგეხსენებათ, "დენვერში" ნიკოლოზ ცქიტიშვილი თამაშობს. მან 10 წუთი გაატარა მოედანზე და თავის გუნდს 6 ქულა შესძინა, ორი საგოლე გადაცემა და თითო მოხსნა გააკეთა საკუთარ და მეტოქის ფარზე. დენვერელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო ანდრე მილერი, რომელმაც თავის გუნდს 16 ქულა შესძინა. 12-12 ქულა მოუტანეს გუნდს ნენე ჰილარიომ და კარმელო ენტონიმ. ეარლ ბოიკინსმა კი თავის ანგარიშზე 13 ქულა მიიწერა. ჩვენთვის სასიხარულოა ის, რომ ქართველი კალათბურთელი ამ მატჩში მოედანზე გამოვიდა და, რაც მთავარია, თავის გუნდს დაეხმარა გამარჯვების მოპოვებაში. შარშანდელი ჩემპიონების გუნდში საუკეთესოდ გამოიყურებოდა უკანასკნელი ორი სეზონის ყველაზე ძვირად ღირებული კალათბურთელი ტიმ დანკანი (17 ქულა, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა). ასევე კარგად გამოიყურებოდა არგენტინელი ლეგიონერი მანიუ ჟინობილი (37 წუთი დაყო მოედანზე, 14 ქულა, 6 შედეგიანი გადაცემა და 6 მოხსნა ფარიდან). პირველი პერიოდი 20:20 დამთავრდა. თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. არ იგრძნობოდა არც ერთი გუნდის აშკარა უპირატესობა, თუმცა, მეორე და მესამე პერიოდები გარდამტეხი აღმოჩნდა. ამ მეოთხედებში დენვერელი კალათბურთელები 12 ქულით გავიდნენ წინ, რაც საკმარისი გამოდგა მატჩის მოსაგებად. საბოლოოდ დენვერულმა გუნდმა გაიმარჯვა (80:72) და თავის პირველ მატჩში მოგება დააფიქსირა. შემდეგ მატჩს "დენვერი" "ჰიუსტონ როკეთსთან" გამართავს. მეორე ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას "ტრეილ ბლეიზერსმა" სტუმრად, იუტელ ჯაზმენებთან გამართა მატჩი. სტეფანიამ მოედანზე 16 წუთი დაყო, გააკეთა ხუთი მოხსნა და ერთი შედეგიანი გადაცემა. სამწუხაროდ, ქულების აღებაში გუნდს ვერაფრით დაეხმარა. პორტლენდელთა შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ ზაკ რენდოლფი, რაშიდ უოლასი და ჯეფ მაკაინისი. მათ თავის გუნდს 22,21,19 ქულა შესძინეს, მაგრამ ამან "პორტლენდი" ვერ იხსნა დამარცხებისგან. ჯაზმენებმა "ბლეიზერსს" ძლიერი გუნდური თამაში შესთავაზეს და ამის წყალობით გაიმარჯვეს. იუტელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო ამ გუნდის ერთადერთი შავკანიანი კარლოს აროიო. მან თავის გუნდს 18 ქულა შესძინა. 16-16 ქულაა რუსი კირილენკოსა და რაჯა ბელის ანგარიშზე, ხოლო ასევე რუსმა ალექსანდრ პავლოვიჩმა და მეტ ჰარპინგმა 14-14 ქულა მოაგროვეს. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ამის გამო მისი ბედი უკანასკნელ 12 წამში გადაწყდა. როცა ანგარიში იყო 90:90 და მატჩის ბოლომდე 12 წამი რჩებოდა, იუტელმა შავკანიანმა თამაში თავის თავზე აიღო და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა – 92:90. მორიგ მატჩს "პორტლენდი" კლივლენდელ კავალერებთან გამართავს. მესამე ქართველის გუნდმა, "ორლანდო მეჯიქმა", სტუმრად "ნიუ იორკ ნიქსს" მოუგო – 85:83. ზაზა ფაჩულიას ამ მატჩში არ უთამაშია. ჯადოქართა შემადგენლობაში ტრეისი მაკგრეიდიმ გამოიჩინა თავი. მან თავის გუნდს 26 ქულა შესძინა. ასევე კარგად გამოიყურებოდნენ დრიუ გუდენი და ტაირონ ლაი, რომლებმაც 16-11 ქულა მოუტანეს თავის გუნდს. ნიუ იორკელთა შემადგენლობაში თავი გამოიჩინა კეიტ ვან ჰორნმა, რომელმაც გუნდს 29 ქულა მოუტანა, დაცვაში 8 მოხსნა გააკეთა და 6-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ამიტომაც დაინიშნა ოვერტაიმი. ძირითადი დრო 73:73 დამთავრდა, დამატებითში კი ორლანდოელი ჯადოქრები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ – მეტოქეზე ორი ქულით მეტი აიღეს. სასიამოვნო იქნებოდა, ამ გამარჯვებაში ფაჩულიასაც რომ შეეტანა წვლილი. თუმცა, ისიც სასიხარულოა, რომ მისი გუნდი რეგულარულ ჩემპიონატს გამარჯვებით იწყებს. შემდეგ მატჩს ჯადოქრები თავის მოედანზე, "შარლოტ ჰორნეთსთან" გამართავენ.



მამუკა ხერხეულიძე წარმოგიდგენთ

# სატირალ-იუმორისტული გვერდი

## დასასრული

ჩემი მეზობელი - უწესიერესი და უპატიოსნესი კაცი - ოცდაათიოდე წლისა, ამ რამდენიმე დღის წინ თავის საარჩევნო უბანს ეწვია და აღმოაჩინა, რომ არც მეტი, არც ნაკლები, 1800 წელს, ანუ მეცხრამეტე საუკუნის პირველ წელიწადს ყოფილა დაბადებული.

ჩემი აზრით, მას გაუმართლა!

სხვა მეზობლების ამბავს აღარ იკითხავთ? ზოგიერთი - საარჩევნო სიების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ - არათუ 1800 წელს, საერთოდ, არც კი დაბადებულა ამ პლანეტაზე. ისინი, უბრალოდ, არ არსებობენ...

"ერთი კორპუსი მთლიანად გამქრალია სიიდან" - ასეთ წინადადებებს დღეს, თბილისში, უკვე ფრთიანებს ეძახიან.

ზღაპარი რეალობად იქცა: კორპუსები გაქრა, ხალხი აორთქლდა, ამომრჩეველი აღიგავა პირისაგან მიწისა...

ხელისუფლებამ - თუ იმ გენიალურმა ფანტასტმა, ვინც ეს ზღაპარი რეალობად აქცია - ხელის ერთი აქნევით მოაგვარა უამრავი პრობლემა: მშიერი ხალხი ვერ გააძღო, მაგრამ გააქრო; პენსიები ვერ გაისტუმრა, მაგრამ პენსიონერები ააორთქლა სამაგიეროდ...

სად წავიდა ეს ხალხი? - უკვირთ ყოვლისშემძლე ფანტასტებს, - ამ 14 ლარს წყალში ხომ არ გადავყრითო?!

რაც შეეხება ჩემს მეზობელს, მას მართლაც რომ გაუმართლა: ის სიაშია, ოღონდ, კაი ხნის მკვდარია! 200 წელიწადს, თურმე, ყვავებიც კი არ ცოცხლობენ (ყვავი 300 წელიწადს ცოცხლობსო, ამასაც გვატყუებდნენ, თურმე!)...

ეს კაცი - რომელსაც თითქმის ყოველდღე ვხვდები სადარბაზოში და რომლის სახელსა და გვარს გასაგები მიზეზების გამო არ ვახმაურებ - გიორგი მეთორმეტეს რომ მოესწრო, ფაქტია! საქართველოს ანექსიის დროს, 1801-ში, ერთი წლის ყოფილა და ენის მოჩლექით ლაპარაკობდა - ლა უნდა ლუსეთის ხელმწიფეს ჩვენგანო... სამი წლისა იყო, როდესაც ნაპოლეონ ბონაპარტე იმპერატორად ეკურთხა და ჯეელობისას 32 წლის შეთქმულებაშიც კი უცდია მონაწილეობის მიღება... ილიას დაბადებასაც მოსწრებია მერე, - ერთ მუხლზე, თურმე, ილიას დაისვამდა, ხოლო მეორეზე - აკაკის... სადღაც, მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გარდაცვლილა და მას მერე დადის ასე არჩევნებზე, ცოცხალ-მკვდარი და ნახევრად მშიერი...

კაცს, თურმე, აკაკი წერეთელი კალთაში ეჯდა და თქვენ გინდათ, რომ ხმა "ახალ საქართველოს", "შრომის პარტიას", "აღორძინებას" და მისთანებს მისცეს?

არა, ბატონებო, ასეთი შეცდომის დაშვება არ შეიძლება! მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლები მაინც ჩაგეწერათ დაბადების თარიღად - იქნებ, კარგი და კეთილსინდისიერი კომუნისტი გამოსულიყო მისგან: ხმასაც მოგცემდათ, საარჩევნო სიებიდან თქვენს სიებშიც გადმოინაცვლებდა და, შესაძლოა, მასაც მიელო მონაწილეობა რამდენიმე კორპუსის აორთქლებაში...

არა, მაინც რა არის ეს კორპუსების გაქრობა!

ასე თუ გაგრძელდა, 2 ნოემბრამდე, შესაძლოა, თბილისში მარტო ფილარმონიის წინ მდგარი "მუზა" და ყოფილი რიტუალების სასახლე გადაურჩნენ გაქრობას - პირველის ხმა არავის სჭირდება და მეორეში, როგორც ცნობილია, უცხო პლანეტელები სახლობენ...

ამ კაცმა რაღა ჰქნას, უწესიერესმა და უპატიოსნესმა, 1800 წელს კი დაიბადა, მაგრამ ოცდაათიოდე წლის რომაა მხოლოდ?!. მიუხედავად იმისა, რომ თეოდორე დოსტოევსკი 30 წლის მამაკაცს მოხუცებულად მიიჩნევდა, იმხელაც არაა, რომ 200 წელი ეცოცხლა...

რა ჰქნას-მეთქი? დაურეკოს ილიას? აფრინოს აკაკისთან "იმეილი"?

თუ მარტივად გადაჭრას პრობლემა: გაიღვიძოს 2 ნოემბერს, მივიდეს თავის საარჩევნო უბანში, განმარტოვდეს ფარდის უკან (პოლიტიკა ხომ კულისებში იქმნება) და ა.წ. "ბიულეტენს"გარკვევით დააწეროს:

ბატონებო, მეცხრამეტე საუკუნე წარსულს ჩაბარდა, სხვათა შორის, მეოცეც, ამჟამად 2003 წელია, მაგრამ თქვენ - ბევრი გეძებთ, მაგრამ - არც მეცხრამეტე საუკუნეში ბრძანდებით, არც მეოცეში და არც, რა დასამალია და, ოცდამეერთეში... თქვენ სადღაც შუაში ხართ გაჩხერილები...

ამ "შუას" კი, მგონი, საბჭოთა კავშირი ჰქვია...

ჰოდა, კორპუსები კი გაჩნდებიან ხელახლა, მაგრამ საბჭოთა კავშირს რომ ვერ დაიბრუნებთ, ამას ახლავე უნდა შეეგუოთ!

**ამირან ბობოხიძე**

*"ყივჩაღთა ფორუმი"*

## შავი და არა მხოლოდ შავი პიარის თემაზე!

ჩემი მტერი ჩავარდა მაგის პიარში! მაგის პიარი რომ არ იტყვის, ისეთი არაფერია! სიცოცხლე გაგვიმწარა პირდაპირ! არადა, მაგის უპირატესობა აშკარაა! ერთი პიარსახოცი გვჭირდება - პიარს მაინც მოვიწმენდდით! მაგის პიარშიც...

## სასიამოვნო სიახლე

ბლოკმა "ლურსმანი გადაარჩენს დეპუტატს" წინასაარჩევნოდ თავის ამომრჩევლებს დაურიგა ცელოფანის პარკები, სავსე საჩუქრებით. ყოველ პარკში მოთავსებულია 1 ბოთლი ზეთი, 2 ცალი კარაქი, 1 (ერთი) ქათამი, სამი ცალი ლურსმანი კონკურენტი კანდიდატის ოფისის ასაჭედად, აგრეთვე 1 (ერთი) ბოთლი "კლეი" (წებო), რათა ამომრჩეველს შეეძლოს, თავისი "კლეით"(წებოთი) გადაფაროს მოწინააღმდეგის (ე.ი. კონკურენტის) სარეკლამო პლაკატი.

ამომრჩევლები კმაყოფილნი ხვდებიან 2 ნოემბერს. ისინი მზად არიან, ხმა მისცენ ბლოკს "ლურსმანი გადაარჩენს დეპუტატს".

## პარიტეტული საარჩევნო სისტემა

ზოგი - აშკარა მტერია საქართველოსი, ზოგიც - პუტინციური მტერი. რამდენი უპუტიოსნო მეზობელი ერჩის ჩვენს ქვეყანას, რამდენი თავგზაარეული ბოევიკი, დღემუდამ პუტანკებს რომ დასდევს და მეგობრების ცოლებს ეპუტუნება და ეპოტინება. ეკონომიკური პირობებიც ვერა გვაქვს მთლად ისეთი, კაცი აღტაცებაში მოხვიდე. ასეთ დროს და ასეთ გარემოცვაში კიდევ უფრო ძნელია არჩევნების ჩატარება. ამიტომ ერთადერთი სწორი სტრატეგია სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის ისაა, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ამომრჩეველთა რიცხვი. იდეალური შემთხვევა ისაა, როცა საარჩევნო სიებში დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი ამომრჩეველთა რიცხვს ემთხვევა: 235 დეპუტატია ასარჩევი? - ირჩევს 235 ამომრჩეველი! ასეთ შემთხვევაში ბოლო მოეღებოდა ლაყბობას რაღაც გაყალბებაზე, კარუსელებსა და მარაოებზე, მთელი პროცესი ჩაივლიდა მშვიდ ატმოსფეროში და ერთხელ და სამუდამოდ ამაღლდებოდა დასავლეთის თვალში ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი. როგორც გვითხრეს, ამ იდეას მხარს უჭერს დეპუტატობის 235 კანდიდატი. ხელისუფლების ვალია, ყოველნაირად შეუწყოს ხელი ცხოვრებაში მის გატარებას. თუ ამ მშვენიერი იდეის რეალიზაცია მაინც ვერ მოხერხდა ოპოზიციის თვითნებობის და არაკონსტრუქციულობის გამო, მაშინ გამარჯვების ყველაზე სერიოზული შანსი ეძლევა ბლოკ "აგრესორს", რომლის წინასაარჩევნო ლოზუნგმაც - "გთხოვთ, გაიტანოთ ბაზები და დაგვიტოვოთ ბოზები" - ამომრჩეველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მოკლედ, ასე: თუ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საარჩევნო სიებში თავის გვარს ვერ იპოვის, ამაზე ნუ შეწუხდება - ეს იმას ნიშნავს, რომ გაუმარჯვნია ამომრჩეველთა და დეპუტატობის კანდიდატთა პარიტეტულ სისტემას (235 დეპუტატი - 235 ამომრჩეველი), რაც ჩვენი ქვეყნის ახალი შთამბეჭდავი წარმატებების საწინდარია!

კარგი საკანონმდებლო ბაზის არსებობის მიუხედავად, ხელისუფლება ვალდებულია, ბოლომდე მიჰყვეს საქმეს. ყოველი შემთხვევისათვის, კარგი იქნება, თუ საარჩევნო უბნები დროულად მომარაგდება ბრონეჟილეტებით, კრივის ხელთათმანებით, სასწრაფო დახმარების მანქანებით და სპეცრაზმებით. არჩევნების დემოკრატიულად, სამართლიანად ჩატარებისთვის ეს, უბრალოდ, აუცილებელია.

მოწოდება "ყველანი არჩევნებზე" ლოგიკურად იცვლება მოწოდებით: "ზოგიერთები არჩევნებზე!"

# გრიფით საიდუმლო

### ვატიკანის კანცელარია. კარდინალ ვისკონტ ლიპის. პროზელიტიზმის განყოფილება.



*ილო ჭრელაშვილის ნახატი*

უპირველესად, მდაბლად მოგესალმებით და მოგიკითხავთ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ. გილოცავთ წმინდა "კატენაჩიოს" ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და დღეგრძელობას კათოლიკური პროზელიტიზმის სამსახურში.

თქვენ გაინტერესებდათ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების აღწერა. მოგახსენებთ, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს. დღე არ გავა, დაპირისპირებულმა მხარეებმა სისხლში არ გათხვარონ ერთმანეთი. ეს ბრძოლები პირდაპირი ეთერით გადაიცემა დათქმულ დროებზე და მთელი მოსახლეობა დიდი სიამოვნებით ადევნებს თვალყურს. სროლა ჯერ არ დაწყებულა (ქვებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში). ხელისუფლებას ძალიან პატარა რეიტინგი აქვს (დარჩენილ რამდენიმე დღეში მის გაზრდას "ვიაგრა"* თუ უშველისო, ამბობს ჩემი მძღოლი რამაზი, რომელიც ნამდვილი მართლმადიდებელია. ის ყველა ეკლესიის დანახვაზე მოკიდებულ სიგარეტს ფანჯრიდან აგდებს და პირჯვარს ისახავს, ტაძრები კი აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა, თუ არ ვცდები, კაცზე მონასტერი მოდის. "ღვთისნიერი ქორვაჭრების" მიერ ინდულგენციის იმედით ახალი მშენებლობის ტემპებსაც თუ გავითვალისწინებთ, მომავალ წელს ერთ კაცზე ორი ეკლესია მოვა. ამის შესახებ მე გწერდით).

რეიტინგების მიხედვით (ამ სოციოლოგიური კვლევების ავტორს რამაზი "ცხენკუდას" უწოდებს თმის ვარცხნილობის გამო) პირველ ადგილზე "მიდი, მიშა" ჯგუფია (ასე ეძახის მას რამაზი და მისი სახელის წარმოთქმაზე უცნაური ემოცია ეწვევა ხოლმე, აჟიტირებული ისე მაგრად აჭერს ფეხს გაზის პედალს, მეშინია, რამეს არ შემახეთქოს, შეძლებისდაგვარად ვცდილობ, არ ვახსენო ეს სახელი მის მანქანაში). "ვიაგრას ბლოკს" (ლასის დეფექტით) ყველაზე მეტად ამ ჯგუფზე აქვს ალერგია.

შემდეგი ადგილი რეიტინგებში სრულიად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეთა (ყურთლუ არსლანის და ნოე რამიშვილის გარდა) გუნდს უკავია. ამ ჯგუფში რამაზს ერთ-ერთი მათგანი მოსწონს და "ზიდანს" ეძახის, როგორც ფეხბურთის დიდი ქომაგი ყველა ქართველივით (მაგას მიჰყავს ქართულ პოლიტიკაში "სტოსი" და თავითაც ჰგავსო). ამ ჯგუფის ლიდერს "ციცინოს" ამას წინათ შარი მოსდო "ბლოკი ვიაგრას" სპიკერმა "აზაზელომ" (რამაზს ბულგაკოვი წაკითხული აქვს და ხშირად იმოწმებს ციტატებს), მეფისტოფელის ჯგუფთან ინიციაციაში დასდო ბრალი და ამტკიცებდა, ის რეალური არ არის, ვირტუალური ლიდერია, ეს სულ "ზიდანის" ოინებიაო.

შემდეგი – ყოფილი პროკურატორი, "შალიკო" - ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის დამფუძნებელი მამა უცნაურ საარჩევნო კამპანიას აწარმოებს. მას არც იმიჯმეიკერები და პიარტექნოლოგები ჰყავს, არც კლიპები და საარჩევნო სიები აქვს, სოფელ-სოფელ დადის და სალამურით გველებივით აცეკვებს თავის ელექტორატს (რამაზი მას "სალამურას" უწოდებს). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არავინ არ იცის მისი გუნდის შესახებ - პარლამენტში შესვლისთანავე თავის გუნდს ბლოკ "ვიაგრას" მიჰყიდის. არაფრისგან შექმნილი გუნდების გაყიდვაში მისი სერ ალექს ფერგიუსონსაც (ფეხბურთის მწვრთნელი) შეშურდებოდა. ქადაგებს ყველა სფეროს განსახელმწიფოებრიობას და განკულაკებას, ტელეკომუნიკაციების გარდა. ვირტუალური სამყარო მისი სისუსტეა.

აჭარის ლომი - "ჯუჯა" დიქტატორი თავისი რეზერვაციის გარანტირებული ხმებით, მეოთხე ადგილზეა. აქ ხალხი საარჩევნო უბნებზე ბადრაგით (КОНВОЙ) და ხელბორკილებით დაყავთ თურმე და პოლიტიკურ ოპონენტებს რუსის ჯარით უპირისპირდებიან. თბილისში "ჯუჯას" წარმომადგენელი თბილისში პირველ ევროპელ დმანისელ "ზეზვას" აგონებს რამაზს (ან შარიკოვს, ბულგაკოვის "ძაღლის გული") - "ბლოკი ვიაგრას" თავმჯდომარე, ერთადერთი ვისაც სჯობია მთელს მსოფლიოში, "ჯუჯა" დიქტატორი არისო.

მე-5 ადგილზე მემარჯვენე "ხელმარჯვე ოსტატის" გუნდია, რომლის ბოლო კლიპმა, ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებამ, ილუზიონისტ ბლეინის ტრიუკიც კი დაჩრდილა. მათი ნოვაცია, როგორ გადავაქციოთ საკუთარი წინასაარჩევნო კლიპი შავ პიარად, მსოფლიო პიარტექნოლოგიაში სამაგალითოდ გამოდგება. მათი უზარმაზარი ბილბორდების ქვეშ გავლისას რამაზი ამბობს, ჯიგრები არიან, მაგრამ მოკლე როქი არ უნდა გაეკეთებინათო (ლიდერების გადაადგილებას გულისხმობს).

რეიტინგებში შემდეგი ძალაა მოძრაობა "ცეხავიკები გადაარჩენენ სსრკ-ს". ამ ჯგუფის საარჩევნო მოწოდებაა "ლუდზე კაცი". თუ მათი პარტიის ლიდერის ანკეტას ჩავხედავთ, მივხვდებით რომ მსოფლიო მეცნიერება დიდ დანაკლისს განიცდის მისი გაპოლიტიკოსების გამო. იგი უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო უნივერსიტეტების წევრი და მგონი ნობელიანტიც აღმოჩნდა. სხვა პარტიების ჩამოთვლას არ დავიწყებ, ისინი ასზე მეტია. ამ პარტიის მეორე ლიდერი, არჩევნებში წარუმატებლობის შემთხვევაში, თავისი ვოკალური მონაცემების გამო ჯგუფ "ბიჯისებში" გადადისო, - ამბობს რამაზი (ისე, სხვათა შორის, ქართულ პოლიტიკაში შეინიშნება ტენდენცია შოუბიზნესიდან პოლიტიკაში მიგრაციისა, არის უკუპროცესებიც).

და ბოლოს, ბლოკი "ვიაგრა" არ აპირებს, "ცხენკუდას" რეიტინგებს ანგარიში გაუწიოს და ბაქოს მოვლენებით შთაგონებული "ჭაღარა ჯადოქარი" ხალხის დაშინებას იწყებს. საკუთარი მემკვიდრის გამეფების სურვილით ანთებული მითოლოგიაში გადადის და ბაზალეთის ტბიდან ოქროს აკვნის ამოსაღებად გზავნის მყვინთავ გუბერნატორს (რომელიც რამაზს თავისი თვალით უნახავს სკაფანდრით და კუსტოს კალიფსოთი დუშეთში). ბლოკის (ლასის დეფექტით) პირველი ნომერი "ცანგალა" თავის "ქრისტიან დემოკრატებთან" ერთად უცოდველი მადონას სახით მთელ წინასაარჩევნო პერიოდს ლოცვასა და მეტანიებში გაატარებს რიტუალების სასახლეში. რაც შეეხება ვერსიას, რომ ერაყის ქოსა ინფორმაციის მინისტრი (მოჰამედ ალ საჰაფი) საქართველოშია, დასტურდება რამაზის წყაროებითაც, ის სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემა "რა ხდება"-ს წამყვანია და აქ კოკას ეძახიან.

დასასრულ, ჩვენი მისიის შესახებ. მგონი, ამაოდ დავშვრით. ყველა პოლიტიკური ძალის საარჩევნო პროგრამა მრწამსით იწყება და რეკლამებშიც სულ ტაძრები და ჯვრები მოჩანს. აპოკალიფსური ბეჭდის შიშით ქართველები ფხიზლად არიან იქამდე, რომ საარჩევნო მარკირების წინააღმდეგ გამოდიან. თქვენს კითხვაზე, სად არის მრავალმსაჯულებისგან დამალული ტერორისტი "მამაო" ორლესული ჯვრით, მოგახსენებთ, იგი ბინ ლადენთან ერთად გლდანის V მიკრორაიონის მე-5 კვარტლის მეოთხე კორპუსში, 1-ოთახიანში იმალება.

სხვაფრივ, კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ. თბილისში მზიანი შემოდგომაა. სუსტი ქარი გაყვითლებულ ფოთლებს, ცელოფანის პარკებს და საარჩევნო პლაკატებს გვაყრის საქარე მინაზე. ნაგვის გროვებთან მდგარი მათხოვრები უიმედობისაგან ჯიბეებიდან ხელებს აღარც იღებენ და ტექსტური შეტყობინებები ჰკიდიათ კისრებზე. რამაზს ფანჯრები აწეული აქვს და რუსულებს უსმენს.

P.S. რამაზი გთხოვთ, კარდინალმა იქნებ ჩიჩოლინას პლაკატი გამომიგზავნოსო.

***პადრე სესიბო***

* **ვიაგრა** - *მცენარეებისაგან დამზადებული სამკურნალო საშუალება, რომელიც ზრდის და ამაგრებს მამაკაცის პოტენციას, ერთ ადგილს.*

## გადაცემა "ფსიქოს" ბან. გოგი გვახარიას

ბატონო გოგი! მოგმართავთ თქვენი გადაცემის, ალბათ, ყველაზე ერთგული მაყურებელი და გულშემატკივარი. მთელი ჩვენი ოჯახი შაბათობით დღესასწაულის მოლოდინში ვართ, ხოლო ფილმისა და დისკუსიის დამთავრების შემდეგ კი მთელი ღამე არ და ვერც ვიძინებთ. ჩვენეულ ინტერპრეტაციებს ვთავაზობთ ერთმანეთს. ინტელექტუალურ-ტრანსცენდენტალურ ხიბლში ჩაძირულები, ფსევდოპათოლოგიურ ფსიქოანალიზზე დაყრდნობით ანტროფოსოფიულ დასკვნებამდეც მივდივართ ხოლმე. დიდი მადლობა, ბატონო გოგი, თქვენ ჩვენს ოჯახში განათლება შემოგაქვთ და, რაც მთავარია, მე თქვენთან ვერასოდეს მოვახერხე ეთერში დარეკვა, რომ ფართო საზოგადოებისთვის მომეთხრო თქვენი სასწაულებრივი გავლენის შესახებ, რაც თქვენ ჩემს 15 წლის ვაჟზე მოახდინეთ (სხვათა შორის, შოთიკო თქვენი FANI-ა და კატეგორიულად არ ნახულობს ჩაპლინის, სპილბერგის, ბრაიან დეპალმას, ხიჩკოკის, სკორსეზეს, ტარანტინოს, კოპოლას, ფელინის და ა.შ. ფილმებს). ამას წინათ კშეშკა ბჟეშკოვას რეტროსპექტივის ჩვენებისას, რომელსაც, როგორც წესი, მთელი ოჯახი ვესწრებოდით, ფილმის შუაწელში მთავარი პერსონაჟი მამა მოულოდნელად ეძგერა თავის ვაჟიშვილს და გაუპატიურება დაუწყო, და ეს ყველაფერი ისე ნატურალისტურად იყო ნაჩვენები (გადართვაც ვერ მოვასწარით, ჩვენ უპულტო ტელევიზორი გვაქვს), რომ ჩემს გვერდით მჯდომმა შოთიკომ შეშინებულმა ამომხედა - რატომ? რატომ მამაო? - ცოტა არ იყოს, დავიბენი - იმიტომ, რომ არ სწავლობდა-მეთქი, ვუპასუხე. ის დღე იყო და ის დღე. შოთიკოს წიგნებიდან თავი არ აუღია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ბატონო გოგი, რომ თქვენ ხართ.

*გოგიტა 41 წლის*

## შეხვედრა ამომრჩევლებთან

საარჩევნო ბლოკი "ერექცია" პენსიონერებს პირდება პენსიების გადიდებას სამჯერ და უფრო მეტადაც. დაპირებამ პენსიონერების აღტაცება გამოიწვია. კმაყოფილება გამოთქვეს პენსიონერმა ქალბატონებმაც.

## რეიტინგი ადამიანის გამტაცებელთათვის

ჩვენმა ექსპერტმა შეადგინა გასატაცებლად უკვე მომწიფებული ქართველი მწერლების რეიტინგი, ფასებში გადაყვანილია – ვინ რა ღირს, ანუ ვისთვის რა გამოსასყიდს დააწესებს გამტაცებელი ბიზნესმენი (იგულისხმება ადამიანის გატაცების ბიზნესი).

მკითხველი იოლად მიხვდება: იაფად ღირებულ მწერალთა გვარები შეცვლილია ასონიშნებით (რა ვქნა, გენაცვალე, მოსაკლავი თავი არა მაქვს. მომეცით დიდი ფული და ყველას გაგიშიფრავთ).

მაშ ასე, გთავაზობთ რეიტინგს:
**ანა კალანდაძე** - 1 000 000 დოლარი
**აბგდ** - 8 ლარი
**ჭაბუა ამირეჯიბი** - 1 000 000 დოლარი
**აბგ** - 10 ლარი და 30 თეთრი
**ჯემალ აჯიაშვილი** - 1 000 000 შეკელი
**აბგდე** - 60 ევრო
**აბგდევ** - სამი ბოთლი "თოფაძე"
**ოთარ ჭილაძე** - 1 000 000 დოლარი
**აბგდევზ** - ოთ. ჭილაძის "გოდორი" (ერთი ცალი)
**აბგდევზთ** - 00
**აბგდევზთი** - ოცი (20) რუბლი
(მწერლების შეცვლა შეიძლება პარლამენტარებით. ვთქვათ, ასე:
**გოგიტიძე** - 10 დოლარი
**კაკუბავა** - სამი დედოღორი (ღორების გამო იჯდა)
და ა.შ.)

## კოტესტროფები

როდის დავიწყებთ ნეტავი
კარგის ცუდისგან გარჩევას
რომ ისევ ხალხის მხვრეტავი
არ აყალბებდეს არჩევანს

დრო ამას ნათლად გვაჩვენებს
ძალაუფლება ვისია
ვინ გააყალბებს არჩევნებს
ანდა ვინ რისი ღირსია

ლარმა ნამუსი იყიდა
ზნე სანაგვეზე მიჰყარა
ვინც ადრე მახათს იყრიდა
დღეს ყველამ კენჭი იყარა.

■ ■ ■

ჩვენ ხელშია მხოლოდ შველა
ვენდოთ გამოცდილებას
არჩევნებზე მოდით ყველა
და ხმა მივცეთ ცვლილებას.

■ ■ ■

თუ გინდა დარჩე ღამის შოუში
გაიღიმე და ბლანჟეს მოეშვი.

# კვირის პროგრამა



## ორშაბათი 3.10

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "პაწაწინა ონავრები" 09.40 სერიალი "ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "ასულ ტეკილა" 17.30 სერიალი "ჯადოქარი" 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 18.20 ჩვენი ეზო 18.30 სერიალი "მაშველები" 19.10 დოკ. ფილმი "ჯაზი" 19.50 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 სერიალი "ჯაშუში" 23.00 ღამის კურიერი 00.30 მხ. ფილმი "ღამის თამაში". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი, ტომ ჯენიგზი.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.10 მხ. ფილმი "მე თქვენ მიყვარხართ" 12.00, 15.00, 16.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" 15.15 მხ. ფილმი "სრულ მზადყოფნაში" 16.30 დოკ. სერიალი "გაცოცხლებული ქვები" 17.00, 19.00, 20.00 მოამბე 17.15 რამპა 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" 19.15 მრავალჟამიერ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.30 კრიმინალური ქრონიკა 21.45 "იმღერე რამე" 23.00 რა ხდება 02.00 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "იქ, სადაც გულია" მთ.რ-ში: ნატალი პორტმანი, ეშლი ჯადი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" "მშვიდობით საყვარელო" მთ.რ-ში პატრისია არკეტი, დერმოტ მალრუნი. 01.40 "ღამურა" "მონანიების დღე". მთ.რ-ში ედვარდ ბერნსი, ელაიჯა ვუდი. 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "ცუნცულა იგივე ფისუნია" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "ეშმაკის ადვოკატი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი "ჯეინ ეარი" 21.00 ვმესტე 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "ჯერი და ტომი"

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი " ხსნა სიყვარულშია" 15.00 მხ. ფილმი "უძირო" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი "გენერალი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "გზაჯვარედინი" 22.30 მხ. ფილმი "შერბურული ქოლგები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "პეპელა მხარზე" 10.20 მხ.ფ. "წაიკითხე ტუჩებზე" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30 დოკ. ფილმი 14.10 დოკ. ფილმი 18.00, 20.00 დოკ. ფილმი 19.45 მუსიკა 20.00 ბურთი და მოედანი 21.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ."მაჩვენე სიყვარული"

### მესხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.10 ანონსი ჩანახატი "ნეკრესი" 10.15, 13.15, 17.50, 20.15 მუსიკა 10.30 რუს. სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" მე-4 ს. 11.20 მულტფილმი "ტარზანი მაიმუნთა მბრძანებელი" 12.15 დოკ. სერიალი "ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები" 13.40 "ზელისიმო" - ელისო ვირსალაძე 14.15 "ჩემი ქვეყანა" - ცაგო მასწავლებელი 14.50 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.20 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა" 1-ლი ნ. 17.00 მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" 18.00 მულტსერიალი "უმცროსი დრაკულა" 18.30 სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ღამის ექიმები" 20.00 "ოსტატი"-სტომატოლოგი 21.15 სერიალი "მოჯადოება" მე-16 ს. 22.15 "ღამის მატარებელი". 00.30 მხ.ფილმი "თოვლის კაცი"

### იმედი

07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 08.10 ქართული სერიალი "ყავა და ლუდი" მე-8 ს. 09.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 10.05 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 11.05 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 12.10 სერიალი "გამოძიების საიდუმლოებანი" 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 ქრონიკა 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "იმპერია ნობლ ჰაუზი" მე-3 ს. 15.15 მხ. ფილმი "გონების საიდუმლოება" 17.25 ჩ - კლუზივი 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.00, 21.00, 22.00, 00.50 ქრონიკა 19.35 მხ. ფილმი "ქალბატონ დეიზის მძღოლი" 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 23.15 მხ. ფილმი "ფერმა მესეს საიდუმლო" 01.05 "გოლი" - სერია "ა"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფ. გამოშვება "დღეს" 09.20, 12.10, 16.10 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 09.30 ფილმი-ზღაპარი "ზღაპრული პრინცი" 11.00, 19.30, 02.30 მუსიკა 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.20 კომედია "დაუნდობელი ადამიანები" 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 კომედია "დაუნდობელი ადამიანები" (გაგრძ.) 14.30 სათავგადასავლო ფილმი "დათვი" 16.20 მულტფილმი "იმპერიის დამცველები" 17.20 კომედია "მორიგე მამა" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.55 თრილერი "ძარცვა" 23.05 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.15 დოკუმენტური ფილმი 00.45 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი "უკანასკნელი დონი" 03.40 მელოდრამა "ჰილარი და ჯეკი"

### VII არხი

09.15 "აჩიკუდა" 09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 მელოდია 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.00 "ტალავერი" - განმეორებით 12.05 ტელესერიალი "გრაფინია დე მონსორო" - 21-ე ს. 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.05 მელოდია 13.20 მობილურები 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.25 მელოდია [illegible]

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро" 09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 09.10 "Человек и закон" 10.20 Боевик "ИНДИАНА ДЖОНС И ХРАМ СУДЬБЫ" 12.40 Дисней-клуб [illegible] 13.20 Город женщин 14.10 Худ. фильм "УСПЕХ" 16.20, 02.00 "Фабрика звезд-3" 16.30 Угадай мелодию 17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" [illegible] 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 21.00 Док. фильм [illegible] 22.00 Время 22.30 [illegible] 00.00 Криминальная Россия. "Нелюди" 00.30 "Театр кукол" 01.00 "Теория невероятности" 01.30 "Гении и злодеи"

### РТР

03 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Худ. фильм "КУКУШКА" 11.40 В Городке 11.50, 14.50, 17.30, 01.15 "Вести. Дежурная часть" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "Вести" 12.30, 15.10, 17.40, 21.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Короткое замыкание 13.50 Вести недели 15.30 Что хочет женщина 16.30 Телесериал "ЛЕДИ БОСС" 18.10 Телесериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Телесериал "УНДИНА" 20.00 Городок 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Телесериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 22.55 Телесериал "КИДНЕПИНГ" 1-я с. 00.00 Вести+. 00.20 [illegible] 01.30 Народный артист 01.40 Футбол России 02.35 Синемания

### НТВ

07.00 Утро на НТВ 09.50 Растительная жизнь 10.25 "Без рецепта". Доктор Бранд 11.00 Сегодня утром 11.25 Намедни 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15 Сегодня 13.30 Мультфильм [illegible] 13.50 Боевик [illegible] 15.35 По праву 16.35 [illegible] Ток-шоу "Принцип домино" 18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35 [illegible] 20.35, 01.10 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 23.00 "Страна и мир" 23.35 Красная стрела. 23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ"

## სამშაბათი 4.10

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი "ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 სერიალი "ჯაშუში" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "ასულ ტეკილა" 17.30 სერიალი "ჯადოქარი" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 ბუნება 18.50 პერეკროსტოკი 19.10 დოკ. ფილმი "ჯაზი" 19.50 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "ლაციო"-"ჩელსი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.10 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი" 11.45 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი "შავი მანტია" 17.00 დოკ. სერიალი "გაცოცხლებული ქვები" 17.30 თბილისი და თბილისელები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 ჩვენი ფეხბურთი 19.15 და არს მუსიკა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.30 კრიმინალური ქრონიკა 21.40 ღამის ჯაზი 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი "წარსული ცხოვრების დრამა".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "ვაშინგტონის მოედანი" მთ.რ-ში ჯენიფერ ჯეისონ ლი, ბენ ჩაპლინი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ბრავო" "არარატი" მთ.რ-ში შარლ აზნავური, ბრიუს გრინვუდი. 01.40 "ღამურა" "ლეგენდა ვამპირზე" მთ.რ-ში ჯულიან სენდსი, სიუზანა ჰამილტონი. 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "ნუ ემუქრები სამხრეთის ცენტრალს" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "ინგლისელი პაციენტი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი "მე-9 სესია" 21.00 ისტორიანი 21.30 ქვეყნები - ლიბანი. 1-ლი ნ. 22.10 მხ. ფილმი "რისკის ხარისხი"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გზაჯვარედინი" 13.30 მხ. ფილმი "შერბურული ქოლგები" 15.00 მხ. ფილმი "პრეზიდენტის თვითმფრინავი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი "ზაზუნას დღე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ცხოველი" 22.30 მხ. ფილმი "ამერიკული თავგადასავალი"

### იბერია

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.00 ბურთი და მოედანი 10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30 მუსიკა 11.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი "მაჩვენე სიყვარული" 18.00, 20.00 დოკ. ფილმი 21.00 მხ. ფილმი "საჰაერო პოლიცია" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "შტარტ-უპის შთამომავლობა" 00.55 მუსიკა

### მესხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.10 ანონსი ჩანახატი "ნეკრესი" 10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30 მხ. ფილმი "თოვლის კაცი" 13.15 დოკ. ფილმი "ზასტერ კიტონი" 1-ლი ნ. 14.00 მულტფილმი "უმცროსი დრაკულა" 14.50 "ოსტატი" 15.10 სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 მხ. სერიალი "ღამის ექიმები" 16.35 დოკ. სერიალი "უჩვეულო კოლექცია" 17.00 მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" 18.00 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 1-ლი ს. 18.30 სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ღამის ექიმები" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.15 სერიალი "მოჯადოება" 22.20 "ტელემეტრი" 22.45 მოკლ. მხ. ფილმი "არავინ დაზარალდება" 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.30 მხ. ფილმი "მდინარე სუჩიოუს საიდუმლო"

### იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 01.00 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 09.30 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 10.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 11.05 "გოლი" - სერია "ა" 12.10 სერიალი "გვირაბი" 1-ლი ს. 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "იმპერია ნობლ ჰაუზი" 15.15 მხ. ფილმი "ქალბატონ დეიზის მძღოლი" 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.45 ქრონიკა 17.25 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.30 მხ. ფილმი "სისხლი და ღვინო" 21.30 ლარის მახე 23.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო "მკვლელობა უცხო ქალაქში"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფ. გამოშვება "დღეს" 09.10, 12.10, 16.10 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 09.20 სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.20 თრილერი "ძარცვა" 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 თრილერი "ძარცვა" (გაგრძ.) 14.30 კომედია "არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში" 15.50 მუსიკა 16.20 მულტფილმი "იმპერიის დამცველები" 17.20 მხ. ფილმი "სახელმწიფო მეთაური" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "დღეს მსოფლიოში" 20.00 კომედია "აგენტი ჯონი ინგლიში" 21.25 მუსიკა 21.50 "გალერეა" 23.00 Пресс-папье 23.05 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.15 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" 2 ს. 03.40 ისტორიული ფილმი "ზუს ციხესიმაგრე"

### VII არხი

09.10 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 "ბედნიერი ერი" 09.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.00 მელოდია 10.10 მობილურები 10.55 სპორტული პროგრამა "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.25 აუდიო-ვიდეო-ტელე 11.55 ტელესერიალი "გრაფინია დე მონსორო" 22-ე ს. 12.55 დისნეი და მისი მეგობრები 13.15 მელოდია 18.15 მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა [illegible]

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 09.10, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20 Худ. фильм "СЛЕД МЕДВЕДЯ" 11.30 Сериал "ЗНАХАРЬ" 1-я с. 12.40 Дисней-клуб: [illegible] 13.20 "Город женщин" 14.10 Детектив "ИНСПЕКТОР УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" 16.20, 01.20 "Фабрика звезд-3" 16.30 "Угадай мелодию" 17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00 Большая стирка 19.30 "Любовные истории" [illegible] 20.50 Сериал "ПОБЕГ" 22.00, 00.30 Время 22.30 Комедия "БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ" 1-я с. [illegible] 02.20 Боевик "ПРЕСТУПЛЕНИЯ И ПРОСТУПКИ" 06.05 "УБОЙНАЯ СЛУЖБА" 06.20 "Шутка за шуткой"

### РТР

07.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 Сериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45 "Не скуЧАЙ!" 11.45, 14.45, 17.30, 01.15 "Вести. Дежурная часть" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "Вести" 12.30, 15.10, 17.40, 21.30 "Местное время. Вести - Москва" 12.50 Короткое замыкание 13.45, 22.55 Сериал "КИДНЕПИНГ" 15.30 Что хочет женщина 16.30 Сериал "ЛЕДИ БОСС" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00 "Городок" 21.50 Спокойной ночи, малыши! 00.20 [illegible] 01.30 Народный артист 01.40 Боевик "ТЕХАССКИЕ РЕЙНДЖЕРЫ" 03.25 Дорожный патруль 03.40 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 04.35 Сериал "ТИТАНЫ"

### НТВ

07.00 Утро на НТВ 09.50, 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00 Сегодня утром 11.25 [illegible] 12.15 Ток-шоу "Страна советов" 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.20 Сегодня 13.35 Мультфильм [illegible] 13.55 Комедия "СЕМЬ НЯНЕК" 15.35 По праву 16.35 [illegible] Ток-шоу "Принцип домино" 18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35 [illegible] 20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 23.00 "Страна и мир" 23.35 Красная стрела 23.50 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ" 02.10 Гордон 03.10 Дневник Лиги чемпионов

## ოთხშაბათი 5.10

### რუსთავი - 2

